# საბურთალო

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 25 ნოემბერი 2004 №274 (2295) ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამო და სპორტინგი ერთმანეთს გადაწყვეტენ



## რაც კარგები ვართ, პორტუგალიელები ვართ



# შევჩენკომ აატირა მილანის მეგოლეს იანუკოვიჩი უსაყვედურეს

UEFA CHAMPIONS LEAGUE

იუშჩენკო ჩვენი პრეზიდენტია!

ამტკიცებს კიევის „ხრეშატიკზე" შეკრებილი ათიათასობით უკრაინელი.

იუშჩენკო ჩვენი პრეზიდენტია!

ასეთი პლაკატი გამოფინეს გუშინ მილანურ „სან სიროზეც" „შახტარის" საქომაგოდ ჩასულმა უკრაინელებმა.

პოლიტიკურად შეფერილ ტრიბუნაზე მალე მეორე ტრანსპარანტიც გამოჩნდა:

შევჩენკო, შენ გაყიდე სამშობლო!

ამ ყველაფერს წუხელ „უკრაინსკა პრავდა" გვამცნობდა, რომლის მტკიცებით, „შავ-წითელთა" უკრაინელი მთავარმეგოლე თურმე რუსეთუმე იანუკოვიჩის მხარდამჭერი ყოფილა.

გუშინ შევას თვისტომთა დარბევაში მონაწილეობა არ მიუღია, ეს საქმე კაკამ და კრესპომ იკისრეს და „შახტარი" ოთხი უპასუხო გოლით გაისტუმრეს. „მილანმა" კი თანაჯგუფელ „ბარსელონასთან" და „პსვ ეინდჰოვენთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალს უწია.



გუშინ უშევჩენკო „მილანში" კაკა ყოჩობდა



გერმანელმა არბიტრმა ფანდელმა არსენ ვენგერს გუნდი ლამის გაუნახევრა



# ჩემპიონთა ლიგა

## ჯგუფური ეტაპი. V ტური. წუხელ

### E ჯგუფი

**პსვ ეინდჰოვენი 1:1 არსენალი**

1:0 ოიერი (8), 1:1 ანრი (31)

პსვ ეინდჰოვენი: გომესი, ოიერი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, ვან ბომელი, ფოგელი (ბესლი 65), კოკუ, პარკი, სიბონი, ფარფანი

მწვრთნელი: გუს ჰიდინკი

არსენალი: ლემანი, ლორენი, ტურე, კემბელი, ე. კოული, ლიუნგბერგი, ფაბრეგასი, ვიეირა, პირესი (შოიტი 69), ანრი, რეიესი (ვან პერსი 63; ფლამინი 81)

მწვრთნელი: არსენ ვენგერი

გაფრთხილება: ვიეირა (33), ოიერი (42), ლორენი (48), ლორენი (65), ვიეირა (78), ლიუნგბერგი (90)

გაძევება: ლორენი (65), ვიეირა (78)

მსაჯი: ჰერბერტ ფანდელი (გერმანია)

35 100 მაყურებელი

**რუსენბორგი 2:2 პანათინაიკოსი**

0:1 კონსტანტინუ (16), 1:1 ჰელსტადი (68), 1:2 სკაჩელი (71), 2:2 ჰელსტადი (76)

რუსენბორგი: ე. იონსენი, სტენსაასი, ჰანსენი, დორსინი, ჰოფტუნი, სტრანდი, სოლი, ფ. იონსენი, სტორფლორი (ჰელსტადი 56), ბრატბაკი, ბრაატენი (ჯორჯი 88)

მწვრთნელი: ოლა-ბი რისე

პანათინაიკოსი: ხალკიასი, კოციოსი, ჰენრიკსენი, კირიაკოსი (საპანისი 82), ვინტრა, კონსტანტინიდისი (ოლისადებე 87), ე. გონსალესი, ს. მარიჩი (მიტუ 76), ბასინასი, სკაჩელი, კონსტანტინუ

მწვრთნელი: ზდენეკ შჩასნი

გაფრთხილება: მარიჩი (36), ვინტრა (78), ბასინასი (79), ბრატბაკი (85)

მსაჯი: მასიმო დე სანტისი (იტალია)

15 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პსვ ეინდჰოვენი | 5 | 3 | 1 | 1 | 5:3 | 10 |
| არსენალი | 5 | 1 | 4 | 0 | 6:5 | 7 |
| პანათინაიკოსი | 5 | 1 | 3 | 1 | 7:7 | 6 |
| რუსენბორგი | 5 | 0 | 2 | 3 | 5:8 | 2 |

VI ტური: 7 დეკემბერი

პანათინაიკოსი — პსვ ეინდჰოვენი

არსენალი — რუსენბორგი

### F ჯგუფი

**მილანი 4:0 შახტარი**

1:0 კაკა (52), 2:0, 3:0 კრესპო (53, 85), 4:0 კაკა (90)

მილანი: დიდა, კაფუ, ნესტა, მალდინი, კოსტაკურტა, გატუზო (ბროკი 84), პირლო (ამბროზინი 71), ზეედორფი, კაკა, რუი კოშტა (დორასო 79), კრესპო

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

შახტარი: ლაშტუვკა, სტოიკანი, ჰუბშმანი, ლევანდოვსკი, სრნა, ბატისტა (ვორობეი 63), დულიაი, მატუზალემი, ვუკიჩი (პუკანიჩი 82), ბრანდაო, აგაჰოვა (მარიკა 63)

მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ

გაფრთხილება: ნესტა (3), სრნა (4), გატუზო (69)

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

38 841 მაყურებელი

**ბარსელონა 1:1 სელტიკი**

1:0 ეტოო (24), 1:1 ჰართსონი (45)

ბარსელონა: ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი, ოლეგერი, სილვინიო (ვან ბრონკჰორსტი 46), დეკო, ხავი, მარკესი, ჟიული (ინიესტა 60), რონალდინიო, ეტოო

მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი

სელტიკი: ჰედმანი, აგატი, ბალდე, ვალგაერენი, ვარგა (ა. კამარა 66), მაკნამარა, ლენონი, ს. პეტროვი, ა. ტომპსონი (უოლესი 87), ჰართსონი, სატონი

მწვრთნელი: მარტინ ონილი

გაფრთხილება: ლენონი (10), მარკესი (37)

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 5 | 4 | 0 | 1 | 10:3 | 12 |
| ბარსელონა | 5 | 3 | 1 | 1 | 9:4 | 10 |
| სელტიკი | 5 | 1 | 1 | 3 | 4:10 | 4 |
| შახტარი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:9 | 3 |

VI ტური: 7 დეკემბერი

შახტარი — ბარსელონა

სელტიკი — მილანი

### G ჯგუფი

**ანდერლეხტი 1:2 ვალენსია**

0:1 კორადი (19), 1:1 ვილჰელმსონი (24), 1:2 დი ვაიო (48)

*ზეტერბერგმა ვერ გაიტანა პენალტი (24, მეკარე)*

ანდერლეხტი: ზიტკა, ჟეველაკოვი, დე ბუკი (მპენზა 72), კომპანი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ვანდერეგე, ზეტერბერგი, ბასეჯიო, დინდანე, იაშჩუკი

მწვრთნელი: უგო ბროოსი

ვალენსია: კანისარესი, კურო ტორესი, მ. კანეირა, დ. ნავარო, მორეტი, სისოკო, ბარახა, რუფეტე (ფიორე 71), დი ვაიო (მისტა 87), ხისკო (კარბონი 82), კორადი

მწვრთნელი: კლაუდიო რანიერი

გაფრთხილება: კორადი (34)

მსაჯი: ტომ-ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

30 000 მაყურებელი

**ვერდერი 1:1 ინტერი**

1:0 ისმაელი (49პ), 1:1 მარტინსი (55)

ვერდერი: რაინკე, პასანენი, ბაუმანი, ისმაელი, სტალტერი (ხარისტიასი 83), ერნსტი, ბოროვსკი (იენსენი 67), მიკუ, მანინი, კლოზე, კლასნიჩი (ნ. ვალდესი 46)

მწვრთნელი: თომას შააფი

ინტერი: ტოლდო, ხ. ძანეტი, კორდობა, მიხაილოვიჩი, ფავალი, ვან დერ მეიდე, დავიდსი (კ. ძანეტი 81), კამბიასო, სტანკოვიჩი (კარაგუნისი 65), ვიერი, ხ. კრუზი (მარტინსი 52)

მწვრთნელი: რობერტო მანჩინი

გაფრთხილება: კორდობა (43), კრუზი (48), კამბიასო (51), ბაუმანი (71)

მსაჯი: ჟილ ვესიე (საფრანგეთი)

37 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ინტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 11:3 | 11 |
| ვერდერი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ვალენსია | 5 | 2 | 1 | 2 | 6:8 | 7 |
| ანდერლეხტი | 5 | 0 | 0 | 5 | 4:14 | 0 |

VI ტური: 7 დეკემბერი

ვალენსია — ვერდერი

ინტერი — ანდერლეხტი

### H ჯგუფი

**ცსკა 0:1 პორტუ**

0:1 მაკკარტი (28)

*იგნაშევიჩმა ვერ გაიტანა პენალტი (35, ააცილა)*

ცსკა: აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, კრაშიჩი (რ. გუსევი 69), სემაკი, ალდონინი, ჟირკოვი, რახიმიჩი, იაროშიკი (ო. ფერეირა 67), ვაგნერი

მწვრთნელი: ვალერი გაზაევი

პორტუ: ნუნუ, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პედრუ ემანუელი, რიკარდუ კოშტა, კვარესმა (პეიშოტო 58), კოშტინია, მანიშე, ბოსინგვა, მაკკარტი (უგო ალმეიდა 77), დერლეი სილვა (პეპე 90)

მწვრთნელი: ვიქტორ ფერნანდესი

გაფრთხილება: ალდონინი (65), ვაგნერი (90), უგო ალმეიდა (90)

მსაჯი: მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

20 000 მაყურებელი

**ჩელსი 0:0 პსჟ**

ჩელსი: კუდიჩინი, ჯონსონი, გალასი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, სმერტინი, პარკერი, ლამპარდი (გუდიონსენი 62), ჯ. კოული, კეჟმანი (დროგბა 62), რობენი (დაფი 46)

მწვრთნელი: ჟოზე მაურინიუ

პსჟ: ლეტიზი, პიშო, მენდი, პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, მბამი, ე. სისე (ბოშკოვიჩი 83), ჩანა, პაულეტა (პანკრატი 90), რეინალდო (კორიდონი 77)

მწვრთნელი: ვაჰიდ ჰალილჰოჯიჩი

გაფრთხილება: პიშო (59)

მსაჯი: რენე ტემინკი (ჰოლანდია)

39 626 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 5 | 4 | 1 | 0 | 9:1 | 13 |
| პსჟ | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| პორტუ | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | 5 |
| ცსკა | 5 | 1 | 1 | 3 | 2:4 | 4 |

VI ტური: 7 დეკემბერი

პსჟ — ცსკა

პორტუ — ჩელსი




REUTERS ფოტოქრონიკიდან

ანდრე ოიერის (№2) ეს თავური ჰოლანდიელებს მოსაგებად არ ეყოთ

# არსენალმა ორი ქულა და ორი კაცი დაკარგა

ერთი რასისტული შეძახილი და თამაშს მივატოვებთო — თქვა ეინდჰოვენში ჩასვლამდე „არსენალის" მწვრთნელმა არსენ ვენგერმა და მის ამ განცხადებას მხარი ფიფას პრეზიდენტმა იოზეფ ბლატერმაც დაუჭირა. რასისტული შეძახილი არა, მაგრამ ლონდონელ „მეთოფეებს" „ფილიპსის" ტრიბუნაზე ჰოლანდიელ ქომაგთა მიერ გაშლილი ტრანსპარატი კი დახვდათ, რომელიც სტუმრებს აუწყებდა, რასიზმის წინააღმდეგნი ვართო. ამით გულდამშვიდებულნი ლონდონელები მოედანზე გავიდნენ, თამაშიც გახურდა და მე-8 წუთზე ანდრე ოიერმა ისეთი თავური დასცხო, ვინძლო, არსენ ვენგერს მისი რომელიმე ფეხბურთელის გამოლანძღვა ერჩივნა — მასპინძლები დაწინაურდნენ და „არსენალის" სამერვედფინალო იმედს წყალი შეუყენეს. იმედი ტიერი




REUTERS ფოტოქრონიკიდან

ანრიმ გადაარჩინა, როცა ფრედი ლიუნგბერგის ქუსლური პასით იხეირა და გომესის კარის მარცხენა კუთხეში შეჭედა ბურთ. მოფერიანებულმა „მეთოფეებმა" მოსაგებად გაინიეს, მაგრამ ჟინმოძალებულებს ნამეტანი მოუვიდათ, გერმანელმა. მსაჯმა ჰერბერტ ფანდელმა ჯერ ლორენი გააწითლა, მერე კაპიტანი ვიეირაც მის გზას გაუყენა. ცხრაკაცა „არსენალმა" ქულის გადასარჩენად გაიბრძოლა და შეძლო კიდეც. ამ ქულით კი უფრო გუს ჰიდინკის გუნდმა იხეირა, რომელიც თანაჯგუფელთაგან მიუწვდომელი შეიქნა და მერვედფინალსაც უნია. ხოლო „არსენალს" საამსაქმოდ ბოლო ტურში „ჰაიბერიზე" „რუსენბორგის" დამარცხება მართებს.

ყველაფერი გაირკვა F ჯგუფში. „მილანი" და „ბარსელონა" შემდეგ ეტაპზე ტურით ადრე გავიდნენ. იტალიელებმა „სან სიროზე" დონეცკის „შახტარს" 4:0 გადაუარეს და ამ რბევის მთავარი მოქმედი პირი ბრაზილიელი კაკა იყო, რომელმაც ორი გაიტანა და ორ გოლშიც ლომის წილი დაიდო. გააფთრებით იომა გლაზგოს „სელტიკმა" და „ბარსას" ის ქულა წაჰგლიჯა, უეფას თასზე გადასასვლელი მესამე ადგილისთვის ჰაერივით რომ სჭირდებოდა.

ფრეთა სერიას აგრძელებს „ინტერი". სერია A-ში ნათამაშებ ათ ფრეს „შავ-ლურჯებმა" გუშინ მეორე საჩემპიონთალიგოც მიაყოლეს, ერთი კია, „ვერდერთან" 1:1-მა მანჩინის გუნდს გული დაუმშვიდა — „ინტერიც" მერვედფინალისტია.




REUTERS ბრუნეტინიდან

კრისტიან ვიერის გატანა ანდრეას რაინკემ არ დაანება

### ინგლისი

**ჩემპიონატი**
**გადადებული მატჩი**

ლიდსი 2:2 უოტფორდი

**ასოციაციის თასი**
**პირველი ეტაპი**
**გადათამაშება**

ბორნმუთი 3:1 ფორესტ გრინი

### გერმანია

**მეორე ბუნდესლიგა**
**გადადებული მატჩი**

ესენი 0:0 მიუნხენი

### პოლონეთი

**თასის მესამე ეტაპი**

იავორჟნო 1:2 ვისლა

პოლკოვიცე 4:0 კოტვიცა

## უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

# ტრაპატონის ლონჩარევიჩი გაუგზავნეს

## ზაგრებში ფეხბურთელებს ქვირაში ორჯერ სცემენ



ილია ლონჩარევიჩი

**A ჯგუფი**

გელზენკირხენის „შალკე“ „ფერენცვაროშს“ თუ მოუგებს, მომდევნო ეტაპის საგზურს გაინაღდებს. „ხუმარებმა“ ბუნდესლიგაში ლევერკუზენის „ბაიერთან“ კარგად ითამაშეს და „ფარმაცევტებს“ პირველი საშინაო მარცხი აგემეს. უნგრელებთან შეხვედრაში მასპინძლებს ნილს უდე კამპუისი, ფაბიან ლამოტე და გუსტავო ვარელა დააკლდებათ, ხოლო მლადენ კრსტაიჩი მომჯობინდა. შევნიშნოთ, რომ უნგრეთის ჩემპიონატის ლიდერ „ფერენცვაროშს“ გერმანიაში არასოდეს მოუგია, სამაგიეროდ, შინაჩემპიონატის ბოლო ტურში „ზალაეგერსეგი“ 5:1 გაანადგურა.

შვეიცარიის ჩემპიონმა „ბაზელმა“ „შაფჰაუზეთან“ წაგებულ მატჩს თასზე „თუნთან“ მარცხიც მიაყოლა. კრისტიან გროსს ამ შეხვედრაში მურატ იაკინი და ფორვარდი მლადენ პეტრიჩი არ ჰყავდა. „ჰართსთან“ სათამაშოდ კი ორივე ფეხბურთელი სავარაუდოდ მზად იქნება. შოტლანდიურ „ჰართსი“ ჯერჯერობით ჯგუფის ორივე მატჩში დამარცხება და დღეს „ბაზელთან“ წაგების შემთხვევაში უეფას თასის საგზურს დაემშვიდობება. გუნდის კაპიტანი სტივენ პრესლი და მეგოლე მარკ დე ვრისი ძირითად შემადგენლობას დაუბრუნდნენ, ხოლო ნახევარმცველები — პატრიკ კისნორბო და პოლ ჰარტლი დისკვალიფიციის გამო ბაზელში ვერ ითამაშებენ.

**B ჯგუფი**

ვისენტე დელ ბოსკეს „ბეშიქთაში“ ჯგუფის ლიდერია და ბუქარესტში ჩავა. სტამბოლელები გასულ უქმეებზე შინ „რიზესფორთან“ მარცხს გადაურჩნენ. ამ შეხვედრაში ესპანელმა მწვრთნელმა ახალგამოჯანმრთელებული რუმინელი ფორვარდი დანიელ პანჩუ არ ათამაშა, რომელიც ალბათ დღეს ძირითად შემადგენლობაში იქნება. ბრაზილიელი მცველი რონალდო გიარო კვლავ ტრავმირებულია, ხოლო მეკარე ოსკარ კორდობა ლაზარეთიდან გამოწერეს.

„სტიაუამ“ „ბრაშოვი“ 3:2 დაამარცხა და უახლოეს მდევართან ორქულიანი სხვაობა შეინარჩუნა. ეს მატჩი „სტიაუამ“ საკუთარ სტადიონ „გენჩიზე“ არ გამართა, რადგან საფარს საბეშიქთაშოდ ამზადებდა. მეკარე ვასილი ხომუტოვსკი ტრავმას აღარ უჩივის, ხოლო ორკვირიანი მკურნალობის შემდეგ დაბრუნდა გუნდის კაპიტანი მირელ რადოი.

„სტანდარდმა“ „პარმასთან“ შეხვედრამდე გაივარჯიშა და ბელგიის თასის მერვედფინალურ მატჩში „პატროს“ 4:1 მოუგო. „პარმამ“ ასევე თასზე დომენიკო მორფეოს გარეშე ითამაშა და „ფიორენტინასთან“ 0:2 წააგო.

**C ჯგუფი**

პირველ ადგილზე გამოჭიმული უკრაინული „დნიპრო“ ვენის „ავსტრიას“ უმასპინძლებს. დნეპროპეტროვსკელთა მწვრთნელმა ევგენი კუჩერევსკიმ „ნეფტიანიკთან“ სათასო შეხვედრაში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენა. ნახევარმცველმა რუსლან როტანმა და მეგოლე ოლეგ ვენგილსკიმ ეს თამაში ტრავმების გამო გამოტოვეს, მაგრამ საავსტრიოდ ფორმაში იქნებიან.

ბელგიურ-ჰოლანდიური დუელი შედგება ბრიუგეში, სადაც მასპინძლები „უტრეხტს“ დაუხვდებიან. „ბრიუგემ“, ისევე როგორც „დნიპრომ“, გასულ შაბათს გამართულ სათასო მატჩში რამდენიმე ფეხბურთელს ამოსუნთქვის საშუალება მისცა.

**D ჯგუფი**

„ნიუკასლის“ პრემიერლიგური „ჩავარდნა“ თბილისის „დინამოსთან“ გამარჯვების შემდეგ დაიწყო. გრემ სუნესის გუნდი ბოლო ტურში გონს მოეგო და „კრისტალ პალასს“ სტუმრად სძლია. ტრავმირებული ალან შირერის საფრანგეთში თამაში საეჭვოა, ხოლო ნიკი ბათმა სასჯელი მოიხადა და „სოშოსთან“ ბურთს გააგორებს. გი ლაკომბის შეგირდებმა „მონაკოს“ მოუგეს, მაგრამ „ნიუკასლთან“ ტრაპასო, მონსორო და პოტილიონი დააკლდება.



ვისენტე დელ ბოსკე

| |
|---|
| **A ჯგუფი** |
| შალკე – ფერენცვაროში |
| ბაზელი – ჰართსი |
| **B ჯგუფი** |
| სტანდარდი – პარმა |
| სტიაუა – ბეშიქთაში |
| **C ჯგუფი** |
| ბრიუგე – უტრეხტი |
| დნიპრო – აუსტრია |
| **D ჯგუფი** |
| სოშო – ნიუკასლი |
| **E ჯგუფი** |
| ლაციო – პარტიზანი |
| ვილიარეალი – მიდლსბრო |
| **F ჯგუფი** |
| ამიკა – ალკმაარი |
| რეინჯერსი – გრაცერი |
| **G ჯგუფი** |
| ბენფიკა – დინამო |
| ჰერენვენი – შტუტგარტი |
| **H ჯგუფი** |
| ზენიტი – სევილია |
| აეკ – ლილი |

**E ჯგუფი**

„მიდლსბრო“ ამ სეზონში შესანიშნავად თამაშობს. „ლივერპულის“ მძლეველი სტივ მაკლარენის გუნდი ესპანეთს ეწვევა და „ვილიარეალთან“ ქულაც რომ აიღოს, შემდეგ ეტაპზე ადგილს დაიბევებს. მასპინძლებმა პრიმერადივიზიონში მიჯრით ორი შეხვედრა წააგეს. „მიდლსბროსთან“ მათ როხერ გარსია და ხავიერ კალეხა დააკლდებათ.

ანჯელო პერუცის, ფაბიო ლივერანის, ემანუელე ფილიპინისა და რობერტო მუცის გამოჯანმრთელები მიუხედავად „ლაციომ“ „კალიარისთან“ სათასო მატჩი დათმო. თუმც ძირითად შემადგენლობაში სიმონე ინძაგი და ტომაზო როკი არ იყვნენ, რადგან მწვრთნელმა ისინი „პარტიზანისთვის“ დაასვენა. ბელგრადელთა მეკარე ივიცა კრალმა ჩემპიონატის ბოლო ტური ტრავმის გამო გამოტოვა, „ლაციოსთან“ კი სავარაუდოდ დაბრუნდება.

**F ჯგუფი**

ზედიზედ ორჯერ „სელტიკის“ დამჩოქებელი „რეინჯერსი“ ამჟამად კარგ ფორმაშია და ავსტრიული „გრაცერის“ ძლევა არ უნდა გაუჭირდეს.

კო ადრიანსეს „ალკმაარი“ ჩემპიონატში პსვ-ს მისდევს და გასულ უქმეებზე შინ „ვალვაიკი“ 3:0 დაამარცხა, ხოლო პოლონეთში პირველი წრე დასრულდა და მეოთხე ადგილზე მყოფი „ამიკა“ ლიდერ „ვისლას“ 11 ქულით ჩამორჩება.



მირელ რადოი

**G ჯგუფი**

ზაგრების „დინამო“ ლისაბონში ახალი მწვრთნელით ჩავა. „რიეკასთან“ 2:4 წაგების შემდეგ ნენად გრაჩანი ილია ლონჩარევიჩმა შეცვალა. ეს უკვე მისთვის მესამე მისვლაა ზაგრების „დინამოში“. ლონჩარევიჩი ამ გუნდში სამი წლის წინაც მუშაობდა, შემდეგ კი ლიბიის ნაკრებს თავკაცობდა. „რიეკასთან“ მარცხით გამწარებული ზაგრებელი ქომაგები გუნდის ფორვარდ დარიო ზახორას ჩაუსაფრდნენ და მიბეგვეს, თუმც მეგოლე გამოკეთდა.

ჯოვანი ტრაპატონის „ბენფიკამ“ „რიუ ავესთან“ ორბურთიანი სხვაობა გაანიავა და ჩემპიონატში პირველ ადგილზე გადასვლის შანსი ვერ გამოიყენა. „ბენფიკას“ ოთხი ტრავმირებული ფეხბურთელი ჰყავს — ნუნუ გომეში, კარლიტუში, მანტორაში და ედუარდო ალსიდესი.

შესაძლოა, „შტუტგარტს“ „ჰერენვენთან“ მარკუს ბაბელი, მეთიუ დელპიერი და ანდრეას ჰინკელი დააკლდეს.

**H ჯგუფი**

ერთი კვირის წინ ათენის „აეკის“ საქმე სასამართლომ გაარჩია. ბერძნული გუნდი გაკოტრების პირას იყო და მევალეები ფულს სთხოვდნენ, მაგრამ გადარჩა. აღსანიშნავია, რომ კლუბის პრეზიდენტი ამავე გუნდის ფეხბურთელი დემის ნიკოლაიდისია. გაკოტრებას გადარჩენილი ათენელები „ლილს“ უმასპინძლებენ.

სანკტ პეტერბურგის „ზენიტს“ ვლადიმირ ბისტროვი და ანდრეი არშავინი გამოუკეთდნენ. რუსეთის ჩემპიონატი დასრულდა და ნევისპირელებს სათამაშო პრაქტიკა აკლიათ, თუმც სევილიელებს რუსულ ყინვაში ბურთის გორება გაუჭირდებათ.

**ვაჟა ხუციშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# რედნაპი საქმოსანმა იმსხვერპლა

## მანდარიჩმა „იჩი“ მოიყვანა

**„პორტსმუთის“** მწვრთნელი ჰარი რედნაპი გუშინ გადადგა, ფეხბურთისგან დასვენება მჭირდებაო. რედნაპმა გუნდი ორი წლის წინ ჩაიბარა და შარშან პრემიერლიგელი გახადა. როგორც ამბობენ, მას კლუბის დირექტორად ველიმირ ზაიეჩის დანიშვნა არ მოსწონებია და ამიტომაც წავიდა, მაგრამ თავად ასე განაცხადა: „უკვე რამდენიმე თვეა, წასვლაზე ვფიქრობდი. ამ საქმეში კლუბის თავმჯდომარის ხელი არ ურევია. მე სავსებით კმაყოფილი ვიყავი აქ მუშაობით და მემაყება, რომ „პორსტმუთს“ წვრთნიდი“. ინგლისური მედიის ვარაუდით, ჰარი რედნაპი კლუბის თავმჯდომარის, სერბ მილიონერ მილან მანდარიჩის გადაწყვეტილებას გაუბრაზებია, რომელმაც „პორტსმუთის“ დირექტორად ველიმირ ზაიეჩი დანიშნა. „პანათინაიკოსის“ ყოფილი თავკაცი მანდარიჩის მეგობარია. მომავალ ტურში „ბოლტონთან“ სათამაშოდ „პორტსმუთს“ ალბათ სწორედ მილიონერის ძმაკაცი გაიყვანს.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ანიგო აიბარგა

## მარსელი დროებით ემონისაა



ჟოზე ანიგო

**„მარსელის“** მწვრთნელმა ჟოზე ანიგომ სკამი გაათავისუფლა და მის ადგილს დროებით ალბერ ემონი დაიკავებს, რომელიც ამავე კლუბში მუშაობს. „მარსელის“ სპორტულმა დირექტორმა პაპე დიუფმა განაცხადა, რომ ემონი პირველ წრეს ჩაამთავრებს და იანვრისთვის ახალ მწვრთნელს მოძებნიან.

ჟოზე ანიგოს პსჟ-სთან ორი მარცხის შემდეგ წყალი შეუდგა, კორსიკაზე „აიაჩოსთან“ წაგებამ კი წასვლისკენ უბიძგა. „მე პოსტის დატოვება პსჟ-სთან შინ წაგებისთანავე მსურდა, მაგრამ პრეზიდენტმა არ გამიშვა. ამჯერად ჩემს წასვლას წინ ვეღარავინ დაუდგება“ — განაცხადა ანიგომ.

51 წლის ალბერ ემონი მარსელშია დაბადებული და დროებითი მწვრთნელობა ორჯერ (2001, 2002) უკვე მოუსწრია. ფრანგული მედიის ვარაუდით, „მარსელს“ ჟან ტიგანას ან ჟერარ გილს ჩააბარებენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

# სავიოლას ნახელავი სამი ქულა

**მონაკო 1:0 ლივერპული**

**1:0 სავიოლა (54)**
**მონაკო: რომა, მაიკონი, სკილაჩი, გივე, ევრა, ზიკოსი, ფარნერუდი (მოდესტო 79), პლასილი, სავიოლა (ადებაიორი 75), ჩევანტონი (რუსო 68), ნონდა**
**მწვრთნელი: დიდიე დეშანი**
**ლივერპული: კირკლანდი, ფინანი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე (კიუელი 60), ბიშკანი, ჯერარდი, ჰამანი, რიისე, ლუის გარსია (ხოსემი 5; უორნოკი 65), მელორი**
**მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი**
**გაფრთხილება: ტრაორე (41), ჰამანი (45), უორნოკი (81)**
**მსაჯი: კლაუს-ბო ლარსენი (დანია)**
**18 500 მაყურებელი**



სანამ გაიტანდა, მონაკოელმა ხავიერ სავიოლამ ბურთი ხელით გაისწორა

არგენტინელი ხავიერ სავიოლას საეჭვო გოლით, რომლის გატანის დროს ყოფილმა ბარსელმა მგონი, ხელიც მოიშველია, დიდიე დეშანის „მონაკომ“ რაფა ბენიტესის „ლივერპულს“ 1:0 მოუგო და მერვედფინალში გასვლის შანსი შეინარჩუნა. ინგლისელებს კი ლიგის შემდგომ ეტაპზე გასასვლელად 8 დეკემბერს „ოლიმპიაკოსთან“ რთული ბრძოლა ელით.

მეტოქის საჯარიმოში ხიფათის შექმნა ალბიონელებსა და გალებს ერთნაირად უჭირდათ. ფრანგები, რომელთაც გამარჯვება სჭირდებოდათ, მოედანს თავიდანვე აკონტროლებდნენ. სტუმართა ესპანელ მწვრთნელს კი მატჩის დაწყებამდე 5 წუთით ადრე სათამაშო გეგმის შეცვლა დასჭირდა — ლუის გარსიამ ფეხი იტკინა და მის ნაცვლად ბენიტესმა ესპანელ ხოსემის უმხო, თუმც შეხვედრა ვერც მან დაასრულა ტრავმის გამო.

დამხვდურთაგან ყველაზე აქტიური სავიოლა იყო, თუმც შედეგიანობით ვერ გამოირჩეოდა და სახიფათო ეპიზოდებიც ნაკლებად შექმნა. პირველ ტაიმში „ლივერპულის“ დაცვას ურუგვაელმა ჩევანტონიმაც ვერაფერი მოუხერხა. ინგლისელები კი კონტრშეტევების იმედად იყვნენ, მაგრამ ფლავიო რომას კარს სახიფათოდ ერთხელაც ვერ დაემუქრნენ.

მეორე ტაიმის 55-ე წუთზე კი სავიოლამ გაიტანა. კირკლანდის მოგერიებული ბურთი „ბაჭიას“ ხელზე მოხვდა, თუმც მსაჯს ეს არ შეუნიშნავს. რაფაელ ბენიტესმა თავდასხმის გასაძლიერებლად მოედანზე კიუელი შეუშვა, მაგრამ „ლივერპულის“ საპასუხო რეაქცია მეტად უსუსური გახლდათ. მატჩის მიწურულს სემი ჰიიპიამ სცადა, თავით გაეტანა, თუმცა „მონაკოს“ მეკარე რომამ ეგზომ საჭირო სამი ქულის გადარჩენა შეძლო.

**ოლიმპიაკოსი 1:0 დეპორტივო**

**1:0 ჯორჯევიჩი (67)**
**ოლიმპიაკოსი: ნიკოპოლიდისი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი, შურერი, პანტოსი, რივალდო (მ. მარიჩი 86), კაფესი (გეორგატოსი 86), სტოლტიდისი, პ. ჯორჯევიჩი, ჯოვანი, ოკასი (გეორგიადისი 57)**
**მწვრთნელი: დუშან ბაევიჩი**
**დეპორტივო: მოლინა, მანუელ პაბლო, მ. სესარი, პაბლო ამო, რომერო, სკალონი (მაურო სილვა 78), დუშერი (პანდიანი 71), ფრანი (ჩანგი 86), მუნიტისი, ვალერონი, ლუკე**
**მწვრთნელი: ხავიერ ირურეტა**
**გაფრთხილება: შურერი (12), დუშერი (29), სესარი (55)**
**მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)**
**33 500 მაყურებელი**

ვერც „დეპორტივომ“ მოიგო და ვერც „ლივერპულმა“ შეძლო „მონაკოსთან“ ქულის მოპოვება. ეს ორი ხელსაყრელი ვარიანტი, რომლითაც ირურეტას გუნდი ლიგის შემდგომ ეტაპზე გავიდოდა, გალისიელებს თვალსა და ხელს შუა გამოეცალათ და „დეპორტივოც“ საამსეზონო გათამაშებას გამოეთიშა.

თქმა არ უნდა, ესპანელებმა კარგად იცოდნენ, რომ საბერძნეთში გასამარჯვებლად შეტევა იყო საჭირო. სტუმრები ასეც მოიქცნენ, თუმცა, მათდა სამწუხაროდ, „ოლიმპიაკოსის“ დაცვის გარღვევა ვერ შეძლეს. ვალერონისა და ფრანის სულსწრაფობის გამო ლუკე პასებს თამაშგარეში იღებდა. თანაც მატჩის არბიტრის, ნორვეგიელი ტერიე ჰაუგეს წყალობით მასპინძელთა უხეშობა ძირითადად დაუსჯელი დარჩა. მსაჯმა არც შურერს უჩვენა წითელი ბარათი, როცა ამ უკანასკნელმა მეკარე ნიკოპოლიდისთან პირისპირ გასულ ლუკეს ბურთი ხელით ააცალა და არც ბრაზილიელი რივალდო გაიმეტა გასაფრთხილებლად, როცა მან მოედნის ცენტრში სკალონი იდაყვის დარტყმით მოაშთო.

პირველი სახიფათო ეპიზოდები ბერძნებმა შექმნეს, ხოლო „დეპორს“ საგოლე მომენტი მეორე ტაიმამდე არ ჰქონია. 48-ე წუთზე კი ლუკეს მიერ შესრულებული საჯარიმო ნიკოპოლიდისმა საოცარი ნახტომით კუთხურზე მოიგერია.

მერე კი „ოლიმპიაკოსი“ უტევდა და 68-ე წუთზე რივალდოს გამოზომილი პასით პრედრაგ ჯორევიჩმა გამარჯვების გოლი შეაგდო.

**ლადო ხომერიკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპიაკოსი | 5 | 3 | 1 | 1 | 4:2 | 10 |
| მონაკო | 5 | 3 | 0 | 2 | 5:4 | 9 |
| ლივერპული | 5 | 2 | 1 | 2 | 3:2 | 7 |
| დეპორტივო | 5 | 0 | 2 | 3 | 0:4 | 2 |

VI ტური: 8 დეკემბერი
**ლივერპული — ოლიმპიაკოსი**
**დეპორტივო — მონაკო**

## B ჯგუფი

# ყინვაგამძლე დინამო

## ფიგუმ რეალი რომში გაუშვა

**დინამო 2:0 რომა**

**1:0 დელასი (73ს.კ.), 2:0 შაცკიხი (81)**
**დინამო: შოვკოვსკი, საბლიჩი, გიოანე, გავრანჩიჩი, ელ კადური, ო. გუსევი (ლეკო 64), გუსინი, რინკონი, იუსუფი, კლებერი, ვერპაკოვსკისი (შაცკიხი 77)**
**მწვრთნელი: იოჟეფ საბო**
**რომა: პელიცოლი, დელასი, ფერარი, სკურტო, სარტორი (კუფრე 75), აკილანი, პეროტა, კანდელა, კორვია, მიდო (დაგოსტინო 54), კასანო**
**მწვრთნელი: ლუიჯი დელ ნერი**
**გაფრთხილება: სკურტო (3), გუსევი (51), ელ კადური (59), ფერარი (61), სკურტო (76)**
**გაძევება: სკურტო (76)**
**მსაჯი: მაიკ რაილი (ინგლისი)**
**55 000 მაყურებელი**



მაქსიმ შაცკიხი და მისი თანაგუნდელები არც „რომას“ შეუშინდნენ და არც ყინვას

რა მოხდა ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრაში, მოდით, ნუღარ გავიხსენებთ, ამას უკვე მნიშვნელობა აღარ აქვს. მთავარი ის არის, რომ „დინამომ“ კიევშიც დაამარცხა მეტოქე და თუ ამ ტურამდე იმდენივე ქულა ჰქონდა, რამდენიც „რეალს“ და „ლევერკუზენს“, ახლა ერთპიროვნულად ლიდერობს ჯგუფს.

მაგრამ ისიც სათქმელია, რომ ბოლო ტურში საქმე, შესაძლოა, იმგვარად დატრიალდეს, რომ „დინამო“ მესამე ადგილზეც ჩაბრძანდეს და ლიგას დაემშვიდობოს. ამით იმის თქმა გვსურს, რომ ბრძოლა ჯერ არ დამთავრებულა.

დათოვლილ და გაყინულ სტადიონზე თამაში, ცხადია, ჭირდა და ეგებ ამის ბრალიც იყო, რომ მასპინძლებს ბლომად დრო, მთელი პირველი ტაიმი დასჭირდათ გასახურებლად, რის მერეც მათ ტემპს უმატეს და საბოლოოდ სასურველ შედეგსაც გამორჩნენ. ტიბერიუ გიოანეს დარტყმულ ბურთს რომაელთა ბერძენი მცველი ტრაიანოს დელასი გადაელობა, მაგრამ აეჭრა და ავტოგოლი მიითვალა.

უკრაინელთათვის ეს ფრიად სასიამოვნო ამბავი 73-ე წუთზე მოხდა, ანუ მაშინ, როცა უგოლობას მასპინძლები გვარიანად აენერვიულებინა. გოლმა ისინი, ბუნებრივია დაამშვიდა. ამას მეორე ყვითელი ბარათით სტუმართა მცველის ჯუზეპე სკურტოს გაძევებაც დაერთო და მაქსიმ შაცკიხმა 55 ათასი ყინვაგამძლე გულშემატკივარი მეორედაც გაახარა.

ნამატჩევს „დინამოს“ მწვრთნელი იოჟეფ საბო იმ მოსაზრების გაქარწყლებას შეეცადა, რომლის თანახმადაც „რომა“, ერთი რომ, უშანსოდ იყო და ამასთანავე რამდენიმე გავლენიანი ფეხბურთელის არყოლის გამო იოლად დასამარცხებელი გუნდი გახლდათ.

საბომ თქვა: „ნუ დაგავიწყდებათ, რომ „რომა“ მხოლოდ ფრანჩესკო ტოტი არ არის. ამ გუნდში ძალიან ბევრი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი თამაშობს. ისინი, როგორც ნამდვილი პროფესიონალები, ნებისმიერ პირობებში ბოლომდე იბრძვიან. ჩვენ ეს ვიცოდით და მზად ვიყავით როგორც მეტოქესთან, ასევე ყინვასთან გასამკლავებლად. ვთვლი, რომ სრულიად დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

დამარცხებულთა მწვრთნელმა ლუიჯი დელ ნერიმ კი საპირისპიროდ, კიეველთა გამარჯვება დააკნინა: „ჩვენ მოტივაცია გვაკლდა, მეტოქეს კი გამარჯვება სჭირდებოდა. მათ მეტი მონდომებით ითამაშეს.“

**რეალი 1:1 ლევერკუზენი**

**0:1 ბერბატოვი (36), 1:1 რაული (70)**
*ფიგუმ ვერ გაიტანა პენალტი (87 წუთი)*
**რეალი: კასილიასი, სალგადო, სამუელი, ელგერა, რობერტო კარლოსი, ფიგუ, ბექემი (მორიენტესი 54), გუტი, ზიდანი, რაული, რონალდო**
**მწვრთნელი: მარიანო გარსია რემონი**
**ლევერკუზენი: ბუტი, ჟუანი, ნოვოტნი, როკე ჟუნიორი, შნაიდერი, რამელო, ვორონინი (ბალიტჩი 83), პლასენტე, ბაბიჩი, კრჟინოვეკი (ფრაიერი 76), ბერბატოვი**
**მწვრთნელი: კლაუს აუგენტალერი**
**გაფრთხილება: პლასენტე (23), გუტი (65), როკე ჟუნიორი (67), ფიგუ (68), ნოვოტნი (79), ბაბიჩი (90)**
**მსაჯი: ალან ჰამერი (ლუქსემბურგი)**
**60 000 მაყურებელი**

თამაშის დასრულებამდე ცხრა წუთით ადრე ჟუანმა საჯარიმოში ზიდანი წააქცია. პენალტის დარტყმა, როგორც ყოველთვის, ლუიშ ფიგუმ ითავა. ჰანს-იორგ ბუტმა დარტყმა მოიგერია და „რეალს“ მერვედფინალში გასვლა გადაუვადა ან შესაძლოა...

არადა, მოგებით „რეალი“ ჯგუფიდან გასული იყო. ბოლო მატჩი რომც წაეგო, ლევერკუზენელებს კი „დინამო“ დაემარცხებინათ და სამივე გუნდს თანაბარი ქულები დაეგროვებინათ, ურთიერთშეხვედრებში საუკეთესო შედეგი მაინც „რეალს“ ექნებოდა. და განა მხოლოდ ფიგუს გაფუჭებული პენალტია ალსანიშნი — მადრიდელებს კიდევ რამდენიმე ისეთი მომენტი ჰქონდათ, გოლი გარდაუვალი რომ ჩანდა, მაგრამ ბუტი თავგანწირვით იცავდა კარს. ერთ ეპიზოდში რონალდომ ძელსაც გაარტყა. თუმცა მეორე მხრივ, მახსოვრობას უპირველესად გაფუჭებული პენალტი შემორჩება.

გოლები კი ასე გავიდა. ნოვოტნის ჩაწოდებულს ვორონინმა თავი დაჰკრა და ხარიხას გაარტყა. სამუელმა ბურთის მოგერიება სცადა, ვერ შეძლო და ბერბატოვმა საგოლედ დაარტყა. საპასუხო გოლისას, ფიგუმ და ზიდანმა კედელი გაითამაშეს და ბურთი რაულს მიართვეს.

მარიანო რემონი: „ჩვენ უამრავი ვარსკვლავი გვყავს, მაგრამ ისინიც ადამიანები არიან, ყოველთვის ვერ მოიგებ.“

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 5 | 3 | 1 | 1 | 11:5 | 10 |
| ლევერკუზენი | 5 | 2 | 2 | 1 | 10:7 | 8 |
| რეალი | 5 | 2 | 2 | 1 | 8:8 | 8 |
| რომა | 5 | 0 | 1 | 4 | 4:13 | 1 |

VI ტური: 8 დეკემბერი
**ლევერკუზენი — დინამო**
**რომა — რეალი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ULTRA რასისტები

### ბერნაბეუზე შავები არ უყვართ



ისევე როგორც ესპანეთისა და ინგლისის ამხანაგური მატჩისას, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ ჩემპიონთა ლიგის გუშინწინდელი მატჩის დროსაც ტრიბუნებიდან აქა-იქ ისმოდა ისეთი შეძახილები, როგორსაც რასისტულს უწოდებენ და უსასტიკესად გმობენ.

„რეალის“ უთვალავ გულშემატკივართა შორის გამოირჩევა ულტრარადიკალთა ჯგუფი, რომელიც Ultra Sur სახელითაა ცნობილი. უსიამოვნების მიზეზიც სწორედ ამ ჯგუფის წევრთა საქციელი გახდა. ტრადიციული „შავი მაიმუნის“ ძახილის გარდა ისინი ნაცისტურადაც -აღმართავდნენ-ხოლმე ხელს, რომელზეც ადოლფ ჰიტლერის პორტრეტები ამოესვირინგებინათ. „შავი მაიმუნები“ კი ამ ჯერზე ჟუანი და როკე ჟუნიორი იყვნენ.

უეფა, როგორც ერთი კვირის წინ ინგლისთან მატჩისას, ახლაც იმუქრება, რომ საქმეს ასე არ დატოვებს. ყველაზე დიდი სასჯელი, რაც მადრიდელებს ემუქრებათ, „სანტიაგო ბერნაბეუს“ რამდენიმე მატჩით დახურვაა.

**ბოტე ბებელია**




ადრე თუ გვიან ეს უნდა მომხდარიყო — ალფრედო დი სტეფანოს რეკორდს ვიღაც უნდა შეჭიდებოდა და დაემხო.

სამშაბათს, „ლევერკუზენთან“ მატჩისას, რაულმა ჩემპიონთა თასზე 49-ე გოლი გაიტანა და გაუსწორდა ლეგენდარულ თანაკლუბელს, აქედან კი რეკორდის დამხობამდე ერთი ნაბიჯია.

მაგრამ რაულს, რომელიც უეჭველად მალე გაიტანს 50-ე სალიგო გოლს, მაინც ჩარჩება ხინჯად ერთი გარემოება. კერძოდ, დი სტეფანომ 49 გოლი 58 მატჩში გაიტანა, რაულს კი საამისოდ 94 თამაში დასჭირდა.

ისიცაა, რომ დი სტეფანოს რეკორდს, ბარე ორმოცი წელი რომ გაძლო, ერთბაშად რამდენიმე ფეხბურთელი ეჭიდება და კაცმა რომ თქვას, არც ის არის წარმოუდგენელი; რაულზე ადრე 50-ე გოლი რუუდ ვან ნისტელროიმ გაიტანოს. ამასთანავე, „მანჩესტერის“ ჰოლანდიელს იმის შანსიც აქვს, დი სტეფანოს რეკორდი დი სტეფანოზე ნაკლებ მატჩში დაამხოს.

### ევროპის ჩემპიონთა თასის 10 საუკეთესო მეგოლე

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი |
|---|---|---|---|
| ალფრედო დი სტეფანო | რეალი | 58 | 49 |
| რაული | რეალი | 94 | 49 |
| ეუსებიო | ბენფიკა | 65 | 46 |
| რუუდ ვან ნისტელროოი | პსვ, მანჩესტერი | 52 | 45 |
| ანდრეი შევჩენკო | დინამო (კ), მილანი | 72 | 40 |
| ფერენც პუშკაში | ჰონვედი, რეალი | 41 | 36 |
| გერდ მიულერი | ბაიერნი | 35 | 35 |
| ტიერი ანრი | მონაკო, არსენალი | 65 | 34 |
| ალესანდრო დელ პიერო | იუვენტუსი | 69 | 34 |
| ფილიპო ინძაგი | იუვენტუსი, მილანი | 52 | 32 |

C ჯგუფი



კლაუდიო პიზარომ ებრაელებს თავბურთშიც აჯობა

## გაიტანს და მორჩა!

### ათი წლის მერეც ვერ ვიქნებით ბაიერნი

**იუვენტუსი 1:0 აიაქსი**

**1:0 ზალაიეტა (15)**
**იუვენტუსი: ბუფონი, ბირინდელი (კანავარო 85), ტურამი, მონტერო, ძამბროტა, კამორანეზი (ოლივერა 70), ემერსონი, ტაკინარდი, ნედვედი, იბრაჰიმოვიჩი (კაპო 78), ზალაიეტა**
**მწვრთნელი: ფაბიო კაპელო**
**აიაქსი: ვონკი, ტრაბელსი, ესკუდე, გრიგერა, მაქსველი, ნ. დე იონგი (სნეიდერი 70), გალაშეკი, ბუხარი (მიტია 59), ვან დერ ვაარტი, როსალესი, რ. ბაბელი (ანასტასიუ 79)**
**მწვრთნელი: რონალდ კუმანი**
**გაფრთხილება: მონტერო (32), ვან დერ ვაარტი (32), კამორანეზი (69)**
**მსაჯი: კონრად პლაუცი (ავსტრია)**
**6 865 მაყურებელი**

„იუვენტუსმა“ ზედიზედ მეხუთედ მოიგო და კვლავ 1:0. ამ თამაშის შედეგის მიუხედავად, იგი უკვე გასული იყო მეორე ეტაპზე, მაგრამ მიღწეულით დაკმაყოფილება არ იკადრა და „აიაქსსაც“ ნაღდი ბრძოლა გაუმართა. შეხვედრის ერთადერთი გოლი მე-15 წუთზე მაურო კამორანეზის პასით მარსელო ზალაიეტამ გაიტანა. დამარცხებულ ამსტერდამელებს ერთადერთის იმედიღა აქვთ — ცხრილში მესამე ადგილზე გავიდნენ და სეზონი უეფას თასზე გადასულებმა განაგრძონ, თუმცა საამისოდ მათ 8 დეკემბერს „ბაიერნი“ უნდა დაამარცხონ.

მატჩის შემდეგ „იუვენტუსის“ მწვრთნელმა, ფაბიო კაპელომ განაცხადა: „დღევანდელ სწრაფ შეხვედრაში ორივე გუნდმა კარგად ითამაშა. მინდოდა გაგვემარჯვა, რადგან წინა შეხვედრა იტალიის თასზე ბერგამოში, „ატალანტასთან“ წავაგეთ და ამ დამარცხებაზე ჩემი ფეხბურთელების რეაქცია მჭირდებოდა და მათაც ზუსტად ის გააკეთეს, რაც ვუთხარი. განსაკუთრებით მომეწონა ალესიო ტაკინარდის, პაოლო მონტეროს და მარსელო ზალაიეტას თამაში, მით უფრო, რომ ამ ტრიოს მიმდინარე სეზონში ბევრ მატჩში მონაწილეობა არ მიუღია. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ძალიან კარგად ვითამაშეთ დაცვაში და ისეთ გუნდს, როგორიც „აიაქსია“, ბევრი მომენტი არ შევაქმნევინეთ. ვფიქრობ, გამარჯვებას ნამდვილად ვიმსახურებდით.

„აიაქსის“ მწვრთნელი რონალდ კუმანი: „ასე დამარცხება საწყენია. მთელი მატჩის განმავლობაში ერთადერთი შეცდომა დავუშვით და „იუვენტუსმა“ ისარგებლა. სამწუხაროა, რომ ასეთი რამ პირველად არ გვემართება, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ტიპის შეცდომების გამოსასწორებლად მუშაობა გვმართებს. თან, გაშვებული გოლის შემდეგ საკმაოდ კარგად ვითამაშეთ, მაგრამ, როგორც გაირკვა, ეს საკმარისი არ გამოდგა. ჩვენ დიდებული საგოლე მომენტი გვქონდა, მაგრამ სამწუხაროდ, რაიან ბაბელის დარტყმა კარში არ შევიდა. ერთი სიტყვით, ამიერიდან უეფას თასზე გადასვლალა დაგვრჩა საბრძოლველი, თუმცა, რომ გითხრათ, თითქოს ამ თამაშამდე ჩემპიონთა ლიგაში დარჩენის და წინსვლის იმედი მქონდა დარჩენილი, არ ვიქნები მართალი. მოკლედ, ყველაფერი ჩვენს ხელთაა, „ბაიერნი“ უნდა დავამარცხოთ“.

„იუვენტუსის“ მეკარემ, ჯანლუიჯი ბუფონმა კი განაცხადა, რომ ამ შემოდგომაზე მისი გუნდი ძალიან დაბალანსებულია და ჩინებულ ფორმაშიც არის. ფეხბურთელები მზადა არიან ყველაფერი გაიღონ გამარჯვებისთვის და ამას ემატება ის, რომ რამდენიმე მათგანი საგანგებო ნიჭითაა დაჯილდოვებული, ანუ ნებისმიერ წამს შეუძლია თამაშის ბედი შემოატრიალოს.

იუვენტუსელთა დაცვა ძალიან მოეწონა მეტოქის ნახევარმცველს. რაფაელ ვან დერ ვაარტს, რომელმაც იგრძნო, რომ ბუფონის კართან სახიფათო მომენტის შექმნა ძალიან ძნელი საქმეა.

„მე თუ მკითხავთ, დღეს ევროპაში ასეთი დაცვა არავის ჰყავს. ერთ გოლს გაიტანენ და მორჩა, თამაში დამთავრებულია“ — თქვა ვან დერ ვაარტმა.

**ბაიერნი 5:1 მაკაბი**

**1:0 პიზარო (12), 2:0 სალიჰამიჯიჩი (37), 3:0 ფრინგსი (44), 3:1 დაგო (663), 4:1, 5:1 მაკაი (71, 80)**
**ბაიერნი: კანი, სანიოლი (დაისლერი 46), ლუსიო, რობერტ კოვაჩი, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი (კუფური 36), ბალაკი, ფრინგსი, შვაინსტაიგერი (შოლი 28), მაკაი, პიზარო**
**მწვრთნელი: ფელიქს მაგათი**
**მაკაბი: შტრაუბერი, პანცილი, ჯოვანინი, სტროოლი, აბო-საიმი, ლ. კოენი (ბიტონი 71), მიშაელოფი, დაგო, ტ. კოენი, მესიკა (რეისი 46), ი. ადო (მბამბა 78)**
**მწვრთნელი: ნირ კლინგერი**
**მსაჯი: ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)**
**45 000 მაყურებელი**

„ბაიერნმა“ „მაკაბის“ 5:1 მოუგო და ჩემპიონთა ლიგის მეორე ეტაპზე გავიდა. გოლები კლაუდიო პიზარომ, ჰასან სალიჰამიჯიჩმა, ტორსტენ ფრინგსმა და როი მაკაიმ გაიტანეს — მაკაიმ 71-ე და მე-80 წუთებზე ორი შეაგდო, თუმცა ჰოლანდიელამდე, ანუ როდესაც ანგარიში ჯერ 3:0 იყო, თელ ავივის გუნდიდან ბარუხ დეგომ შეაგდო ერთი.

მაკაი: „თამაშის ბედი მეთორმეტე წუთზევე გაირკვა, როდესაც პიზარომ გაიტანა. მაშინ დავრწმუნდით, რომ სულელურ შეცდომებს აღარ დავუშვებდით. „მაკაბიმ“ დეგოს გოლით თამაშს ინტერესი კი დაუბრუნა, მაგრამ საბედნიეროდ, მე კიდევ ორის შეგდება შევძელი და დიდი ანგარიშითაც გავიმარჯვეთ“.

„მაკაბის“ მწვრთნელმა, ნირ კლინგერმა კი განაცხადა, რომ მას შესვენებისას თავისი ფეხბურთელებისთვის სათამაშო სქემა არ შეუცვლია, რადგან „მაკაბი“ „ბაიერნის“ დონის გუნდი არ არის და ასეთი ათი წლის მერეც არ იქნება.

„ჩვენ რამდენიმე მომენტი შევქმენით და ეს ჩვენი მაქსიმუმი იყო — დასძინა კლინგერმა — ანგარიში კი მართლაც უსიამოვნო გახლდათ. ვიმედოვნებ, რომ შემდეგ შეხვედრაში უკეთ ვითამაშებთ. ჩემს ფეხბურთელებზე გაბრაზებული არ ვარ. მათ ყველა ღონე იხმარეს და დამარცხებამ გული დასწყვიტათ. ახლა „იუვენტუსთან“ დაგვრჩა ერთი თამაში და უნდა გითხრათ, რომ ამ თამაშს იმედით ვუყურებ. თუ უეფას თასზე გადავალთ, ისრაელს დიდ წარმატებას მოვუტანთ“.

ფელიქს მაგათი, „ბაიერნის“ მწვრთნელი: „დღევანდელი მატჩით აბსოლუტურად კმაყოფილი ვარ. ჩვენთვის გადამწყვეტი მატჩის შთამბეჭდავად მოგება აუცილებელი იყო და ჩვენ ეს შევძელით, თუმცა პირველ წუთებში გაგვიჭირდა, თამაშს უცბად ვერ მოვერგეთ. მიუხედავად შედარებით მძიმე სტარტისა, ბასტიან შვაინსტაიგერი გამოვცვალე, რადგან დაღლილი იყო, ხოლო მისმა შემცვლელმა, მეჰმეთ შოლმა ყველფერს სწორად აუღო ალღო და სწორედ ამის გამო გავიტანეთ მეორე და მესამე გოლები, ახლა ამსტერდამში თავისუფლად ჩავალთ. იქ დასაკარგი არაფერი გვექნება“.

**პაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 5 | 5 | 0 | 0 | 5:0 | 15 |
| ბაიერნი | 5 | 3 | 0 | 2 | 10:3 | 9 |
| აიაქსი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | 3 |
| მაკაბი | 5 | 1 | 0 | 4 | 3:11 | 3 |

VI ტური: 8 დეკემბერი
**აიაქსი — ბაიერნი**
**მაკაბი — იუვენტუსი**

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური

## D ჯგუფი

# ისევ და ისევ ღვინითა

## ფერგიუსონის ჰარიჰარალე






**მანჩესტერი 2:1 ლიონი**

1:0 ნევილი (19), 1:1 დიარა (40), 2:1 ვან ნისტელროი (53)
**მანჩესტერი:** კეროლი, გ. ნევილი (ბრაუნი 46), ფერდინანდი, სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, კინი (ფორჩუნი 90), სქოულზი, სმიტი, რუნი, ვან ნისტელროი (ფლეტჩერი 72)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
**ლიონი:** პიუდებუა, რეველიერი, ლ. დიაჩა, კრისი, ბერტოდი, მ. დიარა, ესიენი, ჟუნინიო პერნამბუკანო, გოვუ (ვილტორდი 60), ნილმარი (მალუდა 72), ფრო (ბერგონო 72)
მწვრთნელი: პოლ ლე გუენი
გაფრთხილება: კინი (65)
მსაჯი: კიმ-მილტონ ნილსენი (დანია)
66 398 მაყურებელი

სეზონის დაწყებიდან „ლიონმა“ დაუმარცხებლად იარა, მაგრამ გუშინწინ „ოლდ ტრეფორდზე“ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ დააჩოქა. „ლიონის“ პრეზიდენტი ჟან-მიშელ ოლა იმუქრებოდა, ალექს ფერგიუსონს საიუბილეო მე-1000 მატჩი უნდა ჩაუმწაროო, მაგრამ მისი კლუბი იუბილეზე „იმსხვერპლეს“.

რუუდ ვან ნისტელროიმ ჩემპიონთა ლიგაში გამართულ 37-ე მატჩში 36-ე გოლი მიითვალა, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ამავე ტურნირში 200 გოლი მოაქუჩა.

„ჩარლტონთან“ დასვენებული გაბრიელ ჰაინცე, კრისტიანო რონალდო და გარი ნევილი ძირითად შემადგენლობაში იყვნენ, ანგარიში კი ასე გაიხსნა — ალან სმიტმა მარჯვენა ფლანგიდან ჩააწოდა, ვან ნისტელროიმ ახლოდან დაჰკრა და მცველის მიერ კარის ხაზიდან გადმოგდებული ბურთი ნევილმა სამიოდ მეტრიდან ბადეში შეტენა. გოლამდე ხუთი წუთით ადრე უეინ რუნიმ ძელი შეატოკა. ყმაწვილ ინგლისელს ამ მატჩში რამდენიმე კარგი მომენტი ჰქონდა, მაგრამ სამიზნე ვერ გაისწორა.

ლიონელებმა პირველივე ტაიმში გაათანაბრეს. საკუთარ კართან მეტოქის შეტევა ჩაშალეს და ბურთი მაჰამადუ დიარამ მოიგდო, რომელმაც თანაგუნდელთან გათამაშების შემდეგ ოცდახუთიოდ მეტრიდან დაჰკრა. როი კეროლი ბურთს ჩაუწვა, მაგრამ ვერ მოიხელთა და ბადეში შეგორებულს თვალიღა გააყოლა.

იუბილარი მწვრთნელი მეორე ტაიმში რუუდ ვან ნისტელროიმ გაახარა. მცველის ზურგსუკან ჩასაფრებულმა ჰოლანდიელმა ფლანგიდან ჩაწოდებული ბურთი კარში ახლოდან თავით შეაგდო. წუთის შემდეგ რუუდ ვან ნისტელროის მეორის გატანაც შეეძლო, მაგრამ მცირედი დააკლდა.

ალექს ფერგიუსონისთვის 18 წლის განმავლობაში ეს 564-ე გამარჯვება აღმოჩნდა. შოტლანდიელმა ნამატჩევს თქვა: „ჩემთვის ფანტასტიკური საღამო იყო. მთელი დღის განმავლობაში ვნერვიულობდი, მაგრამ საკუთარი თავი დავამშვიდე. „ლიონმა“ კარგად ითამაშა. მიხარია, რომ ბიჭებმა ასეთ ძლიერ გუნდს მოუგეს და საჩუქარი მიძღვნეს“.

„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა დირექტორმა დევიდ გილმა მატჩამდე ალექს ფერგიუსონს წითელი ღვინო აჩუქა, თამაშის განმავლობაში კი ქომაგები ყვიროდნენ: „ადექი, თუ გიყვარს ფერგი“.

**სპარტა 0:1 ფენერბაჰჩე**

0:1 კოვაჩი (21ს.კ.)
**სპარტა:** ბლაჟეკი, ვორიშეკი, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში, ლაბანტი (მედუნა 60), შიმაკი (ბარანეკი 77), შივოკი, ზელენკა, ურბანეკი, იუნი, რეჟეკი (პაჩანდა 46)
მწვრთნელი: ფრანტიშეკ სტრაკა
**ფენერბაჰჩე:** რუშთუ (ვოლქანი 46), უმით ოზატი (ფაბიანო 85), ონდერი, ფაბიო ლუსიანო, კემალი, ალექსი, მარკო აურელიო, სელჩუკი, შემერი, ნონრე, თუნჯაი
მწვრთნელი: კრისტოფ დაუმი
გაფრთხილება: რეჟეკი (43), ფაბიო ლუსიანო (85), თუნჯაი (87)
მსაჯი: ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)
11 507 მაყურებელი

„ფენერბაჰჩემ“ პრაღაში იმარჯვა და უეფას თასზე გადაინაცვლებს, „სპარტა“ კი ამ სეზონში სალიგოდ აშკარად მზად არ იყო, რადგან ხუთ შეხვედრაში ორი კინკილა გოლი გაიტანა და ერთი ქულა მიითვალა.

მასპინძელთა მცველ რადოსლავ კოვაჩისთვის უიღბლო დღე გამოდგა — მეკარეს ხელი შეუშალა და ბურთი საკუთარ კარში თავით შეაგდო. სპარტელები გასათანაბრებლად უტევდნენ, მაგრამ ნაღდი საგოლე მომენტები გაანიავეს. ნამატჩევს თურქთა მწვრთნელმა კრისტოფ დაუმმა განაცხადა: „ორივე გუნდს ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი აკლდა და თამაშიც მთლად კარგი ვერ გამოვიდა, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანი ისაა, რომ ევროსარბიელზე დავრჩით.

„მე კოვაჩი არ დამინახავს ისე უცბად გამოხტა. ცუდია, მაგრამ რას ვუშველი?“ — თქვა „სპარტას“ დაღონებულმა მეკარე იარომირ ბლაჟეკმა.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 5 | 3 | 2 | 0 | 14:6 | 11 |
| ლიონი | 5 | 3 | 1 | 1 | 12:8 | 10 |
| ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 0 | 3 | 7:13 | 6 |
| სპარტა | 5 | 0 | 1 | 4 | 2:8 | 1 |

VI ტური: 8 დეკემბერი
ფენერბაჰჩე — მანჩესტერი
ლიონი — სპარტა

## რატომ დადუმდა სერ ალექსი

სერ ალექს ფერგიუსონი BBC-ს ინტერვიუს აღარ აძლევს: ასეა მას შემდეგ, რაც BBC-იმ სიუჟეტი მოამზადა ფერგისა და მის ვაჟ ჯეისონზე, საფეხბურთო აგენტზე.

სამშაბათს, „ლიონთან“ თამაში მეათასე და საიუბილეო იყო სერ ალექსისთვის „მანჩესტერის“ სათავეში და იქ ყველა ჟურნალისტს ელაპარაკა, BBC-ის გარდა. თავადვე დაურეკა კომპანიის სპორტის დირექტორს ნილ სლოუნს, თქვენთვის სამუდამოდ დავდუმდებიო. სიუჟეტი კი, რომელიც სექტემბერში გავიდა ჯეისონის და მამამისის მიერ საქმეების ჩარხვას ეხებოდა.

ფერგი გაბრაზდა. BBC-იმ კი მენეჯერთა ასოციაციასაც მიმართა, ეგ კაცი შემოგვირიგეთო, მაგრამ არაფერი გამოვიდა.

გადაცემაში კი იმაზე იყო ლაპარაკი, რომ „მანჩესტერის“ მოწინავე ფეხბურთელთა უმრავლესობა სწორედ ჯეისონ ფერგიუსონის სააგენტო „ელიტ-ეიჯენსის“ გავლით მოხვდა გუნდში. ახლა „მანჩესტერს“ ყველანაირი კავშირი გაწყვეტილი აქვს „ელიტთან“, მერე ეს საქმე წვრილადაც გამოიძიეს, ოლონდაც დარღვევები ვერ აღმოაჩინეს.

ფერგი კი ისედაც რჩება ერთადერთ მენეჯერად, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციებს რომ არ ესწრება, ჩემპიონთა ლიგაშიც კი.



ჯეისონ პერიმანმა რასისტობა აღიარა

## იორკში ავისმთქმელები დაიჭირეს

დუაიტ იორკის მაგინებლები გუშინ სასამართლოში მიიყვანეს. შეგახსენებთ, რომ ყოფილ ბლექბერნელს, ამჟამად კი „ბირმინგემის“ ფორვარდ დუაიტ იორკს გასულ კვირას ბლექბერნში რასისტული შეძახილებით შეხვდნენ და საქმეც ამის გამო აღიძრა. ეჭვმიტანილები, ჯეისონ პერიმანი და დევიდ ეშკროფტი პოლიციაში თავის ნებით გამოცხადდნენ, რაკი შეიტყვეს, რომ სწორედ მათ ეძებდნენ. 22 წლის პერიმანმა დანაშაული აღიარა. სასამართლომ იგი 1 000 გირვანქით დააჯარიმა, მაგრამ ეს არაფერია იმასთან შედარებით, რომ 22 წლის ვაი-ქომაგს 5 წლით ფეხბურთის მატჩებზე დასწრება აუკრძალეს.

პერიმანზე ერთი წლით უმცროსმა ეშკროფტმა კი უარყო ბრალდება და იგი თავდებით გაათავისუფლეს. მის საქმეს 22 დეკემბერს გაარჩევენ.

**ვაჟა ხუციშვილი**

## რომას კასანო არ ეთმობა




„რომა“ კატეგორიულად უარყოფს ხმებს, რომ საახალწლოდ ანტონიო კასანოსა და ოლივიე დაკურს გაყიდის.

„თვალსაჩინო ფეხბურთელი ჩვენს გუნდს არ გამოაკლდება“ — დაბეჯითებით ბრძანებს კლუბის სპორტული დირექტორი ფრანკო ბალდინი. არადა, შეგახსენებთ, რომ კასანოს ეს შემოდგომა საკმაოდ მძიმე გამოადგა და თითქმის არავის ეეჭვებოდა, რომ „რომა“ მას გაყიდდა. მართლაც ძნელია დაიჯერო, რომ გუნდში დატოვებენ კაცს, რომელიც ცოტა ხნის წინ დათხოვნილიც კი ჰყავდათ, რადგან ვერაფრით ეგუებოდა ახალ მწვრთნელს, ლუიჯი დელ ნერის. გარდა ამისა, ძალიან მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კასანოს კონტრაქტს ვადა 2006 წელს გაუდის, რაც „რომას“ ცოტა არ იყოს, დისკომფორტს უქმნის და აჩქარებს. ვინაიდან თუ კასანო თავისუფალი აგენტი გახდება, კლუბი კაპიკსაც ველარ მიიღებს.

კასანოს გარდა, საუბარი იყო „ბარსელონაში“ დაკურის წასვლაზე. კატალონიელებს ნახევარმცველები დაშავებული ჰყავთ და ახლის ძიებაში გახლავან, თუმცა დაკური მათი ერთადერთი კანდიდატი არ არის.

მეორე მხრივ, ბალდინიმ განაცხადა, რომ ზოგი ფეხბურთელის გაყიდვა მართლაც შესაძლებელია. კერძოდ, ლაპარაკია ვენსან კანდელაზე, გაეტანო დაგოსტინოზე, ტრაიანოს დელასსა და მარკო დელვეკიოზე. გარდა ამისა, ბალდინის მწვრთნელის, ლუიჯი დელ ნერის ამბავიც ჰკითხეს. ზედიზედ მეოთხე მარცხის შემდეგ ხომ არ აპირებს კლუბი კიდევ ერთი მწვრთნელის გაშვებას?

„როდესაც მასთან ხელშეკრულება გავაფორმეთ, ვიცოდით, რომ ძალიან კარგ მწვრთნელს ვყიდულობდით. ამაში ახლაც არ გვეპარება ეჭვი“ — თქვა დირექტორმა.

**პაპუნა ძიძია**

# რაო?!

## ადრიანოს ესპანეთზე არც უფიქრია

*ადრიანოს შესახებ დაიწერა, რომ მას „ინტერიდან" ესპანეთში უნდა გადასვლა, რამაც თავდამსხმელი ძალიან გააბრაზა*



„არასოდეს არაფერი მითქვამს „ინტერის" საწინააღმდეგო — განაცხადა ბრაზილიელმა სამშობლოდან დაბრუნების შემდეგ — ასეთმა ჭორებმა გამაბრაზა და ცოტა დამამწუხრა კიდეც. მე ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებდი, ვამბობდი, რომ აქ დარჩენა მინდა და აქ ყოფნა ძალიან მსიამოვნებს. „ინტერი" ჩემი მეორე ოჯახია და მის გამო ბევრი შემოთავაზება ვიუარე".

არადა საინტერესოა, რომ „კორიერე დელა სერამ" ადრიანოს ისეთი ციტატები გამოაქვეყნა, რომელიც ფეხბურთელის სულ სხვა განწყობას უსვამდა ხაზს. იყო, მაგალითად, ასეთი ფრაზები: „ინტერში" გამარჯვებისთვის საჭირო გარემო არ არის. აქ მე თავს მარტოსულად ვგრძნობ".

ასეთმა ფრაზებმა ბუნებრივად გააძლიერა მანამდე არსებული ეჭვი, რომ ადრიანო „რეალის" პრეზიდენტს, ფლორენტინო პერესს მოსწონს და მის შესაძენად მზადაა „ბარსელონას" გაუწიოს კონკურენცია.

„ვიმეორებ, რაც ბრაზილიაში ვარ, ერთი გაზეთისთვის არ მიმიცია ინტერვიუ და მით უფრო „ინტერის" აუგი არ წამომცდენია. ამიტომ, სტატია, რომელიც ჩემს შესახებ გამოქვეყნდა, აშკარაა, მიზნად ექვსი საშინაო ფრის შემდეგ ჩვენს ბანაკში არეულობის ჩამოგდებას ისახავს".

მოგეხსენებათ, გუშინ, ჩემპიონთა ლიგაში „ვერდერის" წინააღმდეგ ადრიანოს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, ასე რომ, მთლიანად საკვირაოდ, „იუვენტუსთან" თამაშისთვის არის დაკავებული.

„ახლა გაორმაგებული ძალით ვვარჯიშობ, რათა მზად ვიყო იმ თამაშისთვის, რომელიც აუცილებლად უნდა მოვიგოთ. და ამ შეხვედრაში მე ისევ ის ფეხბურთელი ვიქნები, ვინც იღიმება და თამაში სიამოვნებს".

**პაპუნა ძიძია**

## ოქტომბერი: კოკაინის თვე

### იგიტა ცხვირს აწვალებს

კოლუმბიის ნაკრების ყოფილ მეკარე რენე იგიტას სისხლში კოკაინის სტუმრობა დაუმტკიცეს. 38 წლის იგიტა ეკვადორის „აუკუსში" თამაშობდა და იგი გუნდიდან მოკვეთეს. „ოქტომბერში „აუკუსისა" და „ოლმედოს" მატჩის შემდგომმა ტესტმა დაადასტურა, რომ მეკარეს კოკაინი უყნოსია" — განაცხადა ექიმმა რომულო აგილარმა.

რენე იგიტა, მეტსახელად „ელ ლოკო" (გიჟი) „აუკუსში" გასულ იანვარში გადავიდა. „მან მითხრა, რომ ეს შესაძლოა, ძველის ნარჩენი იყოს, მაგრამ არ მჯერა მისი". — თქვა კლუბის თავმჯდომარე ხაიმე პერესმა.

კოლუმბიელი მეკარე ყნოსვაში ორი წლის წინ, ოქტომბერშიც ამხილეს. მაშინ კოლუმბიის პროვინციული გუნდ „პერეირაში" თამაშობდა და ექვსმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს.

**ვაჟა ხუციშვილი**




**უკრაინელ** ვადიმ აბრამოვს, რომელმაც გასული ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას გულის არეში დანის დარტყმით ინგლისის ნაკრების ქომაგი, 28 წლის სტეფან სმიტი მოკლა, 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. „ვფიქრობ, ჩემი შვილის სიცოცხლე ბევრად მეტი ღირს, ამ განაჩენით თავს შეურაცხყოფილად ვგრძნობ. თანაც შესაძლოა, დამნაშავეს, თუ კარგად მოიქცა, 13 წელი 6-მდე შეუმცირდეს. უბრალოდ, ეს უსამართლობაა" — აღნიშნა გარდაცვლილის მამა ჯონ სმიტმა.

**კამერუნელ** ნახევარმცველ ჯერემი ნჯიტაპს ლონდონის „ჩელსიდან" წამოსვლა უნდა. გუნდში ჟოზე მაურინიუს მისვლის შემდეგ 26 წლის ფეხბურთელი „არისტოკრატთა" ძირითადში საერთოდ ველარ ხვდება. სავარაუდოდ, იანვარში აფრიკელს ტრანსფერზე დააყენებენ. ცნობილია, რომ მისი გაბირება რამდენიმე ესპანურ და ერთ რუსულ კლუბს სურს, ხოლო ყველაზე მეტად დონეცკის „შახტარი" აქტიურობს.

**ჰოლანდიელ** ნახევარმცველ ანდი ვან დერ მეიდეს იტალური „რომა" კონტრაქტს სთავაზობს. სერიოზულ კრიზისში მყოფ რომაელებს შუა ხაზის გაძლიერება უნდათ და ახალ ფეხბურთელს ეძებენ. ვან დერ მეიდე კი მილანის „ინტერის" ძირითად შემადგენლობაში ველარ ხვდება და გუნდის გამოცვლაზე ფიქრობს. ახალგაზრდა ფეხბურთელით ინგლისური „მიდლსბროც" არის დაინტერესებული.

**ესპანური** „ბარსელონას" შვედმა ფორვარდმა ჰენრიკ ლარსონმა კლუბთან კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. შეგახსენებთ, რომ სკანდინავმა მადრიდის „რეალთან" მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო და ექვსი თვით ჩამოშორდა ფეხბურთს. ამის გამო 33 წლის ფეხბურთელი კარიერის დასრულებაზეც კი ფიქრობდა, მაგრამ კატალონიელთა ხელმძღვანელობამ შვედი მნიშვნელოვნად წაახალისა. „განცვიფრებული და გახარებული ვარ გუნდის ასეთი გადაწყვეტილებით. ეს ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს და დიდ მადლობას ვუხდი ჩვენს პრეზიდენტს ხუან ლაპორტას" — განაცხადა ლარსონმა.

**ხორვატული** „დინამო" კრიზისიდან გამოსვლას ახალი მწვრთნელის მეშვეობით შეეცდება. ზაგრებული კლუბი ორი წლით 60 წლის ილია ლონკარევიჩს ჩააბარეს. აღსანიშნავია, რომ გამოცდილი სპეციალისტი უკვე მესამედ გახდა „დინამოს" თავკაცი. ლონკაროვიჩს პირველი გამოცდა დღეს უეფას თასზე პორტუგალიურ „ბენფიკასთან" მატჩში ელის.

**უკრაინული** „შახტარი" კვლავ კარლოს ტევესის შეძენას ცდილობს. დონეცკელები მზად არიან, 20 მილიონი ევრო გადაიხადონ, თუმც თავად 20 წლის ფეხბურთელს ბრაზილიურ „კორინთიანსში" გადასვლა უფრო ხიბლავს. მისი თქმით, ოჯახისგან შორს ცხოვრება არ უნდა და სამხრეთ ამერიკის დატოვებას ჯერ არ აპირებს. უკრაინელები „ბოკა ხუნიორსის" არგენტინელ ფორვარდთან მოლაპარაკებებს განაგრძობენ.

**ჰოლანდიური** პსვ-ს ნახევარმცველი მარკ ვან ბომელი შესაძლოა, მადრიდის „რეალში" აღმოჩნდეს. ფეხბურთელს კლუბთან კონტრაქტი მომავალ ზაფხულს უმთავრდება და თუ მხარეები მას უახლოეს მომავალში არ გააზანგრძლივებენ, ვან ბომელი იანვარში გუნდს გამოცვლის. „სამეფო კლუბმა" ფეხბურთელთან წინასწარი შეთანხმება გააფორმა და ახლა თუ ვან ბომელი პსვ-ს დატოვებს, მისი შეძენის უფლებმა პირველ რიგში „რეალს" ექნება. აღსანიშნავია, რომ ჰოლადიელით „ბარსელონა" და „ტოტენჰემიც" იყვნენ დაინტერესებულნი.

**ინგლისური** „მანჩესტერი" კვლავ ნახევარდაცვის გაძლიერებაზე ფიქრობს. „წითელმა ეშმაკებმა" ამჯერად დანიელ თომას გრავესენს დაადგეს თვალი. ამბობენ, ალექს ფერგიუსონი სკანდინავის სანაცვლოდ „ევერტონს" ფილ ნევილს სთავაზობსო.

## ინგლისი

### პრემიერლიგა. XI ტური

**ასტონ ვილა 1:0 ტოტენჰემი**

1:0 სოლანო (57)

ასტონ ვილა: სორენსენი, დე ლა კრუზი, მელბერგი, დილანი, ჯ. სამუელი, სოლანო (ლ. მური 86), გ. მაკკანი, შ. დევისი, ჰიცლშპერგერი (ბერი 76), ქ. კოული, პ. ანხელი

მწვრთნელი: დევიდ ოლირი

ტოტენჰემი: პ. რობინსონი, ნაიბეტი, კინგი, პამარო, ედმანი (ციგლერი 46), კარიკი, პ. მენდეში (რობი კინი 69), ატუბა, მ. ბრაუნი, დეფო (დევენპორტი 83), კანუტი

მწვრთნელი: მარტინ იოლი

მსაჯი: ფოი

35 702 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 14 | 10 | 3 | 1 | 23:6 | 33 |
| არსენალი | 14 | 9 | 4 | 1 | 38:18 | 31 |
| ევერტონი | 14 | 9 | 2 | 3 | 16:11 | 29 |
| მიდლსბრო | 14 | 7 | 4 | 3 | 24:16 | 25 |
| ასტონ ვილა | 14 | 6 | 6 | 2 | 20:14 | 24 |
| მანჩესტერი | 14 | 6 | 6 | 2 | 16:10 | 24 |
| ბოლტონი | 14 | 6 | 5 | 3 | 22:18 | 23 |
| ლივერპული | 13 | 6 | 2 | 5 | 21:15 | 20 |
| ნიუკასლი | 14 | 5 | 4 | 5 | 26:26 | 19 |
| ჩარლტონი | 14 | 5 | 3 | 6 | 17:23 | 18 |
| სიტი | 14 | 4 | 5 | 5 | 17:14 | 17 |
| პორტსმუთი | 13 | 4 | 3 | 6 | 17:20 | 15 |
| ფულემი | 14 | 4 | 2 | 8 | 17:25 | 14 |
| ბირმინგემი | 14 | 2 | 7 | 5 | 11:14 | 13 |
| ტოტენჰემი | 14 | 3 | 4 | 7 | 12:17 | 13 |
| კრ. პალასი | 14 | 3 | 3 | 8 | 15:21 | 12 |
| საუთჰემპტონი | 14 | 2 | 5 | 7 | 13:19 | 11 |
| ნორვიჩი | 14 | 1 | 8 | 5 | 13:24 | 11 |
| ვესტ ბრომვიჩი | 14 | 1 | 7 | 6 | 13:25 | 10 |
| ბლექბერნი | 14 | 1 | 7 | 6 | 14:29 | 10 |

### I ლიგა. გადადებული მატჩი

**ტორკი 1:0 რედსები**

### ასოციაციის თასი
### I ეტაპი. გადათამაშება

კარლაილი — როვერსი 1:0დ.დ.(0:0); კოლჩესტერი — მენსფილდი 4:1; მაკლსფილდი — ალფრეტონი 2:0; იოვილი — დარლინგტონი 1:0

## პორტუგალია

### სუპერლიგა. XI ტური

**აკადემიკა 1:1 ბელენენსეში**

1:0 დარიუ (40), 1:1 ტავარეში (77)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 11 | 6 | 4 | 1 | 18:7 | 22 |
| ბენფიკა | 11 | 6 | 4 | 1 | 19:10 | 22 |
| სეტუბალი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:14 | 20 |
| ბოავიშტა | 11 | 6 | 2 | 3 | 13:12 | 20 |
| ბრაგა | 11 | 5 | 4 | 2 | 15:10 | 19 |
| მარიტიმუ | 11 | 5 | 4 | 2 | 14:10 | 19 |
| სპორტინგი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:14 | 18 |
| ბელენენსეში | 11 | 4 | 3 | 4 | 20:17 | 15 |
| რიუ ავე | 11 | 2 | 8 | 1 | 13:13 | 14 |
| ლეირია | 11 | 3 | 5 | 3 | 12:13 | 14 |
| ესტორილი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:16 | 12 |
| ნასიონალი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:15 | 12 |
| აკადემიკა | 11 | 3 | 2 | 6 | 10:14 | 11 |
| პენაფიელი | 11 | 3 | 2 | 6 | 12:24 | 11 |
| გიმარაეში | 11 | 2 | 4 | 5 | 8:11 | 10 |
| ბეირა მარი | 11 | 2 | 4 | 5 | 15:22 | 10 |
| ჟილ ვისენტე | 11 | 2 | 2 | 7 | 10:15 | 8 |
| მორეირენსე | 11 | 1 | 5 | 5 | 9:17 | 8 |

## შოტლანდია

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩი

**ინვერნესი 1:1 დანდი იუნ.**

1:0 ხუანხო (50), 1:1 მაკინტირი (63)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 15 | 12 | 1 | 2 | 38:15 | 37 |
| რეინჯერსი | 15 | 11 | 3 | 1 | 30:5 | 36 |
| აბერდინი | 15 | 8 | 4 | 3 | 18:14 | 28 |
| ჰიბერნიანი | 15 | 7 | 3 | 5 | 24:22 | 24 |
| ჰართსი | 15 | 6 | 5 | 4 | 13:10 | 23 |
| მოზერუელი | 15 | 6 | 2 | 7 | 21:20 | 20 |
| კილმარნოკი | 15 | 6 | 2 | 7 | 21:25 | 20 |
| დანფერმლაინი | 15 | 4 | 4 | 7 | 15:20 | 16 |
| ინვერნესი | 15 | 3 | 4 | 8 | 15:24 | 13 |
| დანდი იუნ. | 15 | 2 | 6 | 7 | 15:26 | 12 |
| დანდი | 15 | 3 | 3 | 9 | 15:29 | 12 |
| ლივინგსტონი | 15 | 2 | 3 | 10 | 12:27 | 9 |

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩები

**ფოლკირკი 3:0 პარტიკი**

**როსი 1:1 რეითი**

## ამხანაგური მატჩი

**საამიროები 2:3 ბელარუსი**

1:0 ობაიდი (21), 1:1 შკაბარა (22), 1:2 კოველი (60), 2:2 მასუდი (74), 2:3 კულჩი (90)

## გერმანია

### II ბუნდესლიგა. XIV ტური

**კოტბუსი 1:2 ალემანია**

1:0 რეგეჯამპფი (14), 1:1 კლიცპერა (27), 1:2 როლფსი (41)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 14 | 10 | 2 | 2 | 26:15 | 32 |
| დუისბურგი | 14 | 9 | 2 | 3 | 20:12 | 29 |
| ფიურტი | 14 | 8 | 3 | 3 | 17:9 | 27 |
| ალემანია | 14 | 7 | 4 | 3 | 28:13 | 25 |
| ბურგჰაუზენი | 14 | 5 | 4 | 5 | 18:16 | 19 |
| მიუნხენი | 13 | 5 | 4 | 4 | 20:19 | 19 |
| ალენი | 14 | 4 | 7 | 3 | 15:14 | 19 |
| ზაარბრიუკენი | 14 | 5 | 3 | 6 | 18:16 | 18 |
| აინტრახტი | 14 | 5 | 3 | 6 | 25:26 | 18 |
| ტრირი | 14 | 4 | 6 | 4 | 17:19 | 18 |
| აუე | 14 | 5 | 2 | 7 | 18:17 | 17 |
| კარლსრუე | 14 | 4 | 5 | 5 | 16:18 | 17 |
| უნტერჰახინგი | 14 | 5 | 1 | 8 | 19:21 | 16 |
| კოტბუსი | 14 | 4 | 4 | 6 | 13:16 | 16 |
| დინამო | 14 | 4 | 2 | 8 | 16:25 | 14 |
| ერფურტი | 14 | 3 | 5 | 6 | 7:18 | 14 |
| ესენი | 13 | 2 | 6 | 5 | 19:25 | 12 |
| ობერჰაუზენი | 14 | 3 | 3 | 8 | 14:27 | 12 |

## იტალია

### სერია B. XIV ტური

**ვიჩენცა 1:2 ტორინო**

0:1 მარაცინა (37), 0:2 პინგა (44), 1:2 შვოხი (85)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 14 | 9 | 3 | 2 | 25:12 | 30 |
| ჯენოა | 14 | 8 | 5 | 1 | 33:14 | 29 |
| ტორინო | 14 | 8 | 3 | 3 | 19:11 | 27 |
| პერუჯა | 14 | 7 | 4 | 3 | 22:14 | 25 |
| პიაჩენცა | 14 | 7 | 1 | 6 | 21:22 | 22 |
| ვერონა | 14 | 6 | 3 | 5 | 25:19 | 21 |
| ასკოლი | 14 | 6 | 3 | 5 | 17:20 | 21 |
| ალბინოლეფე | 14 | 5 | 5 | 4 | 21:18 | 20 |
| ვიჩენცა | 14 | 6 | 1 | 7 | 22:20 | 19 |
| ტრიესტინა | 14 | 5 | 4 | 5 | 19:21 | 19 |
| კატანია | 14 | 5 | 4 | 5 | 17:21 | 19 |
| ტრევიზო | 14 | 5 | 3 | 6 | 16:20 | 18 |
| არეცო | 14 | 3 | 8 | 3 | 23:19 | 17 |
| ჩეზენა | 14 | 4 | 5 | 5 | 18:22 | 17 |
| კატანძარო | 14 | 4 | 4 | 6 | 16:20 | 16 |
| ტერნანა | 14 | 4 | 4 | 6 | 15:20 | 16 |
| მოდენა | 14 | 5 | 2 | 7 | 13:16 | 14 |
| პესკარა | 14 | 3 | 5 | 6 | 14:20 | 14 |
| ბარი | 14 | 3 | 5 | 6 | 11:15 | 13 |
| კროტონე | 14 | 3 | 4 | 7 | 13:19 | 13 |
| ვენეცია | 14 | 3 | 4 | 7 | 12:18 | 13 |
| სალერნიტანა | 14 | 3 | 4 | 7 | 15:26 | 13 |

*„მოდენას" დაკლებული აქვს 4, „ბარის" 1 ქულა*

## ჩეხეთი

### გამბრინუსლიგა. XIV ტური

**ლიბერეცი 4:0 ტეპლიცე**

1:0 პოლაკი (60), 2:0 კლეინი (65ს.კ.), 3:0, 4:0 პაპოუშეკი (80, 82)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტა | 14 | 11 | 2 | 1 | 30:10 | 35 |
| ტეპლიცე | 14 | 8 | 5 | 1 | 16:10 | 29 |
| ლიბერეცი | 14 | 7 | 4 | 3 | 22:7 | 25 |
| სლავია | 14 | 7 | 3 | 4 | 20:11 | 24 |
| იაბლონეცი | 14 | 6 | 4 | 4 | 16:14 | 22 |
| სიგმა | 14 | 7 | 1 | 6 | 16:15 | 22 |
| ბანიკი | 14 | 4 | 6 | 4 | 18:21 | 18 |
| დრნოვიცე | 14 | 4 | 4 | 6 | 17:18 | 16 |
| ზლინი | 14 | 3 | 6 | 5 | 13:18 | 15 |
| ბრნო | 14 | 4 | 3 | 7 | 11:20 | 15 |
| ბოლესლავი | 14 | 3 | 4 | 7 | 13:18 | 13 |
| ბლშანი | 14 | 3 | 3 | 8 | 7:19 | 12 |
| პრჟიბრამი | 14 | 3 | 3 | 8 | 12:26 | 12 |
| ბუდეიოვიცე | 14 | 2 | 5 | 7 | 13:17 | 11 |
| სლოვაცკო | 14 | 5 | 6 | 3 | 12:8 | 9 |
| ოპავა | 14 | 3 | 5 | 6 | 15:19 | 8 |

*„სლოვაცკოს" დაკლებული აქვს 12, „ოპავას" 6 ქულა*

## იაპონია

### ჯეი ლიგა. XIV ტური

კაშიმა — ვერდი 1:0; კაშივა — ურავა 0:4; იოკოჰამა — ნიიგატა 1:2; ტოკიო — იჩიჰარა 3:3; ივატა — გამბა 1:2; სერეზო — შიმიცუ 2:1; კობე — ნაგოია 2:1; ჰიროშიმა — ოიტა 0:0

## ავსტრია

### I დივიზიონი
### გადადებული მატჩი

**კერნტენი 3:0 რიდი**

## სლოვაკეთი

### I ლიგა. XVIII ტური

სობოტა — პუხოვი 1:1; პეტრჟალკა — ტრენჩინი 1:0; ტრნავა — დუბნიცა 3:0; ჟილინა — ინტერი 1:1; ბანსკა ბისტრიცა — რუჟომბეროკი 0:0

# აკი შემოდგომაო, აკი ევროფეხბურთიო... 500 ათასი, რა, ქორწილია?!



დღეს თბილისს ერთხელაც ეწვევა ევროპული ფეხბურთი. „დინამო“ პორტუგალიური ფეხბურთის ერთ-ერთ ვეშაპ „სპორტინგს“ მასპინძლობს და, ვინ იცის, ეგებ, უეფას თასის ქვეჯგუფიდან გასვლის შანსიც შეინარჩუნოს. საქმე ასეა — თუ დღეს „დინამომ“ მოიგო, ბოლო, მეოთხე ტურის მატჩი ბერძნულ „პანიონიოსთან“ გადამწყვეტი იქნება.

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, დღეს „დინამოს“ უძნელესი გამოცდა ელის და თუ რა მდგომარეობაა გუნდში, თბილისელთა თავკაც გია გეგუჩაძის პრესკონფერენციიდან შეიტყობთ...

„დინამოს“ მთავარი მწვრთნელი ჟურნალისტებს გუშინ „ლოკომოტივის“ საპრესკონფერენციო დარბაზში შეგვხვდა და თავიდან ეს გვითხრა:

— რთული მატჩი გველის, მაგრამ ამაში ახალი და მოულოდნელი არაფერია. გუნდი ჩვეულებრივ რეჟიმში ემზადება, განსაკუთრებული არაფერი ხდება. სამწუხარო ისაა, რომ კვლავაც ვერ ავცდით ტრავმებს და დისკვალიფიკაციებს. ჯანმრთელობის მხრივ პრობლემები აქვთ გრიგალაშვილს, კაშიას და გონჩაროვს. ნემსაძე უკვე ვარჯიშობს და ითამაშებს თუ არა, მალე გავარკვევთ. ალადაშვილი კი დისკვალიფიცირებულია. აი, მოკლედ ესაა, რისი თქმაც მსურდა და ახლა მზად ვარ, კითხვებზე გიპასუხოთ.

— რისი თქმა შეგიძლიათ „სპორტინგზე“?

— ძალიან სერიოზული გუნდია, ყველა რგოლში თანაბრად დაბალანსებული; აგრესიულ და შემტევ ფეხბურთს თამაშობს. „სპორტინგს“ რამდენიმე ისეთი დონის ფეხბურთელიც ჰყავს, რომლებიც ნებისმიერ სხვა გუნდს დაამშვენებდნენ.

— კერძოდ, ვის გამოარჩევთ?

— როჩემბაკი, უგო ვიანა... თუმცა ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ. არ გეგონოთ, რომ ამის გამო მუხლები გვიკანკალებდეს. ჩვენ ჩვენი უნდა ვეცადოთ.

— შეიძლება უხეში შედარება გამოვიდეს, მაგრამ მაინც გკითხავთ: წლეულს ევროთასებზე შეხვედრილ მეტოქეთაგან რომელ ადგილზე დააყენებდით „სპორტინგს“?

— პირველზე. თამაში ხვალ გვაქვს და ჩვენთვის სხვა ყველა მეტოქეზე მნიშვნელოვანი ახლა „სპორტინგია“.

— „სპორტინგის“ თამაშები თუ ნახეთ?

— რამდენიმე თამაშის ფირი ვნახე. ასე რომ, ინფორმაციის ნაკლებობას არ ვუჩივი.

— „დინამო“ სამი თავდამსხმელის გარეშე უკვე წარმოუდგენელიც კი ჩანს. ხვალაც იგივე იქნება?

— ეს კითხვა თითქმის ყოველ პრესკონფერენციაზე მესმის. რა გითხრათ, ხვალ ნახავთ, რა იქნება და რა არა. მოედანზე ყველაფერი გამოჩნდება.

ეს თქვა დინამოელთა თავკაცმა და დაგვემშვიდობა. წუთი-წუთზე „დინამოს“ ვარჯიში იწყებოდა, თუმც მანამდე მატჩამდელ ამბებზე ვთქვათ. კერძოდ, გუშინ საღამომდე მხოლოდ ხუთასიოდე ბილეთი იყო გაყიდული. ვერ გეტყვით, გულშემატკივარი სიცივემ შეაშინა თუ ბილეთის ფასმა (7 და 10 ლარი), თუმც ფაქტია — ასეთი დონის თამაშისთვის ძალიან ცოტაა.

აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია, დღეს ხალხმა ბილეთები დაიტაცოს და ანშლაგი იყოს, მაგრამ ამის მიუხედავად, სტადიონზე უსაფრთხოების ნორმები მაქსიმალურად იქნება დაცული. „დინამოს“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსის გია ისიანის თქმით, სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე პლასტმასის თუ მინის ბოთლებში ჩამოსხმული სასმელის გაყიდვა აიკრძალება, წესრიგს კი 3 ათასამდე სამართალდამცავი უზრუნველყოფს.

...ამასობაში ვარჯიშიც დაიწყო. გასაკვირი არაა, რომ გია გეგუჩაძემ შეგირდები ძირითადად ბურთით ავარჯიშა. ბიჭები ჯანზე არიან და უხასიათობაც არ ეტყობათ. პირიქით, საკმაოდ ხალისიანადაც აგორებდნენ ბურთს.

პორტუგალიელმა ჟურნალისტებმა ჩვენების ვარჯიშის საწყის ათ წუთს უყურეს და მერე სიცივისგან შეწუხებულებმა სტადიონი დატოვეს, თუმც... ტრიბუნაზე რამდენიმე პორტუგალიელი ქომაგი დარჩა — ისინი საყვარელ გუნდს პლაკატებით და დოლით შეიარაღებულები ჩამოჰყვნენ და დღევანდელი მეტოქეც „დაზვერეს“.

„დინამომ“ საათზე ოდნავ მეტხანს ივარჯიშა. როგორც შევატყვეთ, საკმაოდ კარგად გრძნობდა თავს ახალტრავმამოშუშებული კაპიტანი გიორგი ნემსაძე, თუმც სათუო არც სხვებს ეტყობოდათ რამე...

მოკლედ, დღეს 20 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონზე „დინამო“ — „სპორტინგია“. ამდენ ხანს ვნატრობდით ევროპულ ფეხბურთს, მივიღეთ კიდეც და შევირგოთ, მივიდეთ სტადიონზე და ვუქომაგოთ „დინამოს“. ნუ ვათქმევინებთ თითებზე დასათვლელ პორტუგალიელ ფანებს, თავს შინ ვგრძნობდითო...

**ბაჩა ფალამბერიძე**





# პორტმა დაიფიცა, ბათუმი გაიფიცა

„ბათუმის“ საქმეები ძალიან ცუდადაა. ისე ცუდად, რომ გუნდმა შესაძლოა ჩემპიონატში მონაწილეობა შუა გზაზე შეწყვიტოს.

მიზეზი? რა თქმა უნდა, უფულობა. ბათუმელ ფეხბურთელებს უკვე ორი თვეა, ხელფას-პრემიები არ უნახავთ და სექტემბრის მერე ფულის აღების უიმედო მოლოდინში არიან. საშველი კი არ ჩანს.

წინა ტურში, შაბათს „ბათუმმა“ ზესტაფონში ითამაშა, მაგრამ ვაი ასეთ თამაშს. მატჩამდე გუნდს მთელი კვირა უქმად გაეტარებინა და „ტორპედოსთან“ შინ წაგების შემდეგ არ ევარჯიშა. „ბათუმი“ თურმე ზესტაფონში გამგზავრებასაც არ აპირებდა, მაგრამ ფეხბურთელებმა ბოლო მომენტში შეცვალეს გადაწყვეტილება. დაბრუნდა გუნდი ბათუმში და ვარჯიში ისევ იუარა. ორი დღე „ბათუმმა“ პროტესტის ნიშნად დაისვენა, თუმც პრეზიდენტმა რევაზ ჩელებაძემ და მწვრთნელმა ამირან გოგიტიძემ ბიჭები ვარჯიშზე ერთხელაც დაითანხმეს.

„ბათუმი“ 27 ნოემბრის მოლოდინშია, ფეხბურთელები მთავრობამ ერთხელაც დააიმედა, „კოლხეთთან“ მატჩამდე ვალს გაგისტუმრებთო.

— „კოლხეთთან“ შეხვედრამდე ხელფას-პრემიები თუ ვერ მივიღეთ, ჩემპიონატის მატჩს ჩავშლით და არც მომდევნო ტურში თბილისში „დინამოსთან“ სათამაშოდ წავალთო — ამბობენ ბათუმელი ფეხბურთელები.

„ბათუმს“, გეცოდინებათ, პორტი პატრონობს, თუმც რაღა პატრონობაა, როცა გუნდი ორი თვეა, შიმშილობს. თავის მხრივ, პორტი კლუბის დაფინანსების შეწყვეტას ეკონომიკის სამინისტროდან მიღებული დირექტივით ხსნის, ახალი კანონით, კლუბის შენახვა არ შეგვიძლიაო — ამბობს პორტის ხელმძღვანელობა.

„ბათუმის“ პრეზიდენტის რევაზ ჩელებაძის თქმით კი, კლუბს უკვე ბანკის ვალიც დაუგროვდა, სეზონის დასაწყისში ხელფას-პრემიების დასარიგებლად კლუბმა სესხი პორტის იმედად აიღო, მაგრამ...

აი, ასეთი რთული ვითარებაა დღესდღეობით „ბათუმში“. კლუბი, რომელმაც სეზონის დაწყებამდე უმაღლეს ლიგაში სამონაწილეოდ აუცილებელი 300 ათასი ლარის გარანტია პროფლიგას წარუდგინა, ორ თვეში დაშლის პირას მივიდა.

შექმნილ ვითარებაზე პროფლიგისეული კომენტარი ასეთია:

— სეზონის დაწყებამდე პროფლიგამ „ბათუმისგან“ მიიღო იმის დამადასტურებელი ყველა საბუთი, რომ კლუბს ანგარიშზე ჰქონდა 300 ათასი ლარი. ახლანდელი ფინანსური კრიზისი კი მთლიანად „ბათუმის“ საშინაო საქმეა, ამ კლუბმა 300 ათასი ლარი, ეტყობა, უკვე დახარჯა. ეს ამბავი კი ერთხელაც მიგვანიშნებს, რომ უმაღლესი ლიგის კლუბისთვის სეზონში 300 ათასი ლარიც არაა საკმარისი.

**კობა ინასარიძე**

# შეაფურთხებ და... უეფამ ალადაშვილი გააჩერა



ცუდი ამბავი შვეიცარიიდან: უეფამ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელი კახა ალადაშვილი ექვსთვიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა და უეფას ეგიდით ჩატარებულ ყველა მატჩში მონაწილეობა აუკრძალა.

როგორც უეფა იუწყება, ალადაშვილის დასჯის მიზეზი მისი არაეთიკური საქციელია, რომელიც მან უკრაინა — საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებთა მატჩისას ჩერვონოგრადში ჩაიდინა. თუ გახსოვთ, ის შეხვედრა ჩვენმა ახალგაზრდულმა 0:6 წააგო, ალადაშვილი კი მატჩის მიწურულს გააძევეს.

თბილისის „დინამოს“ ახლა უეფას გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებაც აღარ აქვს, სააპელაციო ვადა 18 ნოემბრამდე იყო და თბილისელებმა საჩივრის შეტანა ვეღარ მოასწრეს.

არაეთიკური ქცევა რას ნიშნავსო, იკითხავთ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ეს ჩვენც ვიკითხეთ და ასე გვითხრეს: კახა ალადაშვილმა მსაჯს შეაფურთხა. მსაჯმა კი ეს ამბავი პატაკში ჩაწერა და უეფას სადისციპლინო კომიტეტს აცნობა. სასჯელიც, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთობ მკაცრია. გამოდის, ალადაშვილი ექვსი თვე საერთაშორისო მატჩს ვერ ითამაშებს და, რა თქმა უნდა, ვერც დღეს დაეხმარება დინამოელებს „სპორტინგთან“ შეხვედრისას.

ითამაშებს თუ არა კახა ალადაშვილი ეროვნულ ჩემპიონატში? ჯერჯერობით, ზუსტად ამის თაობაზე ვერც „დინამოში“ ამბობენ რამეს და ვერც ფედერაციაში. უახლოეს მომავალში ალადაშვილის საკითხს ფიფაშიც განიხილავენ და პასუხსაც იქ იტყვიან. ისე კი, როცა მსგავს საქციელებთა გამო ფეხბურთელები დაუსჯიათ, ჩემპიონატში თამაში მათთვის არ აუკრძალავთ.

**კობა ინასარიძე**



თბილისის „დინამოს“ დღევანდელი მეტოქე ლისაბონის „სპორტინგი“, ეტყობა, ვარჯიშით თავს ძალიანაც არ იწუხებს. სტუმრები თბილისში სამშაბათს ნაშუადღევს ჩამოვიდნენ და სასტუმროში რომ გამოიკეტნენ, იქიდან გუშინ სალამომდე ცხვირი არ გამოუყვიათ.

ლისაბონელებმა „დინამოსთან“ მატჩის წინ პირველად გუშინ ივარჯიშეს „ლოკომოტივის“ სტადიონზე და ისიც დაახლოებით ნახევარ საათს. მწვრთნელმა ჟოზე პეშეირომ შეგირდებს ჯერ „ორი კარი“ ათამაშა, მერე ფეხბურთელების კარში დარტყმებს უცქირა და ვარჯიშიც დამთავრდა.

# პორტუგალიელისთვის თბილისი და მოსკოვი ერთია: ცივა!



„სპორტინგს“ კარში ევრო 2004-ზე თავნასახელები რიკარდუ უდგას



ერთ დროს ბარსელონელი ფაბიო როჩემბაკი

„სპორტინგის“ ნახევარი საათის შემხედვარეთ არც მთლად ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩენია, აქაოდა, ეს რა გუნდი ჩამოვიდა და „დინამოს“ მოგების შანსი არ აქვსო. აქვს და კარგიც. „სპორტინგი“ ძალიან თავდაჯერებული გუნდი ჩანს და ეტყობა, რომ მეტოქეს სათანადოდ ვერ აფასებს. ხოლო ვინც ასე ფიქრობს, მატჩის შემდეგ ხშირად ნირწამხდარიც გვახსოვს.

...„სპორტინგი“ თბილისში ოცი ფეხბურთელით, დაახლოებით ამდენივე ჟურნალისტითა და უფრო ცოტა ქომაგით ჩამოვიდა, რომლებმაც „ლოკომოტივის“ მოედანს შემოვლებულ მესერზე გუნდის გასამხნევებელი პლაკატები გუშინვე კი გადაკიდეს, მაგრამ ვეჭვობთ, თამაშისას მათ ეს ქართველებმა დაანებონ. ერთი სახალისო ამბავიც, რომელიც ჩვენს სტუმარ კოლეგას შეემთხვა: ერთ-ერთი პორტუგალიური ტელეარხის ჟურნალისტი, როცა „სპორტინგი“ „ლოკომოტივზე“ ვარჯიშობდა, სიუჟეტის მზადებისას ისეთი დაბნეული იყო, ვერასდიდებით განასხვავა თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონი მოსკოვისგან და წამდაუწუმ ამბობდა, ხვალ, მოსკოვის მიხეილ მესხის სახელობის „ლოკომოტივის“ სტადიონზე... უჩვეულო თბილისური ყინვისგან გათოშილს სტადიონის სახელწოდების სწორად წარმოსათქმელად ბარე შვიდი დუბლის ჩაწერა დასჭირდა, ნერვებაშლილმა ოპერატორმა კი კამერა ლამის იქვე დალეწა...

ახლა მთავარი. „სპორტინგის“ ვარჯიშამდე გუნდის მწვრთნელმა *ჟოზე პეშეირომ* პრესკონფერენცია გამართა...

— მიხარია, რომ იმ ქვეყანაში ჩამოვედი, რომელიც თავისი სტუმართმოყვარეობით ყველას აოცებს. გუშინ ჩამოვედით და უკვე დავრწმუნდი, რომ ქართველები მართლაც კარგი მასპინძლები ხართ.

...ამჟამინდელ „დინამოზე“ ბევრი არაფერი ვიცი, თუმც ეს ხომ ის გუნდია, რომელიც თავის დროზე ევროპაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. ამ გუნდთან ხვალ ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გველის, ჯგუფურ ეტაპზე ეგებ გადამწყვეტიც. „დინამოს“ თუ მოვუგეთ, შემდეგ ეტაპზე თამაში ფაქტობრივად განაღდებული გვექნება.

...ვფიქრობ, რომ „დინამოს“ ჯგუფური ეტაპის მატჩებში თავისი შესაძლებლობები ბოლომდე ჯერ კიდევ არ გამოუვლენია. ჩვენ ვნახეთ „დინამო“ — „სოშოს“ მატჩის ფირი და ვთვლი, რომ თბილისელებმა მეორე ტაიმში მეტოქე აშკარად დაჯაბნეს. „დინამომ“ „სოშოსთან“ რამდენიმე მახვილგონივრული კომბინაცია გაათამაშა და ეს ჩვენთვის საყურადღებო უნდა იყოს.

...თბილისის „დინამოს“, ისევე როგორც ნებისმიერი მეტოქის რეალურ ძალას, მხოლოდ ტელევიზორში ნანახი მატჩებით ვერ შეაფასებ. ამიტომაც ვამბობ, „დინამო“ ჩემთვის უცნობი გუნდია და ნებისმიერ შედეგს ველი. ისე კი, „სპორტინგის“ განწყობა როგორც ყოველთვის საბრძოლოა და მოსაგებად ვემზადებით. შანსებს 60/40-ზე ჩვენს სასარგებლოდ შევაფასებდი. დანარჩენი კი მატჩისას გამოჩნდება. ძალიან არ მსურს, ხვალ „სპორტინგისთვის“ უიღბლო დღე იყოს. არადა, ასეც ხდება ხოლმე.

...თბილისში „სპორტინგი“ უძლიერესი შემადგენლობით ჩამოვიდა. არც ტრავმირებულები გვყავს, არც დისკვალიფიცირებულნი. მოკლედ, სრული საბრძოლო შემადგენლობით ვართ.

...რა თქმა უნდა, მოსაგებად ჩამოვედით და მატჩის წინ ფავორიტად ჩემს გუნდს ვთვლი.

...თბილისში წამოსვლამდე პორტუგალიის ჩემპიონატში „ბეირა მარისთან“ ფრე ვითამაშეთ. ამ შედეგს ყურადღებას ნუ მიაქცევთ, ჩათვალეთ, ის მატჩი „დინამოსთან“ მოსამზადებლად გამოვიყენეთ, ძალები დავზოგეთ.

...თბილისში საკმაოდ ცივა, მაგრამ ეს ჩვენ არ გვაშინებს. „სპორტინგი“ ნებისმიერ ამინდში თამაშობს და არც ასეთი ამინდია ჩვენთვის უცხო.

**კოგა ინასარიძე**



„სპორტინგის“ კიდევ ერთი ცნობილთაგანი: რიკარდუ ზა პინტუ (მარჯვნივ)

## უეფას თასის დასარჩენი ქართველები

დღეს თბილისის „დინამო“ ლისაბონის „სპორტინგს“ კი შეერკინება, მაგრამ უეფას თასზე დღეს კიდევ ორი „ქართული“ გუნდი ითამაშებს — ლევან კობიაშვილის „შალკე“ უნგრულ „ფერენცვაროშთან“, ხოლო არველაძე-ხიზანიშვილის „რეინჯერსი“ ავსტრიულ „გრაცერთან“. უკვე გაუწყეთ, რომ შოთა არველაძე და ზურაბ ხიზანიშვილი რამდენიმე დღე ვერ ივარჯიშებდნენ — შოთას საზარდული ასტკივდა, ზურას მარცხენა ფეხის თითი ჰქონდა დაჩირქებული. გუშინ კი რამდენიმედღიანი პაუზის შემდეგ ორივემ ივარჯიშა გუნდთან ერთად, თუმც არველაძეს კვლავაც აწუხებს საზარდული და დღეს ალბათ ვერ ითამაშებს. ბოლომდე ჯერაც ვერ მოირჩინა ფეხი ხიზანიშვილმა, თუმც მან „გრაცერთან“ მაინც უნდა ითამაშოს.

**დავით თავართქილაძე**



## მჟავანაძეს საქმე ასარჩევად აქვს

საქართველოს ნაკრებისა და მახაჩყალის „ანჟის“ მცველი კახა მჟავანაძე მალე ახალ კლუბში გადავა. სამარის „კრილია სოვეტოვი“, გროზნოს „ტერეკი“ და „ტომი“ — აი, ის სამი კლუბი, ჩვენებურის გადაბირებას რომ ცდილობს.

მოგეხსენებთ, სამივე პრემიერლიგის ბინადარია. უფრო ზუსტად, „ტერეკი“ და „ტომი“ წლეულს გადავიდნენ პრემიერლიგაში.

თავად ფეხბურთელი ახლა შვებულებაშია და ისვენებს, თუმც, რუსული პრესის ცნობით, მოლაპარაკებებსაც აქტიურად აწარმოებს. ყველაზე რეალური „კრილია სოვეტოვის“ ვარიანტი ჩანს. ამ გუნდს ხომ მჟავანაძის ყოფილი მწვრთნელი გაჯი გაჯიევი უდგას სათავეში.

მოსალოდნელი ტრანსფერის შესახებ კომენტარი „ანჟის“ მთავარმა მწვრთნელმა დმიტრი გალიამინმაც გააკეთა: „მჟავანაძე იანვარში დაგვტოვებს. მისით რამდენიმე კლუბია დაინტერესებული და, როგორც ვიცი, კახა კონტრაქტს მალე გააფორმებს“.

**კახა შალამბერიძე**



# გივი ნოდიას პირდაპირ ბირდაბირები

## მჟავანაძე-ჯიქიაზე უკეთ საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელები ითამაშებენ

*წინა სეზონში გივი ნოდია თბილისის „დინამოს“ სპორტული დირექტორი და ივო შუშაკის კონსულტანტი იყო, შუშაკამდე თავად წვრთნიდა გუნდს და „დინამო“ უფრო ადრეც გაუწვრთნია. ახლა კი იგი არც ერთი კლუბის წარმომადგენელი არაა და უფრო თამამადაც შეუძლია ქართული ფეხბურთის საჭირბოროტო თემებზე საუბარი. ბატონ გივის ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატზე სალაპარაკოდ ვეწვიეთ, რაც ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს მკითხველისთვის — ზოგადის გარდა ამ ინტერვიუში კონკრეტულსაც ამოიკითხავთ*

— როგორ ფიქრობთ, მიმდინარე ეროვნული ჩემპიონატი ყველაზე უფრო რით განსხვავდება უწინდლებისგან?

— ბოლო რამდენიმე წელია, რაც საქართველოში ვარ და ჩვენი ჩემპიონატი თანდათან უკეთესი ხდება. ამ ჩემპიონატში კი მკვეთრად გამოჩნდა ხუთი საუკეთესო გუნდი. ბოლნისის „სიონი“ რომ არ დაშლილიყო, ასეთი გუნდების ჯგუფი უფრო დიდი იქნებოდა. ბოლო ტურის „ლოკომოტივი“—„დინამო“ საკმაოდ მაღალი რანგის თამაში იყო და ასეთი მატჩები ჩვენს ჩემპიონატში გახშირდა.

— როგორ შეადარებდით ამ ხუთეულს, მაგალითად, რუსული პრემიერლიგის გუნდებს?

— ამ გუნდებს, რომლებიც ახლა ცხრილის ზედა ხუთეულში არიან, რუსეთის პრემიერლიგაში თამაში შეუძლიათ. თუმც ამ ხუთეულს სტაბილურობა აკლია, რაც ყველაზე უფრო იმითაა გამოწვეული, რომ ხანდახან სუსტ მეტოქეებთან უწევთ თამაში. ძალიან მტკივნეულია მინდვრების საკითხიც. ბოლო წლებში ერთადერთი სერიოზული ნაბიჯი ამ მხრივ „თბილისმა“ გადადგა. შედარებით ნორმალური მინდვრები აქვთ „ლოკომოტივის“, ეროვნულ და ქუთაისის სტადიონებს. მინდვრების საკითხი პროფლიგისთვის ერთობ მნიშვნელოვანი კია, მაგრამ ეს საკმარისი არ არის.

— ამ სეზონში თბილისის „დინამომ“ ევროტურნირზე შეძლო ის, რასაც მანამდე ვერც „დინამო“ და ვერც სხვა ქართული კლუბები ვერ ახერხებდნენ — ყველაზე უფრო მაინც რა ფაქტორით შეძლო „დინამომ“ ეს?

— „დინამოს“ ეს წარმატება რამდენიმე წლის მუშაობის შედეგია — მოკლე დროში და შემთხვევით არაფერი მომხდარა. „დინამო“ სისტემატურად თამაშობდა ევროტურნირებზე და ამით მთლიანად კლუბმა შეიძინა გამოცდილება. რა თქმა უნდა, ახალი მწვრთნელი და მისი ახალი იდეები ძალიან მნიშვნელოვანია „დინამოსთვის“, მაგრამ ამას ემატება ის ფეხბურთელებიც, რომლებიც ადრეც წარმოადგენდნენ გუნდის ბირთვს, კიდევ ის, რომ „დინამოს“ რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელიც დაემატა.

— ევროტურნირებზე თამაშის გამოცდილება „ვიტ ჯორჯიასაც“ აქვს, მაგრამ...

— „ვიტ ჯორჯია“ თითქმის მოუმზადებელი შეხვდა ევროსარბიელს და ამიტომაც გამოვიდა იქ სამარცხვინოდ. „ვიტ ჯორჯიაში“ ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა, მაგრამ მათი ოსტატობა ერთ დონეზე გაჩერდა, „დინამოში“ კი ფეხბურთელების მოტივაცია იზრდება და ამაში მხოლოდ ფინანსურ მხარეს როდი ვგულისხმობ — „დინამოში“ მოთამაშეთა თვითშეგნება იზრდება და ოსტატობაც იხვეწება. ფეხბურთელის წინსვლა კლუბის საქმიანობის წარმატებიდან გამომდინარეობს. „ვიტ ჯორჯია“ ჩემპიონი კი გახდა, მაგრამ კლუბი, ფაქტობრივად, გაჩერდა. თუმც ეროვნული ჩემპიონატის ბოლო ტურში „თბილისთან“ „ვიტ ჯორჯიამ“ უწინდელ თამაშებთან შედარებით უკეთ ითამაშა. შესაძლოა, ევროტურნირზე ცუდი გამოსვლით გუნდმა მორალური ტრავმაც მიიღო. ისე კი, გულდასაწყვეტია, რომ ამ გუნდის რამდენიმე ფეხბურთელი ერთ ადგილზე გაჩერდა. როგორც უნდა იყოს, ახალგაზრდა ფეხბურთელს ყურების ჩამოყრის უფლება არ აქვს.

— ჩვენს ჩემპიონატში მოთამაშე ახალგაზრდებიდან ვის გამოარჩევდით?

— კანკავას, ალადაშვილს, მარცვალაძეს, მერებაშვილს, იაშვილს, ხოჯავას, გაგუას, გეწაძეს, ჭელიძეებს... თუმც ისიცაა, რომ ჩვენში ახალგაზრდა ფეხბურთელად მხოლოდ 17-19 წლისანი ითვლებიან, უცხოეთში კი ასეთებად 22-23 წლის ფეხბურთელებიც მიიჩნევიან. ტორპედოელი შოთა ბაბუნაშვილი სულაც 24 წლისაა, მაგრამ მას კიდევ შეუძლია წინსვლა.

— როგორ ფიქრობთ, ზემოხსენებული ფეხბურთელებიდან რომელიმეს შეუძლია ეროვნული ნაკრების დონეზე თამაში?

— ასეთი ახალგაზრდების გამოჩენა ნაკრებში ფეხმოკიდებულ ფეხბურთელებს აიძულებს, მაქსიმალურად მობილიზებულნი იყვნენ კლუბშიც და ეროვნულ გუნდშიც. ფაქტია, რომ ნაკრებში მოხვედრა ადვილი აღარაა.

— რამდენიმე სპეციალისტს უთქვამს, რომ საქართველოში მოთამაშე ახალგაზრდებს გადაღლის პრობლემა აწუხებთ და ეროვნულ ნაკრებში მათი გამოძახება სარისკოა...

— ჩვენთან არ არის ისეთი ვითარება, რომ ახალგაზრდა ფეხბურთელი გადაიღალოს და ფსიქოლოგიურად გადაიძაბოს — ეს აბსურდია. ახალგაზრდა ფეხბურთელი საქართველოში გადაღლის გამო შეშინებული არ უნდა იყოს. ახალგაზრდა ფეხბურთელმა აუცილებლად უნდა ივარჯიშოს ინდივიდუალურადაც და არა მაინცდამაინც დიდი ფიზიკური დატვირთვების ხარჯზე. მაგრამ ცუდი სავარჯიშო მოედნები აქაც ხელისშემშლელი ფაქტორია. როცა ფეხბურთელი კარგიდან ცუდ მინდორზე გადადის ან პირიქით, ეს მას აკომპლექსებს.

— სხვა ხელისშემშლელ ფაქტორებზე რას იტყოდით?

— დღეს ქართველი გულშემატკივარი უცხოურ ფეხბურთს გაცილებით მეტ ყურადღებას უთმობს, ვიდრე ეროვნულ ჩემპიონატს. საქართველოს ჩემპიონატს პრესა სერიოზულად აშუქებს და ამან წინსვლაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, მაგრამ ბევრი რამ გულშემატკივარზეცაა დამოკიდებული. ჩვენი ჩემპიონატის გამორჩეულ მატჩებზეც ჟურნალისტების, ფეხბურთელების ახლობლების და რამდენიმე სპეციალისტის გარდა ბევრიც არავინ დადის. გაუგებარია ჩვენი გულშემატკივრების საშინელი ბილწსიტყვაობაც, თანაც ამას ასაკოვანი ხალხიც სჩადის. გაუგებარი იყო ჩვენი გულშემატკივრების აგრესიული დამოკიდებულება დანიის ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელების მიმართ. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენ ცივილიზებული ერის შთამომავლები ვართ. ერთი სიტყვით, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი დაუმსახურებლად ცოდოა, რომ ხალხი თამაშებზე არ დადის.

— მეთექვსმეტე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის ჩამთავრებას ორი ტური უკლია — ვინ მიგაჩნიათ პირველი ეტაპის საუკეთესო მოთამაშედ?

— გამოვარჩევდი გია მეგრელაძეს და ლაშა სალუქვაძეს.

— ერთიც, ეროვნულ ნაკრებში კახა მჟავანაძის და მამია ჯიქიას თამაშზე კულუარებში ბევრს საუბრობენ — როგორ ფიქრობთ, მათი შეცვლა საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს არ შეუძლიათ?

— ვფიქრობ, დანიასთან მატჩში გამოჩნდა, რომ მჟავანაძე და ჯიქია მწვრთნელის დავალების შესრულებას კი ცდილობდნენ, მაგრამ გუნდის საერთო რიტმიდან ამოვარდნილები იყვნენ. ჩემი აზრით, საქართველოს ჩემპიონატში მოთამაშე ფეხბურთელებს მჟავანაძე-ჯიქიას შეცვლაც შეუძლიათ და მათზე უკეთესად თამაშიც. მოგეხსენებათ, თუ რა პეწი და იმედი შემოიტანეს ნაკრებში გამოჩენით დავით კვირკველიამ და ლადო ბურდულმა. ასეთი რამ მჟავანაძეში და ჯიქიაში ჯერ არ ჩანს.

**დავით თავართქილაძე**



მერაბ კოჭლაშვილმა და ვლადიმერ ხაჩიძემ როლები გაცვალეს

# ვიტ ჯორჯიამ მწვრთნელები გაროქა

„ვიტ ჯორჯიას“ ისტორიაში ყველაზე იღბლიანი მწვრთნელი მერაბ კოჭლაშვილი ისევ გუნდის თავკაცია. გეხსომებათ, მან ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე პოლონურ „ვისლასთან“ 2:8 წაგების შემდეგ დატოვა გუნდი, რომელიც ვოვა ხაჩიძემ გადაიბარა. თავად კოჭლაშვილი კი მისი თანაშემწე გახდა, თანაც ძალიან აქტიური თანაშემწე — ვინც საქართველოს ჩემპიონატის მატჩებზე დადიოდა, თვალში მოხვდებოდა, რომ ვიტჯორჯიელებს იგი უფრო ხშირად აძლევდა მითითებებს.

„მერაბ კოჭლაშვილი ოფიციალურად „ვიტ ჯორჯიას“ მთავარი მწვრთნელია, ვოვა ხაჩიძე კი მისი ასისტენტი იქნება. როლები შეიცვალა, თუმც რაიმე დიდი მიზეზი და გაუგებრობა არ ყოფილა. თავად ხაჩიძეც არ დარჩენილა ნაწყენი“ — გვითხრა „ვიტ ჯორჯიას“ გენერალურმა მდივანმა მალხაზ კაკაურიძემ.

გუნდში კიდევ ის სიახლეა, რომ გამოჯანმრთელდა ოლეგ გველესიანი, რომელსაც წინა ტურში „თბილისთან“ ტრავმის გამო არ უთამაშია.

**ილია ნანობაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი
## აღმოსავლეთ ზონა
## რეგიონული 16 ლიგა
პირველი წრე

რეგიონული ლიგის აღმოსავლეთ ზონაში პირველი წრის დასრულებას ერთი მატჩის გამართვაღა უკლია, რომელიც გუშინწინდელი შფოთიანი ამინდის გამო გადაიდო — „სუკონკის“ სტადიონზე ქარიშხალმა კედელი გადმოაქცია. თუმცა „იმედისა“ და „დურუჯის“ მატჩის შედეგი პირველი წრის საბოლოო ცხრილზე მნიშვნელოვან გავლენას ვერ მოახდენს.

გათამაშების რეგლამენტით, ზონის გამარჯვებული პირდაპირ გადადის პირველ ლიგაში, სამივე ზონის მეორეადგილოსნები კი ერთწრიან პლეი ოფში საუკეთესოს, ანუ მეოთხე პირველლიგელს გამოავლენენ.

აღმოსავლელებს ერთპიროვნული ლიდერი ჰყავთ, თბილისის „ამერის“ სარეზერვო გუნდი, რომლის გარდა პირველლიგელობას გაგრელები, სოხუმის დინამოელები და „სიონის“ ფარმკლუბიც უმიზნებენ. ოღონდ ერთიცაა, რომ „ამერი 2“პირველ ლიგაში ვერ გადავა, თუ პირველი გუნდი უმაღლეს ლიგაში არ აღზევდა. ვერც „სიონი 2“ გახდება პირველლიგელი, თუ მთავარი „სიონი“ უმაღლესი ლიგიდან დაქვეითდა.

დანარჩენი გუნდები, რომელთაგან ერთ-ერთი „ამერი 2“-ის დამმარცხებელი სოხუმის „ცხუმია“, გვარიანად ჩამორჩებიან დაწინაურებულთ.

ზონის ბომბარდირიც ამერელია: რატი წინამძღვრიშვილმა 17 გოლი 13 შეხვედრაში გაიტანა, დანარჩენი ორი მატჩი კი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებში გამოძახების გამო გამოტოვა.



ამერელ რატი წინამძღვრიშვილს რეგიონალლიგაშიც გააქვს და პირველ ლიგაშიც

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი 2 | 15 | 13 | 1 | 1 | 39:9 | 40 |
| გაგრა | 15 | 11 | 2 | 2 | 29:6 | 35 |
| დინამო (სოხ) | 15 | 10 | 3 | 2 | 38:16 | 33 |
| სიონი 2 | 15 | 10 | 1 | 4 | 36:18 | 31 |
| ნ. დინამო | 15 | 7 | 4 | 4 | 23:21 | 25 |
| სპარტა | 15 | 7 | 3 | 5 | 21:26 | 24 |
| ცხუმი | 15 | 7 | 2 | 6 | 15:18 | 23 |
| თბილისი 3 | 15 | 6 | 3 | 6 | 18:17 | 21 |
| სა თბილისი | 15 | 5 | 2 | 8 | 27:30 | 17 |
| რუსთავი 2 | 15 | 4 | 3 | 8 | 14:29 | 15 |
| ალგეთი | 15 | 3 | 6 | 6 | 10:19 | 15 |
| დურუჯი | 14 | 4 | 2 | 8 | 18:31 | 14 |
| ნ. დინამო 2 | 15 | 3 | 4 | 8 | 19:29 | 13 |
| იმედი 95 | 14 | 3 | 3 | 8 | 17:24 | 12 |
| კახეთი 2 | 15 | 3 | 2 | 10 | 20:35 | 11 |
| ერთობა | 15 | 1 | 3 | 11 | 16:35 | 6 |

საქართველოს ჩემპიონატი. პირველი ლიგა
ბორჯომი — ამერი
25 ნოემბერს 13.30 საათიდან
ონლაინ რეპორტაჟი ვებ გვერდზე
www.fcameri.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი და კროკო

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

### ინგლისი. პრემიერლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 2 | ფულჰემი-ბლეკბერნი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 18:00 | 3 | ვესტ ბრომვიჩი-მანჩესტერი | 4.6 | 3.5 | 1.7 | 1.98 | 1.24 | 1.14 |
| 18:00 | 4 | ბირმინგემი-ნორვიჩი | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 18:00 | 5 | ბოლტონი-პორტსმუთი | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 18:00 | 6 | ჩარლტონი-ნიუკასლი | 5.0 | 3.5 | 1.65 | 2.05 | 1.24 | 1.12 |
| 18:00 | 7 | საუთჰემპტონი-კრ. პალასი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 20:15 | 8 | სიტი-ასტონ ვილა | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 9 | ნიუკასლი-ევერტონი | 2.0 | 3.2 | 3.5 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 18:00 | 10 | ტოტენჰემი-მიდლსბრო | 2.4 | 3.2 | 2.75 | 1.37 | 1.28 | 1.47 |
| 19:05 | 11 | ლივერპული-არსენალი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |

### ინგლისი ჩემპიონატი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15:45 | 13 | ქპრ-კარდიფი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 14 | რიდინგი-უიგანი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 15 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 16 | სტოკი-სანდერლენდი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| 18:00 | 17 | ვესტჰემი-უოტფორდი | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 18:00 | 18 | ბარნლი-მილუოლი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1,35 | 1.26 | 1.51 |
| 18:00 | 19 | ქოვენტრი-ქრიუ | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 20 | ჯილინგემი-ნოტინგემი | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 18:00 | 21 | იფსვიჩი-ბრაიტონი | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 18:00 | 22 | ლესტერი-პლიმუთი | 1.85 | 3.3 | 3.8 | 1.18 | 1.24 | 1.76 |
| 18:00 | 23 | პრესტონი-დერბი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 24 | როტერჰემი-ლიდსი | 2.8 | 3.3 | 2.3 | 1.51 | 1.26 | 1.35 |

### ინგლისი. I ლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 26 | ტრანმერი-დონსი | 1.35 | 4.4 | 7.0 | 1.03 | 1.13 | 2.7 |
| 18:00 | 27 | ბარნსლი-ბლეკპული | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 28 | ბრედფორდი-ოლდჰემი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 18:00 | 29 | ბრისტოლი-ჰალი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 18:00 | 30 | ჩესტერფილდი-სუინდონი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 31 | ჰარტლპული-ბორნმუთი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |
| 18:00 | 32 | ჰადერსფილდი-რექსემი | 1.7 | 3.5 | 4.4 | 1.14 | 1.22 | 1.94 |
| 18:00 | 33 | ჰალი-ბრენტფორდი | 1.65 | 3.5 | 4.7 | 1.12 | 1.22 | 2.0 |
| 18:00 | 34 | ლუტონი-დონკასტერი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 35 | პიტერბორო-პორტ ვეილი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 18:00 | 36 | სტოკპორტი-უოლსოლი | 2.35 | 3.3 | 2.7 | 1.37 | 1.25 | 1.48 |
| 18:00 | 37 | ტორკი-კოლჩესტერი | 2.15 | 3.3 | 3.0 | 1.3 | 1.25 | 1.57 |

### ინგლისი. II ლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 38 | ნოტს კაუნთი-დარლინგტონი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 22:45 | 39 | საუთენდი-გრიმსბი | 1.75 | 3.4 | 4.2 | 1.15 | 1.23 | 1.87 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 40 | სუონსი-ბერი | 1.65 | 3.5 | 4.8 | 1.12 | 1.22 | 2.02 |
| 18:00 | 41 | უიკომბი-როჩდეილი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 42 | ჩესტერი-ოქსფორდი | 1.85 | 3.2 | 4.0 | 1.17 | 1.26 | 1.77 |
| 18:00 | 43 | კიდერმინსტერი-ნორთჰემპტონი | 2.85 | 3.3 | 2.2 | 1.52 | 1.24 | 1.32 |
| 18:00 | 44 | მენსფილდი-ლინკოლნი | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| 18:00 | 45 | ბოსტონი-კემბრიჯი | 1.85 | 3.4 | 3.75 | 1.19 | 1.23 | 1.78 |
| 18:00 | 46 | რაშდენი-ბრისტოლი | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| 18:00 | 47 | რაშდენი-მაკლსფილდი | 2.35 | 3.2 | 2.75 | 1.35 | 1.26 | 1.47 |
| 18:00 | 48 | სკანთორპი-შრუსბერი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 18:00 | 49 | ლეიტონი-იოვილი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |

### ინგლისი. კონფერენსი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 50 | აქრინგტონი-კანვეი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 18:00 | 51 | ალდერშოტი-ბარნეტი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 52 | ბარტონი-ექსეტერი | 2.5 | 3.1 | 2.5 | 1.38 | 1.25 | 1.38 |
| 18:00 | 53 | ქროული-სკარბორო | 2.2 | 3.2 | 2.9 | 1.3 | 1.25 | 1.52 |
| 18:00 | 54 | დაგ ენდ რედი-მორკემბი | 2.4 | 3.2 | 2.6 | 1.37 | 1.24 | 1.43 |
| 18:00 | 55 | გრეივზენდი-უოკინგი | 2.25 | 3.2 | 2.8 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 18:00 | 56 | ჰერეფორდი-ტამუორთი | 1.6 | 3.6 | 4.7 | 1.1 | 1.19 | 2.03 |
| 18:00 | 57 | ლეი-ფარნბორო | 2.7 | 3.3 | 2.25 | 1.48 | 1.22 | 1.33 |
| 18:00 | 58 | ნორთვიჩი-ჰალიფაქსი | 2.65 | 3.3 | 2.3 | 1.46 | 1.23 | 1.35 |
| 18:00 | 59 | სტივენიჯი-ფორესტ გრინი | 1.55 | 3.45 | 5.5 | 1.06 | 1.2 | 2.12 |
| 18:00 | 60 | იორკი-კარლაილი | 3.55 | 3.3 | 1.9 | 1.71 | 1.23 | 1.2 |

### შოტლანდია. პრემიერლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 61 | ჰიბერნიანი-ინვერნესი | 1.65 | 3.3 | 5.0 | 1.1 | 1.24 | 1.98 |
| 18:00 | 62 | კილმარნოკი-ლივინგსტონი | 1.66 | 3.4 | 4.7 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 18:00 | 63 | მოზერველი-დანფერმლაინი | 1.95 | 3.2 | 3.5 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 18:00 | 64 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.65 | 3.4 | 4.7 | 1.11 | 1.22 | 1.97 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 65 | დანდი-სელტიკი | 9.0 | 5.0 | 1.25 | 3.21 | 1.09 | 1.0 |
| 18:00 | 66 | რეინჯერსი-ჰარტსი | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |

### შოტლანდია. I დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 69 | ჰამილტონი-ერდრი | 2.35 | 3.5 | 2.4 | 1.4 | 1,18 | 1.42 |
| 18:00 | 70 | რეითი-პარტიკი | 3.4 | 3.5 | 1.8 | 1.72 | 1.17 | 1.18 |
| 18:00 | 71 | სტ.ჯონსტონი-კლაიდი | 2.35 | 3.5 | 2.4 | 1.4 | 1.18 | 1.42 |
| 18:00 | 72 | სტ.მირენი-ქუინი | 1.65 | 3.6 | 4.0 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 18:00 | 73 | ფოლკირკი-როსი | 1.5 | 4.0 | 5.0 | 1.09 | 1.15 | 2.22 |

### შოტლანდია. II დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 74 | ეარი-არბროთი | 1.65 | 3.6 | 4.0 | 1.13 | 1.16 | 1.89 |
| 18:00 | 76 | ბრეჩინი-მორტონი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 78 | სტირლინგი-სტრანრარი | 2.2 | 3.5 | 2.5 | 1.35 | 1.17 | 1.45 |

### შოტლანდია. III დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 79 | ალბიონი-ელგინი | 2.5 | 3.5 | 2.25 | 1.45 | 1.18 | 1.36 |
| 18:00 | 81 | ისტ ფაიფი-გრეტნა | 8.0 | 5.0 | 1.25 | 3.07 | 1.08 | 1.0 |
| 18:00 | 83 | ქუინს პარკი-ისტ სტირლინგი | 1.25 | 5.0 | 8.0 | 1.0 | 1.08 | 3.07 |

### გერმანია. I ბუნდესლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 84 | ვერდერი-დორტმუნდი | 1.8 | 3.4 | 4.1 | 1.17 | 1.25 | 1.85 |
| 17:30 | 85 | ვოლფსბურგი-ჰერტა | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 17:30 | 86 | ჰანზა-ლევერკუზენი | 3.0 | 3.3 | 2.2 | 1.57 | 1.26 | 1.32 |
| 17:30 | 87 | კაიზერსლაუტერნი-ფრაიბურგი | 1.7 | 3.5 | 4.6 | 1.14 | 1.24 | 1.98 |
| 17:30 | 88 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 2.3 | 3.3 | 2.8 | 1.35 | 1.26 | 1.51 |
| 17:30 | 89 | ბაიერნი-მაინცი | 1.3 | 4.6 | 9.0 | 1.01 | 1.13 | 3.04 |
| 17:30 | 90 | ბოხუმი-ნიურნბერგი | 2.1 | 3.3 | 3.2 | 1.28 | 1.26 | 1.62 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 91 | ჰანოვერი-შტუტგარტი | 2.4 | 3.3 | 2.65 | 1.38 | 1.25 | 1.46 |
| 19:30 | 92 | შალკე-არმინია | 1.6 | 3.5 | 5.5 | 1.09 | 1.23 | 2.13 |

### გერმანია. II ბუნდესლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 94 | ალენი-ობერჰაუზენი | 1.65 | 3.5 | 4.6 | 1.12 | 1.21 | 1.98 |
| 21:00 | 95 | დუისბურგი-აინტრახტი | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 21:00 | 96 | ტრიერი-კიოლნი | 2.8 | 3.1 | 2.4 | 1.47 | 1.29 | 1.35 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 97 | უნტერჰახინგი-საარბრიუკენი | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 17:00 | 98 | ფიურტი-ესენი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| 17:00 | 99 | ერფურტი-კარლსრუე | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 17:00 | 100 | აუე-დინამო | 1.75 | 3.4 | 4.3 | 1.15 | 1.24 | 1.89 |
| 17:00 | 101 | ალემანია-მიუნხენი | 1.9 | 3.2 | 4.0 | 1.19 | 1.28 | 1.77 |

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 102 | კოტბუსი-ბურგჰაუზენი | 1.95 | 3.15 | 3.6 | 1.2 | 1.26 | 1.67 |

### ავსტრია. ბუნდესლიგა

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 121 | რაპიდი-შტურმი | 1.3 | 4.5 | 8.5 | 1.0 | 1.12 | 2.94 |
| 20:00 | 122 | ზალცბურგი-მატერსბურგი | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |
| 20:00 | 123 | ტიროლი-ადმირა | 1.75 | 3.4 | 4.1 | 1.15 | 1.22 | 1.85 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:30 | 124 | ბრეგენცი-ავსტრია | 5.8 | 3.7 | 1.5 | 2.25 | 1.19 | 1.06 |
| 17:30 | 125 | გრაცერი-პაშინგი | 1.95 | 3.3 | 3.4 | 1.22 | 1.23 | 1.67 |

### ავსტრია. I დივიზიონი

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:00 | 127 | ალტახი-რიდი | 3.25 | 3.2 | 1.95 | 1.61 | 1.21 | 1.21 |
| 21:00 | 128 | კაპფენბერგი-ლეობენი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 21:00 | 129 | კურნტენი-გრატკორნი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |
| 21:00 | 130 | ლინცერი-ავსტრია(ლ) | 3.7 | 3.3 | 1.8 | 1.74 | 1.21 | 1.16 |
| 21:00 | 131 | ვორგლი-უნტერზიბენბრუნი | 1.7 | 3.4 | 4.0 | 1.13 | 1.19 | 1.83 |

### შვეიცარია. სუპერლიგა

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 132 | თუნი-გრასჰოპერი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 16:30 | 133 | აარაუ-შაფჰაუზენი | 1.8 | 3.2 | 4.2 | 1.15 | 1.25 | 1.81 |
| 18:00 | 134 | ციურიხი-ქსამაქსი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 18:00 | 135 | სერვეტი-იანგ ბოისი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:15 | 136 | ბაზელი-სტ.გალენი | 1.35 | 4.3 | 7.5 | 1.02 | 1.14 | 2.73 |

### შვეიცარია. ჩელენჯლიგა

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21:30 | 137 | ბიელი-ბადენი | 1.5 | 3.5 | 5.6 | 1.04 | 1.18 | 2.15 |

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:30 | 138 | მეირინი-ლუცერნი | 2.75 | 3.2 | 2.2 | 1.47 | 1.22 | 1.3 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16:30 | 139 | ვინტერთური-სიონი | 2.5 | 3.05 | 2.6 | 1.37 | 1.27 | 1.4 |
| 16:30 | 140 | ბელინცონა-ვოლენი | 1.65 | 3.3 | 4.8 | 1.1 | 1.22 | 1.95 |
| 16:30 | 141 | იუვენტუსი-კონკორდია | 2.05 | 3.0 | 3.4 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 16:30 | 142 | კრიენსი-ვილი | 1.9 | 3.3 | 3.5 | 1.2 | 1.23 | 1.69 |
| 16:30 | 143 | შო დე ფონი-ბულე | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 16:30 | 144 | კიასო-ლუგანო | 2.0 | 3.2 | 3.3 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| 16:30 | 145 | ვადუცი-ივერდონი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |

### იტალია. სერია A

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 146 | ლივორნო-უდინეზე | 2.4 | 3.0 | 2.95 | 1.33 | 1.32 | 1.48 |
| 22:30 | 147 | სიენა-რომა | 2.8 | 3.0 | 2.5 | 1.44 | 1.32 | 1.36 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 148 | მესინა-ფიორენტინა | 2.4 | 2.9 | 3.05 | 1.31 | 1.34 | 1.48 |
| 17:00 | 149 | სამპდორია-პარმა | 1.95 | 3.1 | 3.9 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 17:00 | 150 | ლაციო-კალიარი | 1.95 | 3.1 | 3.9 | 1.19 | 1.29 | 1.72 |
| 17:00 | 151 | ატალანტა-რეჯინა | 2.2 | 2.9 | 3.45 | 1.25 | 1.34 | 1.57 |
| 17:00 | 152 | ბოლონია-ლეჩე | 2.2 | 3.2 | 3.1 | 1.3 | 1.28 | 1.57 |
| 17:00 | 153 | ბრეშა-პალერმო | 2.5 | 3.0 | 2.8 | 1.36 | 1.32 | 1.44 |
| 17:00 | 154 | კიევო-მილანი | 4.4 | 3.2 | 1.8 | 1.85 | 1.27 | 1.15 |
| 22:30 | 155 | ინტერი-იუვენტუსი | 2.6 | 3.0 | 2.7 | 1.39 | 1.32 | 1.42 |

### იტალია. სერია B

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 157 | ემპოლი-კატანძარო | 1.5 | 3.3 | 6.3 | 1.03 | 1.21 | 2.16 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 17:00 | 158 | პესკარა-ჩეზენა | 2.2 | 2.7 | 3.25 | 1.21 | 1.31 | 1.47 |
| 17:00 | 159 | სალერნიტანა-ვიჩენცა | 2.25 | 2.7 | 3.2 | 1.22 | 1.32 | 1.46 |
| 17:00 | 160 | ტორინო-მოდენა | 1.6 | 2.9 | 5.6 | 1.03 | 1.24 | 1.91 |
| 17:00 | 161 | ტრევიზო-ბარი | 1.95 | 2.8 | 3.9 | 1.14 | 1.29 | 1.62 |
| 17:00 | 162 | ტრიესტინა-ასკოლი | 2.2 | 2.7 | 3.3 | 1.21 | 1.32 | 1.48 |
| 17:00 | 163 | არეცო-პიაჩენცა | 2.3 | 2.65 | 3.2 | 1.23 | 1.33 | 1.44 |
| 17:00 | 164 | კატანია-ალბინოლეფე | 1.85 | 2.85 | 4.1 | 1.12 | 1.27 | 1.68 |
| 17:00 | 165 | კროტონე-ვერონა | 2.45 | 2.7 | 2.85 | 1.28 | 1.31 | 1.38 |
| 17:00 | 166 | ტერნანა-ჯენოა | 2.9 | 2.6 | 2.4 | 1.37 | 1.31 | 1.24 |

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:45 | 167 | პერუჯა-ვენეცია | 1.55 | 3.1 | 5.6 | 1.03 | 1.21 | 1.99 |

### ესპანეთი. I დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 187 | ბილბაო-რასინგი | 1.95 | 3.2 | 3.7 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:45 | 189 | ესპანიოლი-ატლეტიკო | 2.2 | 3.0 | 3.3 | 1.26 | 1.32 | 1.57 |
| 22:00 | 190 | ხეტაფე-ბარსელონა | 5.0 | 3.3 | 1.7 | 1.98 | 1.26 | 1.12 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:00 | 188 | ბეტისი-ვილიარეალი | 2.05 | 3.1 | 3.6 | 1.23 | 1.3 | 1.66 |
| 19:00 | 191 | დეპორტივო-სოსიედადი | 1.6 | 3.4 | 5.7 | 1.08 | 1.24 | 2.12 |
| 19:00 | 192 | მალაგა-ალბასეტე | 1.85 | 3.3 | 4.0 | 1.18 | 1.26 | 1.8 |
| 19:00 | 193 | ნუმანსია-სარაგოსა | 2.8 | 3.0 | 2.5 | 1.44 | 1.32 | 1.36 |
| 19:00 | 194 | ოსასუნა-სევილია | 2.25 | 3.0 | 3.2 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 21:00 | 195 | რეალი-ლევანტე | 1.35 | 4.7 | 7.4 | 1.04 | 1.14 | 2.87 |
| 23:00 | 196 | ვალენსია-მაიორკა | 1.4 | 4.0 | 7.5 | 1.03 | 1.17 | 2.6 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19:15 | 208 | ლიონი-ისტრი | 1.65 | 3.2 | 5.8 | 1.08 | 1.28 | 2.06 |
| 22:00 | 209 | მარსელი-ნანტი | 1.75 | 3.3 | 4.7 | 1.14 | 1.27 | 1.93 |
| 22:00 | 210 | მეცი-სტ.ეტიენი | 2.1 | 2.8 | 3.8 | 1.2 | 1.35 | 1.61 |
| 22:00 | 211 | რენი-ოსერი | 1.75 | 2.7 | 6.4 | 1.06 | 1.37 | 1.89 |
| 22:00 | 212 | ბასტია-კანი | 2.2 | 2.8 | 3.5 | 1.23 | 1.35 | 1.55 |
| 22:00 | 213 | ბორდო-აიაჩიო | 1.55 | 3.3 | 6.8 | 1.05 | 1.26 | 2.22 |
| 22:00 | 214 | ტულუზა-მონაკო | 2.8 | 2.85 | 2.6 | 1.41 | 1.34 | 1.35 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 20:00 | 215 | ლილი-სტრასბური | 1.55 | 4.0 | 5.0 | 1.11 | 1.18 | 2.22 |
| 20:00 | 216 | სოშო-ლანსი | 1.7 | 3.3 | 5.0 | 1.12 | 1.26 | 1.98 |
| 23:00 | 217 | ნიცა-პსჟ | 2.6 | 2.75 | 2.9 | 1.33 | 1.37 | 1.41 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი

**26 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 219 | ანჟე-გრენობლი | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 22:00 | 220 | დიჟონი-სედანი | 2.4 | 2.7 | 3.0 | 1.27 | 1.33 | 1.42 |
| 22:00 | 221 | გენგამი-ლე მანი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 222 | ლავალი-კლერმონი | 2.1 | 2.7 | 3.7 | 1.18 | 1.33 | 1.56 |
| 22:00 | 223 | ნიორი-რეიმსი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 224 | ტრუა-ბრესტი | 1.8 | 2.8 | 4.8 | 1.09 | 1.3 | 1.76 |
| 22:45 | 225 | ლორიანი-ლე ავრი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |
| 22:00 | 228 | ამიენი-კრეტეი | 1.6 | 3.1 | 5.8 | 1.05 | 1.25 | 2.02 |

**28 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18:00 | 226 | მონპელიე-შატორუ | 2.0 | 2.75 | 3.9 | 1.15 | 1.32 | 1.61 |

**29 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:15 | 227 | ნანსი-გენიონი | 1.95 | 2.8 | 4.0 | 1.14 | 1.31 | 1.64 |

### ბელგია. I დივიზიონი

**27 ნოემბერი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 229 | გენტი-ლოკერენი | 1.8 | 3.4 | 3.8 | 1.17 | 1.22 | 1.79 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22:00 | 230 | ბევერენი-ლევე | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:00 | 231 | ოსტენდე-გენკი | 3.6 | 3.3 | 1.9 | 1.72 | 1.24 | 1.2 |
| 22:00 | 232 | ანდერლეხტი-ვესტერლო | 1.2 | 5.5 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.6 |
| 22:00 | 233 | შარლერუა-სერკლი | 1.8 | 3.6 | 3.6 | 1.2 | 1.2 | 1.79 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 234 | ლიერსი-ბრიუსელი | 1.6 | 3.5 | 5.0 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 17:00 | 235 | მონსი-ბეერსხოტი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 21:00 | 236 | ბრიუგე-მუსკრონი | 1.2 | 5.5 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.6 |
| 22:00 | 237 | სტ.ტრუიდენი-სტანდარდი | 3.3 | 3.3 | 2.0 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| | | **ჰოლანდია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 247 | ვალვაიკი-ვიტესი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:30 | 248 | დენ ჰააგი-ტილბურგი | 2.4 | 3.4 | 2.5 | 1.4 | 1.22 | 1.44 |
| 21:30 | 249 | პსვ-ტვენტე | 1.2 | 5.5 | 10.5 | 1.0 | 1.07 | 3.6 |
| 22:00 | 250 | ნაიმეგენი-როდა | 2.25 | 3.3 | 2.8 | 1.33 | 1.24 | 1.51 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 14:30 | 251 | ჰერენვენი-ფეიენოორდი | 3.3 | 3.3 | 2.0 | 1.64 | 1.24 | 1.24 |
| 16:30 | 252 | აიაქსი-როზენდალი | 1.15 | 6.0 | 14.0 | 1.0 | 1.06 | 4.19 |
| 16:30 | 253 | გრონინგენი-ალკმაარი | 2.8 | 3.3 | 2.25 | 1.51 | 1.24 | 1.33 |
| 16:30 | 254 | ბრედა-დენ ბოსხი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 16:30 | 255 | უტრეხტი-გრააფსხაპი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **ჰოლანდია. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:00 | 256 | აპელდორნი-სპარტა | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 22:00 | 257 | დორდრეხტი-ჰაარლემი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 22:00 | 258 | ემენი-ვოლენდამი | 3.2 | 3.4 | 1.95 | 1.64 | 1.21 | 1.23 |
| 22:00 | 259 | ექსცელსიორი-ოსი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| 22:00 | 260 | სიტარდი-ვენლო | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| 22:00 | 261 | ჰელმონდი-მაასტრიხტი | 1.5 | 3.6 | 5.8 | 1.05 | 1.19 | 2.22 |
| 22:00 | 262 | ჰერაკლესი-ეინდჰოვენი | 1.35 | 4.2 | 7.2 | 1.02 | 1.13 | 2.65 |
| 22:00 | 263 | ტელსტარი-ვეენდამი | 2.3 | 3.3 | 2.6 | 1.35 | 1.22 | 1.45 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 264 | იგლსი-ზვოლე | 2.6 | 3.3 | 2.3 | 1.45 | 1.22 | 1.35 |
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 266 | ბოავისტა-ბეირა მარი | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 267 | ბელენენსეში-ბრაგა | 2.1 | 3.2 | 3.1 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 268 | ესტორილი-გიმარაეში | 2.15 | 3.0 | 3.2 | 1.25 | 1.28 | 1.54 |
| 21:45 | 269 | ლეირია-ბენფიკა | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| 19:00 | 270 | მარიტიმუ-ჟილ ვისენტე | 1.5 | 3.6 | 6.0 | 1.05 | 1.2 | 2.25 |
| 19:00 | 271 | პენაფიელი-აკადემიკა | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 19:00 | 272 | რიუ ავე-ნასიონალი | 2.0 | 3.0 | 3.6 | 1.2 | 1.28 | 1.63 |
| 23:45 | 274 | სპორტინგი-მორეირენსე | 1.25 | 5.0 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.21 |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:30 | 273 | სეტუბალი-პორტუ | 3.7 | 3.2 | 1.9 | 1.71 | 1.25 | 1.19 |
| | | **საბერძნეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:00 | 289 | ოფი-ერგოტელისი | 1.7 | 3.1 | 4.7 | 1.09 | 1.24 | 1.86 |
| 18:00 | 290 | პანიონიოსი-კერკირა | 1.65 | 3.4 | 4.6 | 1.11 | 1.21 | 1.95 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 284 | აეკ-ხალკიდონა | 1.45 | 3.6 | 6.0 | 1.03 | 1.16 | 2.25 |
| 20:00 | 285 | არისი-პანათინაიკოსი | 7.5 | 4.0 | 1.3 | 2.6 | 1.1 | 1.0 |
| 18:00 | 286 | იონიკოსი-ოლიმპიაკოსი | 5.8 | 3.8 | 1.45 | 2.29 | 1.15 | 1.04 |
| 16:45 | 287 | ირაკლისი-ეგალეო | 2.3 | 3.0 | 2.8 | 1.3 | 1.26 | 1.44 |
| 15:45 | 288 | კალითეა-კალამარია | 2.05 | 3.0 | 3.4 | 1.21 | 1.27 | 1.59 |
| 20:00 | 291 | ქსანთი-პაოკი | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 16:25 | 302 | ტეპლიცე-სპარტა | 2.8 | 2.8 | 2.5 | 1.39 | 1.32 | 1.32 |
| 19:00 | 303 | ოპავა-ზლინი | 2.2 | 3.0 | 3.0 | 1.26 | 1.26 | 1.5 |
| 19:00 | 304 | სლოვაცკო-ბოლესლავი | 1.5 | 3.7 | 5.5 | 1.06 | 1.17 | 2.21 |
| 19:00 | 305 | ბუდეიოვიცე-ლიბერეცი | 2.75 | 2.9 | 2.4 | 1.41 | 1.28 | 1.31 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 306 | იაბლონეცი-ბრნო | 1.7 | 3.2 | 4.3 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 19:00 | 307 | ბლშანი-პრჟიბრამი | 2.1 | 3.1 | 3.2 | 1.25 | 1.26 | 1.57 |
| 19:00 | 308 | დრნოვიცე-სიგმა | 2.5 | 3.0 | 2.6 | 1.36 | 1.27 | 1.39 |
| | | **29 ნოემბერი** | | | | | | |
| 18:40 | 309 | სლავია-ბანიკი | 1.8 | 3.2 | 3.8 | 1.15 | 1.22 | 1.73 |
| | | **ხორვატია** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 315 | სლავენი-ზაგრები | 1.75 | 3.1 | 4.6 | 1.11 | 1.26 | 1.85 |
| 15:30 | 316 | ვარტექსი-პულა | 1.4 | 3.6 | 6.6 | 1.0 | 1.15 | 2.32 |
| 15:30 | 317 | ზადარი-ჰაიდუკი | 5.5 | 3.6 | 1.45 | 2.17 | 1.14 | 1.03 |
| 18:00 | 318 | კამენი-მეჯიმურიე | 1.45 | 3.6 | 5.5 | 1.03 | 1.14 | 2.17 |
| 18:00 | 319 | ოსიეკი-რიეკა | 2.15 | 3.2 | 2.9 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 15:30 | 320 | დინამო-ინტერი | 1.35 | 3.7 | 7.5 | 1.0 | 1.14 | 2.47 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 814 | რანდერსი-ვიბორგი | 3.15 | 3.0 | 2.1 | 1.53 | 1.25 | 1.23 |
| 20:00 | 815 | სილკებორგი-ნორდსიელანდი | 2.0 | 3.0 | 3.35 | 1.2 | 1.25 | 1.58 |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 335 | ესბიერგი-კოპენჰაგენი | 2.6 | 3.0 | 2.45 | 1.39 | 1.26 | 1.34 |
| 19:00 | 336 | ოლბორგი-ოდენსე | 2.35 | 3.1 | 2.7 | 1.33 | 1.25 | 1.44 |
| | | **28 ნოემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 337 | ორჰუსი-სილკებორგი | 1.65 | 3.2 | 4.6 | 1.08 | 1.21 | 1.88 |
| 17:00 | 338 | მიდტიულანდი-რანდერსი | 1.4 | 3.6 | 7.0 | 1.0 | 1.16 | 2.37 |
| 17:00 | 339 | ნორდსიელანდი-ვიბორგი | 2.7 | 3.0 | 2.35 | 1.42 | 1.25 | 1.31 |
| 19:30 | 340 | ჰერფოლგე-ბრიონდბიუ | 5.0 | 3.8 | 1.5 | 2.15 | 1.15 | 1.07 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 820 | მონტერეი-პაჩუკა | 2.05 | 3.0 | 3.35 | 1.21 | 1.27 | 1.58 |
| 23:45 | 821 | ჩივასი-ატლასი | 2.4 | 3.0 | 2.7 | 1.33 | 1.27 | 1.42 |
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 831 | სან ფელიპე-უნ.კატოლიკა | 2.8 | 3.3 | 2.2 | 1.51 | 1.23 | 1.32 |
| 23:45 | 832 | კოკიმბო-კოლო კოლო | 2.6 | 3.1 | 2.4 | 1.41 | 1.24 | 1.35 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 20:00 | 405 | ზენიტი-სევილია | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 19:30 | 406 | ამიკა-ალკმაარი | 3.8 | 3.5 | 1.8 | 1.82 | 1.22 | 1.18 |
| 20:00 | 407 | დინამო-სპორტინგი | 4.2 | 3.5 | 1.7 | 1.9 | 1.21 | 1.14 |
| 20:15 | 408 | შალკე-ფერენცვაროში | 1.25 | 4.8 | 10.0 | 1.0 | 1.11 | 3.24 |
| 20:45 | 409 | დნეპრი-აუსტრია | 2.0 | 3.3 | 3.5 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 21:15 | 410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 21:30 | 411 | ბრიუგე-უტრეხტი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 21:30 | 412 | სტანდარდი-პარმა | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 22:00 | 413 | აეკ-ლილი | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| 22:15 | 414 | ბაზელი-ჰართსი | 1.5 | 3.7 | 6.0 | 1.06 | 1.2 | 2.28 |
| 22:45 | 415 | სოშო-ნიუკასლი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 22:45 | 416 | რეინჯერსი-გრაცერი | 1.45 | 4.0 | 6.0 | 1.06 | 1.16 | 2.4 |
| 23:00 | 417 | ლაციო-პარტიზანი | 1.6 | 3.6 | 5.0 | 1.1 | 1.21 | 2.09 |
| 23:00 | 418 | ბენფიკა-დინამო | 1.45 | 3.7 | 7.0 | 1.04 | 1.2 | 2.42 |
| 23:30 | 419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 3.7 | 3.4 | 1.85 | 1.77 | 1.23 | 1.19 |
| 23:00 | 420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| | | **ინგლისი. თასი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 426 | ბრენტფორდი-ბრისტოლი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| | | **სამხ.ამერიკ.თასი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 817 | უნივერსიტარიო-ბოლივარი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 605 | ტიმრა-სოდერტელიე | 1.45 | 4.6 | 4.5 | 1.1 | 1.09 | 2.27 |
| 21:00 | 606 | იურგარდენი-ჰვ 71 | 1.85 | 4.4 | 2.8 | 1.3 | 1.11 | 1.71 |
| 21:00 | 607 | ფერიესტადი-ბრიუნესი | 1.5 | 4.5 | 3.8 | 1.12 | 1.07 | 2.06 |
| 21:00 | 608 | მორა-ლინშოპინგი | 2.1 | 4.3 | 2.3 | 1.41 | 1.09 | 1.49 |
| 21:00 | 609 | მალმო-მოდო | 2.45 | 4.3 | 2.05 | 1.56 | 1.11 | 1.38 |
| 21:00 | 610 | ლულეო-ფროლუნდა | 2.5 | 4.3 | 2.0 | 1.58 | 1.11 | 1.36 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **ფინეთი** | | | | | | |
| | | **25 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:30 | 625 | ესეტი-ჰამეენლინა | 2.3 | 4.15 | 2.2 | 1.47 | 1.12 | 1.43 |
| 19:30 | 626 | ესპოო-ჰელსინკი | 2.25 | 4.2 | 2.25 | 1.46 | 1.12 | 1.46 |
| 19:30 | 627 | იუვესკიულე-ილვესი | 2.0 | 4.4 | 2.5 | 1.37 | 1.11 | 1.59 |
| 19:30 | 628 | პელიკანსი-კერპეტი | 4.6 | 4.7 | 1.4 | 2.32 | 1.07 | 1.07 |
| 19:30 | 629 | ტაპარა-იოკერიტი | 2.5 | 4.3 | 2.0 | 1.58 | 1.11 | 1.36 |
| 19:30 | 630 | ლუკო-ტურკუ | 2.2 | 4.2 | 2.3 | 1.44 | 1.12 | 1.48 |
| | | **ჰოკეი** | | | | | | |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **26 ნოემბერი** | | | | | | |
| 19:00 | 641 | ზლინი-ლიტვინოვი | 1.6 | 4.5 | 3.6 | 1.18 | 1.1 | 2.0 |
| 19:00 | 642 | ვსეტინი-კარლოვი ვარი | 2.0 | 4.3 | 2.5 | 1.36 | 1.11 | 1.58 |
| 19:30 | 643 | ზნოიმო-პარდუბიცე | 2.3 | 4.3 | 2.15 | 1.49 | 1.11 | 1.43 |
| 21:00 | 644 | სლავია-ვიტკოვიცე | 1.65 | 4.4 | 3.4 | 1.2 | 1.11 | 1.91 |
| 19:00 | 645 | ტრჟინეცი-ლუკლა | 1.35 | 4.7 | 5.0 | 1.04 | 1.06 | 2.42 |
| 20:00 | 646 | ლიბერეცი-პლზენი | 1.95 | 4.3 | 2.6 | 1.34 | 1.11 | 1.62 |
| | | **კრივი** | | | | | | |
| | | **27 ნოემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 833 | მორალესი ე.-ბარერა მ.ა | 1.45 | 20.0 | 2.7 | | | |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14405 | ზენიტი-სევილია | 1.8 | 2.0 |
| 14406 | ამიკა-ალკმაარი | 2.0 | 1.8 |
| 14407 | დინამო-სპორტინგი | 2.4 | 1.6 |
| 14408 | შალკე-ფერენცვაროში | 1.25 | 3.1 |
| 14409 | დნეპრი-აუსტრია | 1.75 | 2.1 |
| 14410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 1.8 | 2.0 |
| 14411 | ბრიუგე-უტრეხტი | 1.3 | 3.0 |
| 14412 | სტანდარდი-პარმა | 1.9 | 1.9 |
| 14413 | აეკ-ლილი | 1.8 | 2.0 |
| 14414 | ბაზელი-ჰართსი | 1.3 | 3.0 |
| 14415 | სოშო-ნიუკასლი | 1.9 | 1.9 |
| 14416 | რეინჯერსი-გრაცერი | 1.3 | 3.0 |
| 14417 | ლაციო-პარტიზანი | 1.4 | 2.8 |
| 14418 | ბენფიკა-დინამო | 1.35 | 2.9 |
| 14419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 2.2 | 1.7 |
| 14420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 1.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13405 | ზენიტი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13406 | ამიკა-ალკმაარი | 1.9 | 1.7 |
| 13407 | დინამო-სპორტინგი | 1.8 | 1.8 |
| 13408 | შალკე-ფერენცვაროში | 1.6 | 2.0 |
| 13409 | დნეპრი-აუსტრია | 1.9 | 1.7 |
| 13410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 1.9 | 1.7 |
| 13411 | ბრიუგე-უტრეხტი | 1.7 | 1.9 |
| 13412 | სტანდარდი-პარმა | 1.9 | 1.7 |
| 13413 | აეკ-ლილი | 1.85 | 1.75 |
| 13414 | ბაზელი-ჰართსი | 1.9 | 1.7 |
| 13415 | სოშო-ნიუკასლი | 1.75 | 1.85 |
| 13416 | რეინჯერსი-გრაცერი | 1.85 | 1.75 |
| 13417 | ლაციო-პარტიზანი | 1.75 | 1.85 |
| 13418 | ბენფიკა-დინამო | 1.75 | 1.85 |
| 13419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 1.9 | 1.7 |
| 13420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12405 | ზენიტი-სევილია | 1.8 | 1.9 |
| 12406 | ამიკა-ალკმაარი | 1.9 | 1.8 |
| 12407 | დინამო-სპორტინგი | 1.85 | 1.85 |
| 12408 | შალკე-ფერენცვაროში | 2.3 | 1.55 |
| 12409 | დნეპრი-აუსტრია | 1.6 | 2.2 |
| 12410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 1.7 | 2.0 |
| 12411 | ბრიუგე-უტრეხტი | 1.9 | 1.8 |
| 12412 | სტანდარდი-პარმა | 1.75 | 1.95 |
| 12413 | აეკ-ლილი | 1.7 | 2.0 |
| 12414 | ბაზელი-ჰართსი | 2.0 | 1.7 |
| 12415 | სოშო-ნიუკასლი | 1.8 | 1.9 |
| 12416 | რეინჯერსი-გრაცერი | 2.0 | 1.7 |
| 12417 | ლაციო-პარტიზანი | 1.85 | 1.85 |
| 12418 | ბენფიკა-დინამო | 2.0 | 1.7 |
| 12419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 1.95 | 1.75 |
| 12420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 1.8 | 1.9 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15405 | ზენიტი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15406 | ამიკა-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15407 | დინამო-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15408 | შალკე-ფერენცვაროში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15409 | დნეპრი-აუსტრია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15411 | ბრიუგე-უტრეხტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15412 | სტანდარდი-პარმა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15413 | აეკ-ლილი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15414 | ბაზელი-ჰართსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15415 | სოშო-ნიუკასლი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15416 | რეინჯერსი-გრაცერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15417 | ლაციო-პარტიზანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15418 | ბენფიკა-დინამო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 3.0 | 2.8 | 2.0 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11405 | ზენიტი-სევილია | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11406 | ამიკა-ალკმაარი | 6.0 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11407 | დინამო-სპორტინგი | 7.0 | 10.0 | 20.0 | 7.5 | 4.6 | 3.5 | 20.0 | 10.0 | 2.5 |
| 11408 | შალკე-ფერენცვაროში | 1.8 | 15.0 | 30.0 | 3.5 | 5.3 | 12.0 | 20.0 | 12.0 | 12.0 |
| 11409 | დნეპრი-აუსტრია | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11410 | სტიაუა-ბეშიქთაში | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11411 | ბრიუგე-უტრეხტი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11412 | სტანდარდი-პარმა | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11413 | აეკ-ლილი | 3.3 | 10.0 | 20.0 | 4.4 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.6 |
| 11414 | ბაზელი-ჰართსი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11415 | სოშო-ნიუკასლი | 3.6 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 5.0 | 20.0 | 10.0 | 4.2 |
| 11416 | რეინჯერსი-გრაცერი | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11417 | ლაციო-პარტიზანი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11418 | ბენფიკა-დინამო | 2.1 | 12.0 | 25.0 | 3.5 | 4.6 | 10.0 | 20.0 | 10.0 | 10.0 |
| 11419 | ჰერენვენი-შტუტგარტი | 6.5 | 10.0 | 20.0 | 7.0 | 4.4 | 3.6 | 20.0 | 10.0 | 2.7 |
| 11420 | ვილიარეალი-მიდლსბრო | 3.2 | 10.0 | 20.0 | 4.2 | 4.4 | 5.3 | 20.0 | 10.0 | 4.8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბაჩუკი კომახიძის ფოტო



# გაუღიმეთ ჯარჯი ზვიადაურს

## ბიჭი, რომელიც საქართველომ დაკარგა

*პლეხანოვის საჭიდაო დარბაზი, მწვრთნელი ჯურამ მოდებაძე, პირველი ნაბიჯები ძიუდოში... ძნელი ნაბიჯები, საათნახევრიანი, საშინელი გზა ლილოდან დარბაზამდე, შემდეგ უკან. გაურკვევლობა... სად მიიყვანს ეს გზა? მას ხომ თბილისში სახლიც არ ჰქონდა და ხშირად გზის ფულიც უჭირდა. ადგა და წავიდა... მაშინ ჯარჯი ზვიადაური ოლიმპიური ჩემპიონი კი არა, მხოლოდ ნიჭიერი ბიჭი იყო, მხოლოდ 15 წლის ბიჭი და მისთვის ცხოვრება ასეთ ლამაზ ფერებში არ იხატებოდა. ირგვლივ მიმოვიხედოთ, ცოტანი წასულან? ჩვენთვის იოლია, მას პატრიოტიზმი მოვთხოვოთ, მაგრამ აბა ვიკითხოთ, რა გავაკეთეთ იმისთვის, რომ ის აქ დარჩენილიყო? ჰოდა, ნურც გავამტყუნებთ, ნურც მას და ნურც სხვას, ვისაც ამ ცივი და ჩაბნელებული ქვეყნიდან გასვლა უნდა. და ნურც იმისთვის გავკიცხავთ, რომ მსოფლიო მას ილიას ილიადისის სახელით იცნობს. ჯარჯი ზვიადაურს ათენის ქუჩებში გავლა უჭირს, მაგრამ იქაურ პოპულარობას ერთი აქაური ღიმილი ურჩევნია. მას ეს სითბოც აკლდა, აქედან რომ მიდიოდა*

— მაშინ ლილოში ვცხოვრობდი და სავარჯიშოდ პლეხანოვზე მდებარე დარბაზში დავდიოდი. გზაში დაახლოებით საათნახევარი მეხარჯებოდა, მაგრამ მთავარი პრობლემა დრო კი არა, ფინანსები იყო. ბავშვთა ოლიმპიადა რომ მოვიგე, ასლარიან ხელფასს შემპირდნენ, მაგრამ მასაც ან მივიღებდი ან არა. სპორტისთვის შეიძლება მართლა დავკარგულიყავი, რადგან თბილისში ახლობლები არ მყავდა და ვერავისთან დავრჩებოდი. იმ მძიმე პერიოდში ოჯახის ახლობელმა ნიკო გარაქელოვმა საბერძნეთში წამიყვანა. თხუთმეტი წლის ვიყავი და ნორმალური სავარჯიშო პირობები ჰაერივით მჭირდებოდა.

— **საბერძნეთის მოქალაქეობა და ნაკრებში ჭიდაობა მაშინვე გადაწყვეტილი იყო?**

— რა თქმა უნდა. მან მიშვილა და თავის გვარზეც გადამიყვანა. მანამდე კი თავად გახდა ილიადისი.

— **საბერძნეთის ნაკრებში არაერთი ქართველი ძიუდოისტის მოხვედრაც ილიადისის დამსახურებაა?**

— დიახ, მაგრამ რაც აქაურ ჟურნალ-გაზეთებში იწერება, სიმართლესთან ახლოსაც არაა. ამბობენ, ნიკო გარაქელოვი ძლიერ ბიჭებს იტაცებსო, რითაც მას უდიდეს შეურაცხყოფას აყენებენ. სინამდვილეში სპორტსმენები და მათი ახლობლები ეხვეწებოდნენ და დღესაც ეხვეწებიან, აქედან გაგვიყვანეო, მაგრამ ეს გარედან სულ სხვანაირად ჩანს. მანაც მართლა გულნატკენმა თქვა, მორჩა, აღარავის აღარ წავიყვანო. სამწუხაროდ, ბოროტი ენები ძალიან ბევრია და ეს ჩემს თავზეც გამოვცადე. ოლიმპიადის მოგების შემდეგ უეცრად სამედიცინო შემოწმებაზე გამაქანეს და ზუსტი ასაკის დასადგენად ანალიზები ამიღეს. ვიღაცას საქართველოდან დაურეკავს, ეგ ბიჭი მართლა თვრამეტი წლის ნუ გგონიათ, ოცდასამისააო. არ ვიცი, ვის რაში დასჭირდა, ან ამით რისი მიღწევა უნდოდა. 1985 წელს ვარ დაბადებული და აბა, ანალიზი სხვას რას უჩვენებდა.

— **შენი ზვიადაურობა რატომღა იმალებოდა?**

— ჯერ კიდევ ევროპის ჩემპიონად გახდომის შემდეგ გაიგეს საბერძნეთში ჩემი ნამდვილი გვარი. ზვიადაური რომ ვიყავი, ოლიმპიადამდე ყველამ იცოდა. ჩვენი შეცდომა ის იყო, რომ უცხოელ ჟურნალისტებს დავუმალეთ, ამით ვითომ ზედმეტ გართულებებს მოვერიდეთ. არადა, სიმართლე ყველასათვის ნათელი იყო.

— **როგორ დაგიფასეს საბერძნეთში ოლიმპიური ჩემპიონობა?**

— რომ გითხრათ, ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონებზე მეტი მომცეს მეთქი, მართალი არ ვიქნები. ფინანსებზე მთავარი ის დაფასებაა, რასაც იქ ვგრძნობდი და ვგრძნობ. ოლიმპიურ ბაზაზე ოთახი მომცეს და იქ ვცხოვრობ. შვიდეულში მოხვედრილ ოლიმპიელებს სამხედრო წოდებებიც დაგვირიგეს, რაც სიცოცხლის ბოლომდე 1500-ევროიან ხელფასებს ითვალისწინებს. გარდა ამისა, მეც და მთელს ჩემს ოჯახს ყველანაირი სამედიცინო მომსახურება ყოველთვის უფასო გვექნება. ახლახან ერთ იქაურ ბანკთანაც გავაფორმე კონტრაქტი, როგორც მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთმა ფავორიტმა და პეკინამდე ისიც ხელფასს გადამიხდის.

— **ესე იგი, საქართველოში დაბრუნებაზე ჯერ არც ფიქრობ?**

— რა თქმა უნდა, ბოლო წლების გამარჯვებები საქართველოს სახელით რომ მომეპოვებინა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ახლა წამოსვლა ძალიან ძნელია. მინიმუმ ჩინეთის ოლიმპიადამდე აუცილებლად საბერძნეთის სახელით ვიჭიდავებ. ერთხელაც გავიხსენებ, თხუთმეტი წლის ბიჭს ყველანაირი პირობა შემიქმნეს, წელიწადში ცხრა თვე შეკრებებზე დამატარებდნენ და გთხოვთ, ნუ გამამტყუნებთ.

— **საკლუბო დონეზე ჯერ არ გიჭიდავია. კლუბ „საგარეჯოში“ ჩამოსვლაზე რას იტყვი?**

— ამ საკითხზე უახლოეს დღეებში დავილაპარაკებთ. ჩემი ხალხისთვის ჭიდაობა ყველაფერს მირჩევნია, თუმც აქაც ერთი პრობლემაა. ბერძნებსაც აქვთ კლუბის გაკეთება გადაწყვეტილი. ეგაა, დღემდე სპონსორი ვერ უშოვიათ. თუ ეს არ გამოუვიდათ, „საგარეჯოს“ ღირსებას დავიცავ. მაქვს გერმანული ვარიანტიც, მაგრამ მასზე არც კი ვფიქრობ.

— **საბერძნეთში მალე ბრუნდები?**

— ბილეთი ორშაბათის რეისზე მაქვს, მაგრამ ეგებ 10 დეკემბრამდეც დავრჩე. ამ დღეს მოსკოვში პუტინის სახელობის ტურნირი იწყება და თუ იქ ჭიდაობა გადავწყვიტე, თბილისში მოვემზადები.

— **როგორც ვიცი, საქართველოში დაოჯახებული დაბრუნდი...**

— ცოლი ახლახან მოვიყვანე და ჩამოსვლის ერთ-ერთი მიზეზი ისიც იყო — მინდოდა, მშობლებისთვის გამეცნო. თბილისში გაზრდილი ლიკა გრიგორიადისი, ახლა უკვე ლიკა ზვიადაური, სალონიკთან მდებარე პატარა ქალაქ ხალკიდიკში გავიცანი. იქ მეგობართან ხშირად მიწევდა ხოლმე ჩასვლა და...

— **აბა, ოლიმპიურ ჩემპიონს, თან ახლადდაოჯახებულს, ახმეტაში დიდი ზარ-ზეიმით შეგხვდებოდნენ.**

— საქეიფო დრო ჯერ ვერ გამოვნახეთ. ახმეტაში გიორგობას ჩავედი, ისიც ცოტახნით და მთელი დრო ეკლესიაში გავატარე. ისე, ქეიფიც მოესწრება.

— **გავრცელდა ხმები, თითქოს საქართველოს პრეზიდენტთან შეხვედრას აპირებდე. მართალია?**

— არ ვიცი, ჩემამდე ეგ ხმა ჯერ არ მოსულა. მიხეილ სააკაშვილისადმი მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. ვიცი, რომ მთავრობა ოლიმპიურ ჩემპიონებს ასე სათუთად ეპყრობა, მაგრამ დაფასება მარტო ჩემპიონებს არ სჭირდებათ. უმედლოდ დარჩენილებმა რაღა დააშავეს. მათში ხომ ბევრი უნიჭიერესი სპორტსმენია? საბერძნეთში შვიდეულში შესულებს ისე უყურებენ, როგორც ჩემპიონებს. ეგაა, ჩემპიონებს მეტი ხალხი იცნობს და მეტი პოპულარობა აქვთ. აქ კი, როცა ათენის ოქროს წუთების ავტორებს იხსენებენ, იქვე თუნდაც დავით ქევხიშვილიც უნდაახსენონ, ბიჭი, რომელიც ოლიმპიურ მედალს ულაპარაკოდ იმსახურებდა და რომელსაც ეს დიდება, დარწმუნებული ვარ, წინ აქვს. მეტი ყურადღება სჭირდებათ იმ ჭაბუკებსაც, თავიანთ ასაკში დასამტკიცებელი რომ აღარაფერი დარჩათ, მაგრამ ამის ხეირიანად დაუფასებლობის გამო თვალი სხვა ქვეყანაზე უჭირავთ.

— **საბერძნეთში უაღრესად პოპულარულმა აქ თუ იგრძენი ხალხის ყურადღება?**

— იქ ქუჩაში გავლა მიჭირს, ყველა ავტოგრაფს მთხოვს. ცხადია, ისეთი პოპულარული აქ ვერ ვარ, მაგრამ აქაური თუნდაც ერთი ღიმილი ყველაფერს მირჩევნია. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გამიხარდა იმ ხალხის რეაქცია, ვინც მიცნო და მოსალოცად მოსვლა გადაწყვიტა. ზოგიერთი კი უბრალოდ მიყურებს და მოსვლას ვერ ბედავს, ალბათ დარწმუნებულნი არ არიან, რომ მე ვარ...

— **ბოლოს ის ორი დღე გაიხსენე, შენ და შენმა ბიძაშვილმა რომ იჩემპიონეთ.**

— ზურამ ჩემს ფინალს ვერ უყურა. დარბაზში მხოლოდ მესამე შეხვედრამდე გაჩერდა. კორეელ მეტოქესთან იმდენი ხალხის ყიჟინაში, თუ დამიჯერებთ, მარტო მისი და ლაშა გუჯეჯიანის ყვირილი და შეძახილები მესმოდა. ვერც მე ვუყურე მის ყველა ჭიდაობას. დარბაზში შესვლა და ხალხის ალყაში მოქცევა ერთი იყო. ფინალზე კი ყველა ჩამოვიცილე და ქართველებთან ერთად დროშებში გახვეულმა ძალიან გავიხარე. ალალად გეტყვით, მე რომ ჩემპიონი გავხდი, ვერაფერს ვგრძნობდი, ზურას ოქროზე კი ტირილით ვსკდებოდი.




**ოთარ მაღლაკელიძე**

# აზერული სიბრძნე: ქართველს ქართველი თუ მოერევა

*აზერბაიჯანის ჩემპიონატზე კი მოგახსენებთ, მაგრამ არ იქნება, ეს არ ვთქვათ: გასულ უქმეებზე ბაქოში „ქართული დერბი“ გაიმართა. „ნტდ-დევონი“, რომელსაც ნუგზარ კანდელაკი წვრთნის და რომელშიც კიდევ ოთხი ქართველი თამაშობს, ასევე ოთხი ქართველის „აზერის“ შეხვდა. მატჩი ვერ გამოდგა ისეთი, აზერელები რომ ფიქრობდნენ. კანდელაკის გუნდმა იოლად იმარჯვა და მეტოქის მწვრთნელი შეიწირა. როგორც ბატონმა ნუგზარმა გვითხრა, „აზერის“ ხელმძღვანელობა ძალიან განურისხებია მარცხს და მწვრთნელთან ერთად განტევების ვაცად ქართველები გამოუყვანია...*



ნუგზარ კანდელაკი ქართველებს ბაქოშიც ამარცხებს

— ნაღდად არ მეგონა, ასე თუ განიცდიდნენ აზერელები ჩვენთან წაგებას, თორემ ეგებ ამხელა სხვაობით არ მოგვეგო. ნახევრადხუმრობით დაიწყო „სარბიელთან“ საუბარი ნუგზარ კანდელაკმა.

— მაშ, როგორ მოუგეთ?

— 100:55 დავამარცხეთ, თან ისე, თავი არც კი გამოგვიდვია. ლაშა კეშელავამ 13-დან 10 სამქულიანი ჩააგდო, მისმა ზუსტმა სროლებმა საქმე თავიდანვე გაგვიიოლა და უპრობლემოდ მივედით გამარჯვებამდე.

— „დევონი“ — „აზერის“ მატჩი ნამეტანი „ქართული“ გამოდგა...

— აბა, რა იქნებოდა, ჩვენი არ იყოს, „აზერშიც“ ოთხი ჩვენიანი თამაშობს. ერთბაშად რვა ქართველი როცა მოედანზე იყო, თავი ვერის ბაღში მეგონა. ძალიან შინაურ ატმოსფეროში გაილია მთელი მატჩი.

— ელოდით, ასე იოლად რომ მოუგებდით „აზერის“?

— მე კი ველოდი, მაგრამ, მგონი, ამ გუნდის ხელმძღვანელობას მცდარი წარმოდგენა ჰქონდა „დევონის“ შესაძლებლობებზე და რომ წააგეს, გუნდში რეპრესიები წამოიწყეს. არ ვიცი, ასე რამ განარისხა „აზერის“ ხელმძღვანელობა, თუ მათ ჰყავთ ქართველები, „დევონშიც“ ხომ არიან ჩვენიანები?! აზერელებმა უკვე გაუშვეს მთავარი მწვრთნელი და, როგორც გავიგე, ორი ქართველიც დაუთხოვიათ გუნდიდან. არ ვიცი, ეს მართალია თუ არა, მაგრამ ის კი ნაღდია, რომ მწვრთნელის შემდეგ ჯოხი ჩვენიანებზე გადატეხეს.

— რატომ, ცუდად ითამაშეს „აზერის“ ქართველებმა თქვენი გუნდის წინააღმდეგ?

— 45 ქულით წააგეს და როგორც არ უნდა ეთამაშათ, გუნდის უფროსობამ ლიდერებს და მწვრთნელს დააბრალა ყველაფერი. ისე, ნოე შანიძეს, ლევან ლუკავას, დავით ბარბაქაძეს და ირაკლი გელაშვილს ცუდად არ უთამაშიათ, უბრალოდ, „დევონის“ ქართველებმა ითამაშეს ძლიერად და განსაკუთრებით ლაშა კეშელავამ.

— კეშელავას „გალთასთან“ ამას წინათ წაგებულ მატჩში არ უთამაშია, რომ ყოფილიყო, ალბათ წარმატებაზეც იფიქრებდით...

— ძნელია, იმის განსაზღვრა, რა მოხდებოდა, მაგრამ „კეშას“ რომ ეთამაშა და ისე წასვლოდა სროლა, როგორც „აზერისთან“, დიდი შანსი იყო, „გალა“ დაგვემარცხებინა, მაგრამ არა უშავს, „გალას“ 4 დეკემბერს კიდევ უნდა შევხვდეთ და საამატჩოდ ალბათ ყველა მწყობრში იქნება. თანაც „გალა“ „ჩელენჯ ქაფზეც“ იბრძვის და ჩვენთან მატჩს სავარაუდოდ დასუსტებული შეხვდება.

— „გალამ“ „ჩელენჯ ქაფზე“ შინაც წააგო, სტუმრადაც და თითქოს ჯგუფიდან გასვლის შანსიც დაკარგა...

— ჯერ არ დაუკარგავს, მაგრამ 4 დეკემბრისთვის ეგებ მართლაც უშანსოდ იყოს. „გალა“ ხვალ უკრაინაში „ნიკოლაევს“ ეთამაშება და თუ მოუგო, 2 დეკემბერს შინ „შაულიაის“ დამარცხებით ჯგუფიდან გავა. ასე რომ, კურტინაიტისის გუნდის „ნიკოლაევთან“ მატჩის შედეგს ჩვენთვისაც აქვს მნიშვნელობა — თუ „გალა“ მოიგებს, მძლავრ „შაულიაის“ 2 დეკემბერს თავს შეაკლავს და ჩვენთან არაქათგამოცლილები იქნება.

— ესე იგი, „ნიკოლაევი“ — „გალას“ მატჩში ბაქოელებს ქომაგობთ...

— ზემოთ თქმული ფაქტორი რომ არა, „ნიკოლაევს“ ვუქომაგებდი, იქ ხომ ყოფილი ბასკოელი, კამერუნელი გამთამაშებელი ტიბუ იამჩუ თამაშობს.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 22 ნოემბერი —

**იუტა 75:76 ნიუ ორლეანი**

იუტა: კირილენკო (18 ქულა, 9 მოხსნა, 7 დაფარება)

ნიუ ორლეანი: მალუა (20 ქულა, 11 მოხსნა)

**ფინიქსი 100:82 ჩიკაგო**

ფინიქსი: მარიონი (21 ქულა, 16 მოხსა), სტუდემაიერი (21)

ჩიკაგო: გორდონი (20), კარი (17)

**მემფისი 93:90 სან ანტონიო**

მემფისი: ველსი (26)

სან ანტონიო: დანკანი (26), პარკერი (18)

**დალასი 82:83 მინესოტა**

დალასი: ჰოვარდი (22)

მინესოტა: გარნეტი (21 ქულა, 17 მოხსნა, 9 პასი)



მაიამელი დუეინ ვეიდი პორტლენდელთა ფარქვეშეთში თარეშობს

— 23 ნოემბერი —

**ლეიკერსი 100:96 მილუოკი**

ლეიკერსი: ეტკინსი (8), ბრაიანტი (30), ბატლერი (16), ოდომი (17), მიმი (12); კუკი (9), ბრაუნი (8), ჯონსი, დივაცი, რაში

მილუოკი: უილიამსი (4), რედი (6), ვან ჰორნი (10 ქულა, 10 მოხსნა), სმიტი (8), გაძურიჩი (7 ქულა, 11 მოხსნა); მეისონი (26), ჯეიმსი (18 ქულა, 11 პასი), ფიზერი (7), ფაჩულია (18 წუთი, 6 ქულა, 2 მოხსნა), სტრიკლენდი (4)

**დენვერი 90:88 ნიუ ჯერსი**

დენვერი: მილერი (17), ბაკნერი (8), ენტონი (9), მარტინი (22 ქულა, 12 მოხსნა, 6 პასი), კემბი (12 ქულა, 9 მოხსნა, 9 დაფარება); ბოიკინსი (12), ნენე (5), რასელი (5), ჯონსონი

*ცქიტიშვილი სათადარიგო იყო*

ნიუ ჯერსი: პლანინიჩი (9), ე. უილიამსი (9), ჯეფერსონი (26 ქულა, 11 მოხსნა), კოლინზი, მურნინგი (2); ბაფორდი (13), სკალაბრინი (11), ბესტი (11), ა. უილიამსი (7), ვონი

**მაიამი 87:99 პორტლენდი**

მაიმი: ვეიდი (19), ონილი (17 ქულა, 13 მოხსნა)

პორტლენდი: რენდოლფი (24), ანდერსონი (19)

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**შარლოტი 91:89 დეტროიტი**

შარლოტი: ოკაფორი (20 ქულა, 15 მოხსნა), ბოგანსი (18), ვოლესი (17)

დეტროიტი: ბილაფსი (24)

**ვაშინგტონი 102:86 ტორონტო**

ვაშინგტონი: ჯემისონი (28 ქულა, 13 მოხსნა), არენასი (26), ჰიუზი (20)

ტორონტო: კარტერი (25), ალსტონი (20 ქულა, 13 პასი, 6 მოხსნა)

**ინდიანა 106:96 ბოსტონი**

ინდიანა: ტინსლი (29), ჯ. ჯონსი (22 ქულა, 10 მოხსნა), ფ. ჯონსი (16 ქულა, 10 მოხსნა)

ბოსტონი: პირსი (20)

**გოლდენ სტეიტი 115:109 ნიუ ორლეანი**

ძირითადი დრო 86:86

გოლდენ სტეიტი: რიჩარდსონი (26 ქულა, 12 მოხსნა, 7 პასი), კლაქსტონი (21), ჩინი (18)

ნიუ ორლეანი: მალუა (27 ქულა, 14 მოხსნა), ვესლი (22), ნეილონი (18)

**საკრამენტო 102:96 ჰიუსტონი**

საკრამენტო: სტოიაკოვიჩი (22), ჯექსონი (18)

ჰიუსტონი: მინგი (29), მაკგრედი (25)

**მინესოტა 92:103 სიეტლი**

მინესოტა: გარნეტი (16 ქულა, 14 მოხსნა, 6 პასი), შჩერბიაკი (16)

სიეტლი: ლუისი (27), ალენი (24)

**ნიუ იორკი 104:88 ატლანტა**

ნიუ იორკი: მუჰამედი (18 ქულა, 14 მოხსნა), კროუფორდი (17)

ატლანტა: ვოლკერი (20), ჰარინგტონი (19)

# ენტონის ცუდი ტონი

## ვარსკვლავს სამ მილიონს სძალავდნენ



**თქმაც არ უნდა,** ნბა-ში თამაში ფულსა და პოპულარობას რომ ნიშნავს. შრომის საზღაურად მილიონები და უზრუნველი ცხოვრება გარანტირებულია. მაგრამ ნბა-ს ვარსკვლავის ცხოვრება მხოლოდ გარედან ჩანს უზურნველი, რაკი პოპულარობა ხშირად არასასურველ ყურადღებასაც ნიშნავს და ეს თავის თავზე გამოსცადა 20 წლის უკვე ვარსკვლავმა კარმელო ენტონიმ.

ენტონი მეორე წელია ნბა-შია და პოპულარობასთან ერთად ეს არასასურველი ყურადღებაც მიიპყრო. ეს სეზონი ჯერ დაწყებულიც არ იყო, რომ ჩანთაში მარიხუანა უპოვეს და მთელი ამხელა ქვეყანა ალაპარაკდა, რა კარგი და ბეჯითი ბიჭი გვეგონა, ეს კი თურმე პოპულარობამ წაახდინა და გზას აცდინაო. ეს არაფერი, ვინ არ ეწევა მარიხუანას. ამისათვის ერთი-ორჯერ დაგიბარებენ, ან მოგაკითხავენ. ბოლო-ბოლო ჯარიმას გადაიხდი. ეგაა, უსიამოვნო მომენტია.

მაგრამ მოწევაზე ჩავარდნა არაფერია იმასთან შედარებით, რაც ენტონის ამ დღეებში გადახდა — „დენვერ ნაგიტსის“ ლიდერს ფულს სძალავდნენ ლათინური წარმოშობის პირები. მათ დაურეკეს ენტონის და უთხრეს ნიუ იორკში, მანჰეტენის ღამის კლუბში გადაღებული ვიდეოკასეტა გვაქვს, რომელშიც შენი ჩხუბია ჩაწერილიო. ამ „კომპრომატის“ სანაცვლოდ ისინი სამ მილიონს ითხოვდნენ.

გამომძალველები პოლიციამ დააკავა და ამოიღო ეს კასეტა. ფირზე მართლაც ჩანს ნბა-ს ვარსკვლავის ჩხუბის კადრები — კარმელო მავან შუგარ რეის ცემს, რომელსაც ენტონის გელფრენდისთვის, ემტივი-ს წამყვან ლალა ვასკესისთვის სასმელი შეუსხია. ასე რომ გამომძალველებს მართლაც ჰქონიათ კომპრომატი. ჰოდა, დაურეკეს მილიონერ ვარსკვლავს. ამან კი, სადაც ჯერ არს, იქ დარეკა.

**კოტე ყორშია**

საქართველოს XV ჩემპიონატი

# თელავმა მამულს ხელი შეუბრუნა

პირველი წრე. მეორე ტური
24 ნოემბერი. ასკ-ს დარბაზი

**ქუთაისი 36:24 გორი**

ქუთაისი: მამასახლისი (გაიტანა 10 გოლი), კუჭუხიძე (6), გოგონაძე (6)
გორი: მშვიდობაძე (9), მოციქულაშვილი (5)

**თელავი 30:26 საუ-მამული**

თელავი: გიორგელაშვილი (9), ჯიშკარიანი (9)
საუ-მამული: კობახიძე (13), ჭელიძე (5)

**სტუ-შევარდენი 39:27 ჭაბუკები**

სტუ-შევარდენი: რუსია (10), ტალახაძე (8)
ჭაბუკები: მელქოშვილი (8), გ. ჩიქოვანი (6)

**ხ/კ თბილისი 35:24 ბათუმი**

თბილისი: ფორაქიშვილი (9), აბულაძე (7)
ბათუმი: ურუშაძე (12), სიხარულიძე (6)

**ქარიშხალა 32:23 სამტრედია**

ქარიშხალა: ქირია (8), საჯაია (6)
სამტრედია: ქავზინაძე (7), ჯოჯუა (7)

**გუშინ** არმიის სპორტული კლუბის დარბაზში განახლდა ერთი თვის წინ დაწყებული ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი. ათივე გუნდი თბილისში შეიკრიბა პირველი წრის მეორე ტურის მატჩების ჩასატარებლად.

ათივეს თავისი მიზან-ამოცანა აქვს — დაწინაურებული ოთხეული ჩემპიონობისთვის იბრძვის, კიდევ სამი-ოთხი კლუბი ცდილობს მოხვდეს ფინალურ ექვსეულში, რომელიც გაისად გაზაფხულზე მედლებისთვის ბრძოლას გააგრძელებს, ხოლო აუტსაიდერები ბოლო საფეხურიდან თავის დასაღწევად შეებმებიან ერთმანეთს.

გუშინ თითქოს „მოთელვის" დღე უნდა ყოფილიყო — ლიდერებს ცხრილის ქვედა ნახევარში მდგომთა ძლევა არ უნდა გასჭირვებოდათ, თუმც ერთი სენსაცია მაინც მოხდა.



ქუთათურმა ეროსი მამასახლისმა გორელებს ათჯერ გაუტანა

ჯერ კი იმაზე, რომ ჩვენი ჩემპიონატების ისტორიაში პირველად გამოფინეს დარბაზში საქართველოს ხელბურთის ასოციაციის ორმეტრიანი დროშა, ეროვნული ალმის თეთრ-წითელ ფერებში გადაწყვეტილი, რომელიც შეჯიბრების ერთ-ერთმა პარტნიორმა, ქართული წარმოების სპორტული ტანსაცმლის ფირმა „სარომ" დაამზადა.

ტური „ქუთაის" — „გორის" შეხვედრით გაიხსნა. ლიდერის და აუტსაიდერის მატჩის პირველი ტაიმი ბურთი-ბურთში მიდიოდა, რაც ადვილად ასახსნელია — ქუთათურთა რიგებში მიზეზთა გამო არ უთამაშიათ ჩემპიონატის მთავარმეგოლე ალექსანდრე ბოყოჩაძეს, გიორგი მინაძეს, დავით ხინგავას და გია მამაცაშვილს. ორიოდე სიტყვით მინაძეზე. მან ბავშვობაში ხელბურთით დაიწყო, მერე რაგბიზე გადაერთო და ჯერ „აიაში" თამაშობდა, შემდეგ საფრანგეთისა და რუსეთის კლუბებში. ახლაც „აიას" ეხმარება საქართველოს უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად, დღეს-ხვალ კი ისევ ხელბურთელებს დაუბრუნდება. შესვენების შემდეგ „ქუთაისი" წინ გაიჭრა და მორიგი დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.

საქართველოს 14-გზის ჩემპიონმა „სტუ-შევარდენმა", ხელბურთის კლუბმა „თბილისმა" და ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალამაც" იოლი მოგებები ჩაიწერეს. სკოლელების თამაში სასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს, გუშინ ბიჭებმა მესამე მოგება მოიპოვეს. ისე ჩანს, რომ ისინი მხოლოდ ექვსეულში მოხვედრით არ შემოიფარგლებიან და იქნებ საპრიზო სამეულისთვისაც გაიბრძოლონ. ამჯერადაც იყოჩაღეს სნაიპერმა მიხეილ საჯაიამ და „რეაქტიულმა" ირაკლი ქირიამ. სეზონში პირველად ითამაშა ათლეტური აღნაგობის (198სმ, 99კგ) ირაკლი სიგუამ, თითქმის მთელი თამაში დაჰყო მოედანზე და ოთხი ზუსტი სროლაც მიითვალა.

მოულოდნელად დასრულდა წინა ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორ „საუ-მამულის" და „თელავის" დაპირისპირება. ფავორიტ მამულელების მარცხი გამოიწვია ბომბარდირ გიორგი წივწივაძის არყოფნამ, რომელიც ირანში გაემგზავრა ერთ-ერთ იქაურ კლუბში სათამაშოდ და ორი-სამი მოთამაშის ტრავმამ. მატჩის ბედი ძირითადად თელაველთა მონდომებამ გადაწყვიტა. აქაც მთელი ტაიმი თანაბრად მიდიოდა — 4:4, 6:6, 9:9. მერე კი „თელავი" დაწინაურდა — 20:16 უმთავრესად ალიკ გიორგელაშვილის და ვახტანგ ჯიშკარიანის შედეგიანი ტყორცნებით და ოთხბურთიანი სხვაობა საფინალო სასტვენამდე შეინარჩუნა. მშვენივრად ჩაერთო თამაშში 17 წლის მეკარე ნიკა ტურაშვილი და ზედიზედ რამდენჯერმე პირისპირ გასულ მეტოქეთა ნატყორცნი მოიგერია. მამულელთაგან კი საუკეთესო იყო გიორგი კობახიძე, რომელმაც მთელი გუნდის გოლების ნახევარი (13) გაიტანა.




ბოლოს ნაკლებ სასიამოვნოზე. საწყენია, რომ აჭარის სპორტის ხელმძღვანელობა სათანადო ყურადღებას არ აქცევს „ბათუმს". გუნდი, რომელსაც ხელშეწყობის შემთხვევაში ექვსეულის მშვენიერი შანსი ექნებოდა, ის კი არა, კინაღამ საერთოდ ვერ წამოვიდა თბილისში უფულობის გამო. ისევე, როგორც პირველ ტურში, მიზერული თანხა ბოლოსდა გამოინახა, სამკაცნაკლული „ბათუმი" თამაშის დღეს გამთენიისას ჩამოვიდა და 11-ბურთიანი მარცხი სულაც არაა გასაკვირი.

**გია ახალაძე**

**სატურნირო ვითარება**

| | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| ქუთაისი | 5 | 0 | 0 | 176:130 | 10 |
| თბილისი | 5 | 0 | 0 | 147:118 | 10 |
| სტუ-შევარდენი | 4 | 0 | 1 | 144:108 | 8 |
| საუ-მამული | 3 | 0 | 2 | 203:140 | 6 |
| ქარიშხალა | 3 | 0 | 2 | 157:147 | 6 |
| თელავი | 2 | 0 | 3 | 132:129 | 4 |
| ჭაბუკები | 2 | 0 | 3 | 121:160 | 4 |
| ბათუმი | 0 | 1 | 4 | 130:170 | 1 |
| სამტრედია | 0 | 1 | 4 | 122:176 | 1 |
| გორი | 0 | 0 | 5 | 105:159 | 0 |

წყალბურთი

# წყალბურთელები წყლის ნაყვას აღარ აპირებენ

გავერანებულ-განადგურებული აუზებისა და საქართველოს საერთო გაჭირვების ფონზე წყალბურთში გარკვეულ წარმატებებს მივაღწიეთ. გავიხსენოთ თუნდაც ახალგაზრდული ნაკრები, რომელმაც რუსეთის ღია პირველობა ოთხჯერ მოიგო და ამდენჯერვე ევროპის პირველობის ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლება მოიპოვა. ამ გუნდს მხარი აუბეს ჭაბუკებმაც, რომლებმაც რამდენიმე დღის წინათ უკრაინაში გამართულ ტურნირში გაიმარჯვეს. საქართველოში წყალბურთის ზოგიერთ პრობლემაზე ამ გუნდების უფროს მწვრთნელ სოსო მაისურაძეს ვესაუბრეთ. მან საუბარი სწორედ ამ ბოლო ტურნირზე ჩვენების გამოსვლით დაიწყო.

— უკრაინის ღია პირველობა სამ ტურად, ჯერ ოდესაში, მერე ხარკოვსა და ბოლოს ისევ ოდესაში გაიმართა — გვიამბობს სოსო მაისურაძე — პირველ და მეორე წრეში ხუთ-ხუთი თამაში, ბოლოს კი ოთხიდან სამი შეხვედრა მოვიგეთ, ხოლო ერთში დავმარცხდით, საბოლოო ჯამში კი მეორე ადგილზე გასულ გუნდს 6 ქულით გავუსწარით. განსაკუთრებით საინტერესო და დაძაბული მატჩი მარიუპოლის გუნდთან გამოდგა, რომელიც 6:7 წავაგეთ.

მარცხის ერთ-ერთ მიზეზად ვთვლი გიგი მამალაშვილის ავადმყოფობას, ასევე იმას, რომ გუნდი ვერ განეწყო თამაშისთვის და წყალში როგორღაც მოდუნებული ჩავიდა. ეს გარკვეულწილად იმანაც განაპირობა, რომ ჩვენ პირველ ტურში ამ გუნდს 12 ბურთის სხვაობით მოვუგეთ.

კარგად ითამაშა გუნდის მეორე ლიდერმა სანდრო რუსიშვილმა. მასთან შეხლაში ბევრჯერ დაჯარიმდნენ მეტოქეები, რისთვისაც მათ რვაჯერ დაატოვებინეს სარბიელი. ამასთან, სამი ბურთიც გაიტანა.

სამწუხაროდ, ეს საკმარისი არ აღმოჩნდა გამარჯვებისთვის და დავმარცხდით.

— ფაქტია, რომ ბოლო წლებში საკმაოდ ნიჭიერი თაობა წამოვიდა, საქართველს კი ეროვნული ნაკრები არ ჰყავს, რის გამოც პერსპექტიული წყალბურთელები უცხო ქვეყნებში მიდიან, უმეტესობა კი წყალბურთისთვის იკარგება. ამიტომ თქვენი საქმიანობა წყლის ნაყვას უფრო გვაგონებს. თუ არის უახლოეს ხანში იმის პერსპექტივა, რომ ნაკრები შეიქმნას?

— ახალგაზრდული გუნდი, რომელიც ახლა ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადება, 1987 წელს დაბადებული, საკმაოდ გამოცდილი და ძლიერი წყალბურთელებისგან შედგება. ამ გუნდის ხუთი მოთამაშე ევროპაში თამაშობს. ესენი არიან: ბუტიკაშვილი, მანძულაშვილი, ჭუმბურიძე, გეგელაშვილი და ბალათურია. ეროვნული ნაკრების საბაზო შემადგენლობა სწორედ ამ ბირთვისგან უნდა ჩამოყალიბდეს. მათ უნდა დავუმატოთ უფროსი ასაკის წყალბურთელები: ლაითაძე, ტატიშვილი, დავითიანი და ასათიანი, ასევე 2003 წლის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშე, ჩომახიძე და რუსეთის ცსკა-ს წევრი კუტალიძე, რომლებიც საქართველოს ნაკრებში სათამაშოდ მზადყოფნას გამოთქვამენ.

— მაგრამ ერთია მათი ჩამოყვანა, გუნდის შექმნა და მეორე — მისი დაფინანსება, რაც ყველა სპორტის სახეობის წარმომადგენლებს მეტ-ნაკლებად უჭირთ.

ბოლო ხანს ქალაქის მერიის სამსახური საკმაოდ დიდ ყურადღებას გვითმობს. სამ ტურნირზე ჩვენი გამგზავრება სწორედ მან დააფინანსა. გვაიმედებენ, რომ უფრო მეტ ყურადღებას მოგვაპყრობენ და ტურნირში მონაწილეობის საშუალებას მოგვცემენ. თუმცა, მანამდე ძველმა ფინანსურმა გაჭირვებამ სხვა პრობლემის წინაშე დაგვაყენა. ჩვენ ვერ მოვახერხეთ ლონდონში ევროპის შესაბამისი ასოციაციის კონგრესზე წარმომადგენლის გაგზავნა, რათა საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის მიწვევები მიგვეღო. არადა, გაისად ეროვნულ ნაკრებებს შორის 16 ტურნირი ტარდება.

**— ახლახან საქართველოს საწყლოსნო სახეობების ფედერაციაში, რომელიც წყალბურთსაც მოიცავს, ახალი პრეზიდენტი — გიორგი უდესიანი აირჩიეთ. თქვენ კმაყოფილი ხართ ასეთი არჩევანით?**

— ფედერაციის ახალი პრეზიდენტი ახალგაზრდა, ენერგიული, რეალისტურად მოაზროვნე კაცია. სწორედ მისი მონდომებითა და თანადგომით იყო, ბოლო სამ ტურნირზე უპრობლემოდ რომ გამოვედით. გიორგი უდესიანი დაგვპირდა, რომ წყალბურთს უფრო მეტ ყურადღებას მივაქცევო. პირადად მე მისი დაპირებებისა მჯერა და ვფიქრობ, რომ ვითარება სასიკეთოდ შეიცვლება.

**— რამდენად რეალურია, რომ საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებმა პეკინის 2008 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მიიღოს მონაწილეობა?**

— ეს მნიშვნელოვნად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ როგორი ხელის შეწყობა იქნება. საჭიროა სავარჯიშო პირობები, შეკრებები, საკლუბო სისტემაზე გადასვლა, რამდენიმე ძლიერი კლუბის შექმნა და გარკვეული მოთამაშეების მოზიდვა ამ კლუბებში. ეს ყველაფერი ნაკრებისთვის პირამიდასავით უნდა აეწყოს.

**— მაგრამ ახლა რას აპირებთ, როცა საერთაშორისო ტურნირებში მიწვევები არ გაქვთ?**

— იმედია, რაღაცას მოვახერხებთ, მანამდე კი იწყება რუსეთისა და უკრაინის პირველობები. ჩვენ ძველებურად ამ ტურნირებში გამოვალთ, ამასობაში კი ვნახოთ, რა და როგორ იქნება.

**ლექსო მაისურაძე**




REUTERS მაიამიდან

# საკალათბურთო სურათები

ეს ნბა-ური სურათებია: ის, რომ შაკილ ონილი უკვე მთავარი გმირია მაიამიში, საეჭვო აღარაა. პოლიციელთა მოხშირება კი ნბა-ს თამაშებზე იმის ბრალია, რომ 19 ნოემბერს „დეტროიტ" — „ინდიანას" თამაშზე გვარიანი ჩხუბი ატყდა მაყურებლებსა და მოთამაშეებს შორის. „მედისონ სკვერ გარდენში" კი ლამაზმან პერი ჰილტონს ვილაცამ დაურეკა... ამ დროს ხალხი მხოლოდ „ნიკს" — „ჰოქსის" ბიჭებს არ მიშტერებოდა. ქალბატონი ჰილტონი პორნო-ვარსკვლავია.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS მაიამიდან

# სიშორე



REUTERS სიდნეიდან

ეს სხვა გოლფი იყო: სიდნეის აეროპორტში რამდენიმე ავსტრალიელმა მეგოლფემ სიშორეზე დაჰკრა ყვანჯი ბურთს. მოიგო სწორედ ამ ჯეილმა სტიუარტ ეფლბიმ, ვისიც დარტყმულიც 630,58 მეტრზე გაფრინდა. ეფლბიმ 5 ათასი დოლარი მოიგო და იქვე ქველმოქმედებისთვის გაიღო.

# მზადება შინისთვის

ძველებურ, მოყინულ ტბაზე სათამაშო ჰოკეის კანადაში დიდ პატივს სცემენ. ამ თამაშს შინი ჰქვია და ალბერტაშიც ამიტომ აპრიალებენ მოყინული ლუისის ტბის ზედაპირს, რათა მადლიანი შინი შეუბერონ.



REUTERS ლეიკ ლუისიდან



REUTERS ტორონტოდან

# გრეის გოგო

გრეის თასი, კანადაში ბურთაობის უპირველესი ჯილდო, ტორონტოს „არგონავტებმა" მოიგეს, ბრიტანეთის კოლუმბიის „ლომებს" 27-19 სძლიეს დიდ, რიგით 92-ე ფინალში. გამარჯვების ერთ-ერთმა შემოქმედმა, მაიკლ კრამბმა თავისი ოთხი თვის ქალიშვილი მადოქსი ჩასვა თასში.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი



რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge


ეროვნული ბიბლიოთეკა